ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 26 თებერვალი 2002 №31 (1553) | ფასი 50 თეთრი


# ჩვეულებრივზე არაჩვეულებრივი

## სოკი გაერო არ არის!

## ახალი როგიზმი ძველი ანანიზმის ნაცვლად: დაუდეთ რუსებს ფაქტები და იქით მიაწექით



ერთმა ფრანგულმა ჟურნალმა ამ ორი დღის წინ ასეთი რამ თქვა — ეგ ოლიმპიადა კიდევ ერთი კვირა რომ გაგრძელებულიყო, მესამე მსოფლიო ომი დაიწყებოდაო.

ფრანგების ამბავი გასაგებია, მაგათ ოღონდ ამერიკელებისთვის ნიშნი მოაგებინე და თუნდაც სხვას ნურაფერს მოაგებინებ! ცოტა უფრო რთულად საქმე ჩვენს ქედისგადაღმელ მეზობლებსა აქვთ — ამათ ამერიკელებისთვის ნიშნის მოგებაც უნდათ და დანარჩენი ყველაფრისაც! საქმეც მხოლოდ ისაა, რომ საბჭოეთის დაშლისა და არმოშლის შემდეგ მეზობლებს აღარც ერთი გამოსდით და აღარც მეორე. ხოლო რაც გამოსდით, იმასაც მთელი სოკი მერე სინჯარებითა და კოლბებით დაატარებს — აქაოდა, აი, ამათი მდვრიე სისხლიო.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, ერთი ჩვეულებრივი ანუ არაჩვეულებრივი ოლიმპიადა ჩავაგრიალეთ. და, თუ ღმერთი გწამთ, ნუ დაუჯერებთ მეზობლებს, ეს „ველური დასავლეთის ველური ოლიმპიადა“ იყოო. ისინი, უბრალოდ, ვერ შეგუებიან, რომ ზეპურ საზამთრო „ძერჟავათა“ შორის მხოლოდ მეხუთე ადგილზე დამკვიდრება უწევთ, რომ სოკ-ის ახალი პრეზიდენტი ჟაკ როგი და მისი გუნდი არც ერთ მათ კუდრაჭობაზე თვალის დახუჭვას არ აპირებენ და რომ საიმისოდ, რათა დიდ სპორტულ წარმატებას მიაღწიო, არ არის საკმარისი, მსოფლიოში ატომურ ქობინთა უდიდეს მარაგს ფლობდე ქვეყანას, რომლის საუკეთესო მეფიგურსრიალე — იმის გამო, რომ თვისტომმა ჩინოვნიკებმა შინ ერთი სარიალოც არ აღირსეს — ამერიკაში ცხოვრობს და ვარჯიშობს, არავითარი უფლება არა აქვს, ეძებოს კატა ბნელ ოთახში, მით უფრო, როცა სისხლი დარბოპოეტინით წაუბილწავს.

სხვაფრივ — დოპინგ-სკანდალები ლამის ყველა უახლოეს ოლიმპიადაზე ყოფილა, მაგრამ დღემდე არც ერთ ნაციას არ მოსჩვენებია, რომ დოპინგს მხოლოდ მის გენეტიკურ საცავში ხედავდნენ. ეს არ გახლდათ სკანდალებით გამორჩეული ოლიმპიადა! ეს იყო რუსთა ჩაფლავებით გამორჩეული ოლიმპიადა!

და კიდევ — ეს იყო ოლიმპიადა:

სადაც ჩვენტოლა ნორვეგიელებმა მსოფლიოს ბობოლა ერებს 11 ოქროს მედალი წაჰგვარეს! უკვე მრავალმა ისურვა, რომ „ჯარისკაცის ქვაბულს“, სადაც უმთავრესი საბართხილამურო მოვლენები წარიმართა, დიადი ნორვეგიელი მებიათლონის, ოლე ეინარ ბიორნდალენის სახელი ეწოდოს. ალბათ კიდევ მრავალი ყინული გალღვება, სანამ ვინმე მისდარად ერთ ოლიმპიადაზე 4 ოქროს მოპოვებას მოახერხებდეს!

განსაკუთრებული მოწიწების გარეშე ამიერიდან ვერც 20 წლის ხორვატი ქალიშვილს, იანიცა კოსტელიჩის სახელს ახსენებენ — მუხლზე გადატანილი არაერთი მძიმე ოპერაციის შემდეგ მან მაინც შეძლო, თავის ეშხიან ფეხებზე შემდგარს მედგრად ესრიალა და ასევე ჩვენტოლა მცირე ერისთვის ერთბაშად სამი ოქროსა და ერთი ვერცხლის მედალი ეჩუქებინა!

– და ეს კვლავაც გახლდათ გერმანელთა გამარჯვების ოლიმპიადა. აქეთ საბჭოეთის დაშლა-არმოშლისა და იქით მათი გაერთიანების შემდეგ გერმანელებს ზამთრის ოლიმპიურ ასპარეზობებზე ბადალი აღარ ჰყავთ. ამჯერად მათ საბჭოელთა რეკორდის დამხობაც შეძლეს — კალგარის 1988 წლის თამაშებზე „ბოროტების იმპერიამ“ 29 გუნდური მედალი მიითვალა. გერმანელებმა 4 წლის წინ ნაგანოში ამდენივე მოიპოვეს. ხოლო სოლტ ლეიკ სიტიდან მშობლიურ „ფატერლანდში“ მათ უკვე 35 — აქედან 12 ოქროს, 16 ვერცხლისა და 7 ბრინჯაოს მედალი მიაქვთ.

მოდით, ნუღარ გავიხსენებთ საფიგურსრიალო სკანდალის ამბებს — მით უფრო, რომ თვით რუსებიც არ დავობენ იმაზე, თუ რა დამსახურებულად მიეცათ დამატებითი ოქრო კანადელებს ჯემი სალესა და დავიდ პელეტიეს.

მოდით, ნურც გაესპანელებული გერმანელის იოჰან მულეგისა და რუსი ლარისა ლაზუტინას — ვაჟთა და ქალთა საბართხილამურო მარათონში ჯერ ნახეირებთა, შემდეგ კი მედალწართმეულთა — სისხლში ნაპოვნ დოპინგზე ვილაპარაკებთ.

ალბათ მხოლოდ 16 წლის ამერიკელი მეფიგურსრიალე სარა ჰიუზის, სოლტ ლეიკის მოულოდნელი ფერიის მშვენება თუ შეედრებოდა იმ არაჩვეულებრივ სანახაობას, რაც ოლიმპიადის მე-17 დღეს ქომაგებს კანადელთა ნაკრებმა მიუძღვნა.

უეინ გრეცკი და მარიო ლემიე ჩვენი სიყრმის დიადი გმირები იყვნენ...

ეს არ იყო სკანდალური ოლიმპიადა!

ეს იყო ჩვეულებრივი არაჩვეულებრივი ოლიმპიადა!

სადაც ჩვენ, ვაგლახ, კვლავაც ოლიმპის კალთებზე დავრჩით...



თავის პირველ ოლიმპიადაზე ჟაკ როგს ბევრი რამ გადახდა

იხილეთ მეთოთხმეტე-მეთხუთმეტე-მეთექვსმეტე გვერდები

# მილანმა სკუდეტო გამოიტირა

## წყალწაღებულ ვენეციას წყალი კალაძემ შეუყენა



კახა კალაძემ (№13) ვენეციელი მცველები ბევრჯერ შეაწუხა

**საქართველოს** ნაკრებისა და იტალიური „მილანის“ მცველმა კახა კალაძემ სერია A-ში მეხუთე გოლი გაიტანა. კვირას „მილანი“ აუტსაიდერ „ვენეციას“ ესტუმრა და 4:1 დაამარცხა. ოთხიდან პირველი სწორედ ჩვენებურისა იყო. რამდენიმე წუთში მასპინძლებმა ანგარიშის გათანაბრება კი მოახერხეს, მაგრამ საბოლოო შედეგზე ამას არ უმოქმედია და კალაძის დაწყებული საქმით „მილანმა“ სერია A-ს მეორე წრეში პირველად გაიმარჯვა.

— უმნიშვნელოვანესი სამი ქულა მოვიპოვეთ. ზედიზედ ნათამაშევი რამდენიმე ფრის შემდეგ „ვენეციასთან“ სტუმრად გამარჯვებით წელში ოდნავ გავიმართეთ და ძველებურად, ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლას გავაგრძელებთ — გვითხრა კახა კალაძემ, როცა მილანში დავუკავშირდით — ჩემპიონობაზე უკვე აღარც ვფიქრობთ, ეს, ფაქტობრივად, გამორიცხულია. წლეულს ჩვენი მიზანი სერია A-ში მეოთხე ადგილი და უეფას თასის მოპოვებაა, რაც რეალური მგონია. ტრავმირებული ფეხბურთელებიდან ჯერ არავინ შემოგვმატებია, მალდინიმ ვარჯიში კი დაიწყო, მაგრამ დიდ დატვირთვებს ერიდება და ვარჯიშს ადრე ამთავრებს. სხვა დაშავებულები კი ინდივიდუალური პროგრამით ემზადებიან. მათი გამოჯანმრთელების შემდეგ გუნდში პრობლემები ნაკლებად იქნება. მე კი მწვრთნელი ანჩელოტი, როგორც „ვენეციასთან“, ალბათ, შემდეგაც მარცხენა ჰავბეკად მათამაშებს.

„მილანის“ ლიდერის ანდრეი შევჩენკოს ბოლოდროინდელი ჩავარდნა კი კახა კალაძემ გადაღლილობით ახსნა:

— შევჩენკო, ვფიქრობ, რომ გადაღლილია და ერთი-ორი დღე დასვენება სჭირდება. ეს ფეხბურთელისთვის ჩვეულებრივი ამბავია. გადაიღალა და ძველებურად შედეგიანი ველარ არის. მალე შევჩენკო ჩვეულ ფორმას დაიბრუნებს.

„მილანს“ უახლოესი მატჩი კვირას ელის. „სან სიროზე“ მილანური დერბი შედგება.

**ქობა ინასარიძე**

# ასათიანი იმედაძესთან არ წაიყვანეს

## დემეტრაძე ლა მანგას დაემშვიდობა



გიორგი იმედაძე

**23 თებერვალს** მორიგ კვიპროსულ შეკრებაზე უქართველებოდ გაემგზავრა კიევის „დინამო“. მალხაზ ასათიანი და ლაშა ჭელიძე „დინამოს“ რეზერვისტებთან ერთად კონჩა-ზასპაში დარჩნენ. თუმცა როგორც შევიტყვეთ, ასათიანმა უკვე მოაწონა თავი კიეველებს და მისი იქაურ „დინამოში“ ჩარიცხვა თითქმის გადაწყვეტილია.

უქმეებზე „დინამო 2“-მა მორიგი საკონტროლო მატჩი გამართა ბელაია ცერკოვის „როსთან“. კიეველთა ძირითად შემადგენლობაში ითამაშა მალხაზ ასათიანმა, ჭელიძე კი სათადარიგოთა სკამზე იჯდა.

„დინამომ“ „როსს“ 7 უპასუხო გოლი გაუტანა. ასათიანმა 80 წუთი დაჰყო მოედანზე და ორი საგოლე პასით გამოიჩინა თავი. ამათგან უკრაინელები განსაკუთრებით მეორე გოლისას შექმნილ ეპიზოდს გამოარჩევენ, გამოზომილი, ეფექტური პასით ორ მეურვეს შორის რომ გააძვრინა ბურთი ქართველმა და მეკარესთან პირისპირ გაიყვანა თანაგუნდელი.

მაღალი შეფასება დაიმსახურა ვლადიკავკაზში აბარგებულმა გიორგი იმედაძემ. მისი „ალანია“ კვიპროსში ინგლისურ „იფსვიჩს“ შეხვდა. „ბლექბერნის“ ლიგის თასის ფინალში მონაწილეობის გამო „იფსვიჩი“ უქმად რომ არ დარჩენილიყო, ამხანაგურად სწორედ „ალანიას“ გაეჯიბრა.

იმედაძე გამორჩეული იყო თანაგუნდელთა შორის და მე-14 წუთზე ანგარიშის გახსნაც შეეძლო, მაგრამ ბრიტანელთა მცველმა კარის ხაზიდან კუთხურზე გადააგდო ბურთი, მერე კი ჯორჯ ფინიდიმ ალბიონელები დააწინაურა, რასაც მეორე ტაიმში ჰოლანდის ნაყოფიერი გარჯის შემდეგ კუნივას მეორე გოლი მოჰყვა. მიუხედავად ამისა, „ალანია“ გარკვეულ სათამაშო უპირატესობას ფლობდა და იმედაძეს კვლავაც მიეცა თავის გამოჩენის შანსი, მაგრამ ორი მეტოქის ჩამომტოვებელ ქართველს 14 მეტრიდან სასწაულებრივ აულო „იფსვიჩის“ მეკარემ. მათი დუელი მატჩის ბოლო წუთზეც მეკარის გამარჯვებით დამთავრდა, მაგრამ მცველებმა ბურთზე მებრძოლი ბოციევი საჯარიმოში წააქციეს და პენალტი უნაკლოდ შეასრულა ომარ თეთრაძემ. მატჩი „იფსვიჩმა“ 2:1 მოიგო, თუმცა ვალერი მუნტიანი ერთობ კმაყოფილი დარჩა თავისი გუნდის გარჯით.

უქმეებზე „ამხანაგურად“ მოთამაშე მესამე ქართველმაც უგოლოდ დატოვა მოედანი. გიორგი დემეტრაძის „ლოკომოტივმა“ „ლამანგას თასისთვის“ ბრძოლა „ჰამარბის“ ძლევით და კარის გაჯახუნებით დაასრულა. „ლოკომოტივმა“ 2:0 გაიმარჯვა, დემეტრაძემ კი შეუცვლელად ითამაშა, თუმცა ბევრი ვერაფრით გამოიჩინა თავი.

ესპანეთიდან გამომგზავრების წინ მოსკოველები დღეს ითამაშებენ. მორიგ საკონტროლო მატჩში იური სიომინის ბიჭები შვედურ აიკ-ს შეხვდებიან.

**ბაატა ქვანტალიანი**

გოჩა ჯამარაულმა ივნისამდე, შესაძლოა, მეორე შვეიცარიულ კლუბში, უმაღლეს ლიგაში დამა[illegible] „ქსამაქსში“ ითამაშოს.

მოგეხსენებათ, შვეიცარიის ჩემპიო[illegible] გაიყო [illegible] ნახლდა და უმაღლეს ლიგაში მონაწილე გუნდთა რაოდენობაც გაიყო. ალბათ, ისიც მოგეხსენებათ, ჯამარაულის ახლანდელ კლუბში „ციურიხი“ პირველი ეტაპის შემდეგ რვა საუკეთესოს შორის რომ მოხვდა და ლიგიდან დაქვეითების საფრთხე აღარ ემუქრება. ჩვენებურ ნახევარმცველს კი ივნისამდე აკავშირებს „ციურიხთან“ კონტრაქტი, რომლის გაგრძელებასაც ჯამარაული აღარ აპირებს.

# ჯამარაული შვეიცარიულ ჰამაკში

## სატა არა სჯობს, ქსამაქსი სჯობს

სწორედ ეს პრინციპულობა ყოფილა იმის მიზეზი, რომ ჯამარაულს მეორე ეტაპის პირველი ტურის მატჩი „სერვეტის“ წინააღმდეგ „ციურიხის“ მწვრთნელმა გამოატოვებინა და ტრავმირებული მიხეილ ყაველაშვილის გვერდით ტრიბუნაზე მიუჩინა ადგილი.

გოჩა ჯამარაულს წუხელ სწორედ ამის თაობაზე ციურიხში შევეხმიანეთ:

— ზაფხულში კლუბთან კონტრაქტი მიმთავრდება და ახლა „ციურიხს“ სურს ჩემით ცოტა ფული მაინც იშოვოს. მათ იციან კონტრაქტს რომ აღარ ვაგრძელებ, უმაღლეს ლიგაში ადგილიც დაბევებული აქვთ და პირდაპირ, კაცურად მითხრეს, გვიჯობს გუნდი მომავლისთვის მოვამზადოთ და შენ ამ სეზონში აღარ გათამაშოთო. სურთ, რომ სეზონის ბოლომდე გამიშვან გუნდიდან და ერთი-ორი კაპიკი მაინც მიიღონ. ადრე გერმანიის მეორე ბუნდესლიგის „აინტრახტში“ გადასვლის ვარიანტი მქონდა, მაგრამ ეს წინადადება ვიუარე, ახლა კი „ქსამაქსი“ შემეხმიანა და „ციურიხს“ ჩემი ორი თვით განათხოვრებისთვის 100 ათასს შვეიცარიულ ფრანკს სთავაზობს. კლუბი თანახმაა გამანათხოვროს. ციურიხიდან ქსამაქსამდე საათნახევრის გზაა.

**— თავად ხომ არ ხარ წინააღმდეგი?**

— არა, წინააღმდეგი რატომ უნდა ვიყო, სათამაშო პრაქტიკა არ მომაკლდება. „ქსამაქსი“ ახლა უმაღლეს ლიგაში დასარჩენად იბრძვის და წინ დაძაბული მატჩები ელის. სეზონის ბოლომდე სიამოვნებით ვითამაშებ „ქსამაქსში“, ოღონდ პირობებით თუ დამაკმაყოფილებს.

**— ამის თაობაზე არ გისაუბრია?**

— „ქსამაქსთან“ არა. „ციურიხის“ ხელმძღვანელობას კი, თავადაც პირდაპირ განვუცხადე, ჩემს მოთხოვნებს თუ დააკმაყოფილებენ, უპრობლემოდ გაგეცლებითო.

**— საბოლოოდ ეს საკითხი როდის გადაწყდება?**

— უახლოეს დღეებში.

**— შოტლანდიური „დანდიდან“ აღარაფერი ისმის?**

— შოტლანდიელები კვლავაც მეპატიჟებიან, მაგრამ „დანდის“ ახლა მცირე ფინანსური პრობლემები აქვს და ჯერჯერობით მოლაპარაკებები შეწყვეტილია.

**— გამორიცხული არ არის რომ „დანდიში“ გადახვიდე?**

— არა, მაგრამ ახალი სეზონის დაწყებამდე შოტლანდიაში თამაშს მაინც ვერ მოვახერხებ. შვეიცარიაში კი კლუბის გამოცვლა ნებისმიერ დროს არის შესაძლებელი.

**— ყაველაშვილი შეუდგა ვარჯიშს?**

— მომავალი კვირიდან ის გუნდთან ერთად სრული დატვირთვით ივარჯიშებს. ამჟამად კი ყაველაშვილი ორ-სამ ფეხბურთელთან ერთად გუნდის ერთ-ერთი მწვრთნელის მეთვალყურეობით ემზადება.

**ქობა ინასარიძე**



გოჩა ჯამარაული

### გერმანია

მეორე ბუნდესლიგა
XXIV ტური

ალენი 1:4 მაინცი

### შოტლანდია

ასოციაციის თასი
მეოთხედფინალი

აბერდინი 0:2 სელტიკი

### იტალია

სერია B
XXV ტური

მოდენა 1:0 პისტოიეზე

### პორტუგალია

პირველი ლიგა. XXIV ტური

ბელენენსეში 1:1 სეტუბალი
ბრაგა 1:0 ფერეირა


რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

იყიდება

ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე.
საცხოვრებელი ფართი 250 მ².
დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე.
ფასი შეთანხმებით
ირაკლი აბაშიძის გამზირი №7
კინოთეატრ "სულიკოსთან"
☎ (231) 7 17 58
ქუთაისში

# იურული პერიოდი ავჭალაში

## სევასტიანოვმა ანზორ მამალაძე გააპრეზიდენტა, ფეხბურთელებს კი ფულის ნაცვლად დაპირება ჩამოუტანა


ვლადიმერ ჩერქეზოვი

სულ რაღაც ოციოდ წუთი დასჭირდა სიმართლის დადგენას. შაბათს, დილაადრიან, „სინათლეზე" გამოჩენილ იური სევასტიანოვს საბოლოო გადაწყვეტილების მიღება არ გასჭირვებია. „მერანის" ერთ-ერთ მეპატრონეს ფეხბურთის ბევრიც არაფერი გაეგება, მაგრამ თეთრისა და შავის გარჩევა არ უჭირს. ამიტომაც არ უფიქრია დიდხანს ახოვან უკრაინელს — პრეზიდენტი დავით ფურცელაძე სამსახურიდან დაითხოვა, ხოლო „მერანის" მენეჯერ ვოვა ჩერქეზოვს, ორი სეზონის მანძილზე გუნდში ერთი ფეხბურთელი რომ არ მიუყვანია და ვერც გაუყიდია, თითქმის ყველანაირი უფლება შეუკვეცა.


დავით ფურცელაძე


ანზორ მამალაძე

**თავიდანვე** ნერვიულობა ეტყობოდა სევასტიანოვს. შემცბარიც იყო კლუბის ერთ-ერთი თავკაცი, თუმც „სინათლეზე" მრავლად შეკრებილი მწვრთნელ-ფეხბურთელების, გუნდის ტექნიკური პერსონალის, ჟურნალისტებისა და უბრალო მოსყირეების თვალის ასახვევად ღიმილად ქცეულიყო.

ვოვა ჩერქეზოვი კარგა ხანს ცდილობდა სევასტიანოვისთვის რაღაც დაემტკიცებინა. უკვე ყოფილ პრეზიდენტ დავით ფურცელაძესთან და კიდევ ორ უცხოელთან ერთად ხმამაღლა მოლაპარაკე ჩერქეზოვმა იმდენი მაინც მოახერხა, რომ კლუბში დატოვეს, თუმც არავინ არაფერს დაეკითხება და ვერც მნიშვნელოვან საკითხთა გადაწყვეტაში მიიღებს მონაწილეობას.

შაბათს, ჩვენთვის გაუგებარი დარჩა, სად მიდიოდა მოსკოვიდან გამოგზავნილი ფული. სევასტიანოვი დაჟინებით ამტკიცებდა, გარკვეულ თანხას ვაგზავნიდითო. მოსკოველი მეპატრონე იმასაც მიხვდა, „მერანის" ვიცე-პრეზიდენტი ანზორ მამალაძე რომ არაფერში ტყუოდა. ისიც გაითავისა, რომ ოთარ გაბელიასა და ავჭალელი მოთამაშეების მონდომების გარეშე უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება იქნებოდა

სანატრელი. ჰოდა, ამიტომაც დაჰკრა თავის ნათქვამს ბეჭედი — საფეხბურთო კლუბ „მერანის" პრეზიდენტის მოვალეობას მამალაძე შეასრულებს! გუნდის თავკაცი ოთარ გაბელია იქნება, რომელიც თავისი შეხედულებების მიხედვით გაუძღვება „მერანს"! იური სევასტიანოვისა და ვალერი ჟილენკოვის წარმომადგენელი თბილისში სტანისლავ ვოგანოვი გახდა, ფინანსურ საკითხებზე მამალაძე და გაბელია სწორედ მას მიაკითხავენ!


სოსო დევიძე (მარჯვნივ) „მერანიდან" არ გაუშვეს

მორჩა და გათავდა. სევასტიანოვმა, ალბათ, კი იცოდა სად მიდიოდა მისი ფულები, მაგრამ საჯაროდ ამის გარჩევა არ დაიწყო. მით უფრო, ფეხბურთელებთან შეხვედრა ელოდა და აშკარად ეტყობოდა, რომ ვითარების გამწვავებას ერიდებოდა.

ფეხბურთელებმა დაახლოებით 11 საათისთვის უკვე იცოდნენ, რომ შაბათს ფულს ისევ ვერ მიიღებდნენ. უკმაყოფილონი ხმამაღალ საუბარს და გინებასაც არ ერიდებოდნენ. „მერანის" გასახდელში შეკრებილებმა გვარიანი პრეტენზიებიც წაუყენეს სევასტიანოვს, მაგრამ მორიგი დაპირების გარდა ვერაფერს გამორჩნენ.

„მე ბევრი რამ გავიგე აქ ჩამოსვლით; გარკვეული ცვლილებების მომსწრე თქვენც ხართ. დღეს ასეთ პირობას გთავაზობთ — ერთ კვირაში თქვენ აგინაზღაურდებათ გაუცემელი ხელფასი, ხოლო მარტის ბოლომდე დანარჩენ დავალიანებასაც გადაგიხდით. ვისთვისაც მისაღებია ეს პირობები, დარჩება, არადა, თავისუფლები ხართ და ახლავე მიიღებთ შესაბამის საბუთებს" — ვერ გეტყვით, ადრე უთქვამს თუ არა სევასტიანოვს ავჭალელებისთვის ტყუილი, მაგრამ სულ რაღაც ათ წუთში სიტყვა გატეხა.

„არ მაძლევს ხელს ასეთი პირობა, მივდივარ გუნდიდან. თუ თანახმა ხართ, განთავისუფლების ფურცელი მომეცით" — სოსო დევიძეს ბევრი არ უფიქრია, პირდაპირ მიახალა სევასტიანოვს. სევასტიანოვმაც თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და ორ წუთში ცხადი გახდა, რომ მოსკოველი სპონსორი აკაკი დევაძისა და მიხეილ ფოცხვერიას გარდა მერანელთაგან თითქმის არავის იცნობდა. დევაძე და ფოცხვერიაც, ალბათ, იმიტომ დაიმახსოვრა, რომ ორივეში დაახლოებით ნახევარი მილიონი დოლარი გადაუხდია. შევიდა სევასტიანოვთან დევიძე, თავისი გვარ-სახელი მოახსენა „მოსკოველ მეპატრონეს" და უკან ხელცარიელი გამობრუნდა. შენ ვერ გაგიშვებო — ურცხვად გადათქვა ორიოდ წუთის წინ ნათქვამი სევასტიანოვმა. იგივე ბედი ეწიათ ბაჯელიძეს, კოშკაძეს, ბოლქვაძეს და სხვა ახალგაზრდა მერანელებს.

„შევცდით, [illegible] და ჩვენი [illegible] ახლა რომ [illegible] ვისლა [illegible] ნატი განახლდება, ყველა ნორმალური კლუბი დაკომპლექტებულია. „მერანისთანა" გაჭირვებულ გუნდში წასვლას ისევ აქ დარჩენა სჯობს" — ნანობდნენ მერანელები.

„გოლეადორის" ყბადაღებული პრობლემაც იოლად მოაგვარა სევასტიანოვმა. სხვათა შორის, შაბათს ყველაფერი იოლად გამოსდიოდა „მერანის" 25-პროცენტიანი წილის მფლობელს. „გოლეადორის" სამი-ოთხი მოთამაშე, რომლებსაც ნიჭიერება და მომავლის პერსპექტივა არ დაეწუნებათ, გაბელიას „მერანში" ივარჯიშებენ, ხოლო დანარჩენები ფარმ-კლუბში ითამაშებენ. „გოლეადორი" კი, ალბათ, ისტორიას ჩაბარდა, არადა, სულ სხვა რაღაც კი ჰქონდათ ჩაფიქრებული სევასტიანოვსა და ჟილენკოვს იმ კლუბთან მიმართებაში, თუმც ანთალიაში საკუთარი თვალით ნანახმა დიდი ხნის ნაოცნებარი უტოპიად გადააქცია.

ბოლო თხოვნა სევასტიანოვს პირადად ოთარ გაბელიასთან ჰქონდა. მოსკოველმა სპონსორმა „მერანის" მთავარ მწვრთნელს უნებართვოდ ანთალიაში წასული კვეკესკირი, გოგიტაძე და ჭინჭარაული შეავედრა. სევასტიანოვმა „მათი დანაშაული" საკუთარ თავზე აიღო — სულ ჩემი ბრალია, მათ არაფერი იცოდნენო. გაბელიამაც, ივარჯიშონო, დაყაბულდა სპონსორს. აკაკი დევაძე კი ტრანსფერზეა დაყენებული. ეს გადაწყვეტილება სევასტიანოვმა ერთპიროვნულად მიიღო და რას ერჩოდა ანთალიაში ნამზადებ მეკარეს, მხოლოდ დევაძემ თუ იცის.

-ვერ დავიჩემებ, თბილისში ჩამოსულ სევასტიანოვს რამის ეშინოდა-მეთქი, მაგრამ მთლად წელგამართულიც ვერ იყო. უკვე გასამგზავრებლად გამზადებულმა, მანქანაში ჩაჯდომამდე „სინათლეს" თვალი შეავლო, შვებით ამოისუნთქა და მანქანის დაბურულ მინებს მიღმა გაუჩინარდა.

თითქოს ავჭალაც დაწყნარდა. ყველა კუთვნილის მოლოდინშია. კლუბში მომხდარი ცვლილებებით გულმოცემული „მერანიც" ჩემპიონატის განახლებისთვის ემზადება. საბოლოოდ კი ასე შეიძლება დავასკვნათ — „მერანში" ფულის პრობლემა არ გადაჭრილა. მწვრთნელ-ფეხბურთელებს და კლუბის ტექნიკურ პერსონალს კუთვნილი ჯერაც არ მიუღიათ.

**გამუკა ძვანტალიანი**

# მილჩენკოს კუპერი მოეწონა

## მსაჯებმა ლიკანში პრეზიდენტი აირჩიეს

**სადაცაა** საქართველოს მეცამეტე ეროვნული ჩემპიონატი განახლდება და მსაჯებიც, გუნდების მსგავსად, მზადების გადამწყვეტ ეტაპზე გადავიდნენ. წინა უქმეები მათთვის განსაკუთრებით დატვირთული გამოდგა. შაბათს ანატოლი მილჩენკოს სამწყსო ეროვნულ სტადიონს ეწვია კუპერის ტესტების ჩასაბარებლად. გამოცდა თითქმის ყველამ ჩააბარა. ჭიათურელი ბადრი ბრეგვაძისა და ღმანისელი ზაზა ხუციშვილის გარდა. პირველს ფეხი სტკივა და ამიტომ გამოაკლდა ტესტირებას, მეორემ კი სწორედ რბენისას მიიღო ტრავმა. ამიტომ მათ მოგვიანებით მოუწევთ გამოცდის ჩაბარება.

— შედეგებით კმაყოფილი ვარ. ბიჭებმა საკმაოდ კარგად ირბინეს. თითქმის ყველამ დროულად დაფარა მანძილი — გვითხრა სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ოთარ გუნთაძემ.

კვირას კი ანატოლი მილჩენკომ შეგირდები ბორჯომის გზას გაუყენა ექვსდღიან შეკრებაზე. მსაჯები ლიკანში დაბინავდნენ. შარშანდელისგან განსხვავებით, შეკრებისთვის საჭირო თანხის ნაწილი ფედერაციამ გადაიხადა, დანარჩენი კი თავად მსაჯებმა. გარდა ამისა, ფედერაციამ მათ ეროვნული ნაკრების „მერსედესის" მარკის კომფორტული ავტობუსიც გამოუყო.

— საუცხოო პირობები გვაქვს. ამას დაუმატეთ სამჯერადი კვება, ლექცია-სემინარებისთვის დიდი აუდიტორია, მშვენიერი ბუნება და თავადაც მიხვდებით, რომ ჩემპიონატისთვის კარგად მომზადების მეტი არაფერი დაგვრჩენია. აქ ორმოცი მსაჯი წამოვიყვანე. რამდენიმე ახალგაზრდამ თავალ გამოთქვა შეკრების გავლის სურვილი და, ცხადია, წინააღმდეგი არ ვყოფილვარ. ვეცდებით, საგაზაფხულო ეტაპს კარგად მომზადებულები შევხვდეთ — გვითხრა ანატოლი მილჩენკომ.

ორმოც მსაჯს შორის არ არის ფიფას არბიტრი ლევან ფანიაშვილი. საქმე ისაა, რომ ფანიაშვილი ჩვიდმეტწლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ერთ-ერთი ჯგუფის მატჩებს მოემსახურება ირლანდიაში.

ბოლოს კი ერთიც ვთქვათ, სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავმჯდომარემ მსაჯების სახელით ფედერაციის მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში მერაბ ჟორდანიას მხარდაჭერა გამოხატა. ფაქტობრივად, ამაში მოულოდნელიც არაფერი ყოფილა.

— ფედერაციამ ჩვენთვის არაფერი დაიშურა. ყოველთვის გვეხმარებოდა. ალბათ, გასაკვირიც არაა, მხარს ჟორდანიას რომ ვუჭერთ — თქვა მილჩენკომ.

შეკრების ბოლოს მსაჯები თეორიაშიც ჩააბარებენ გამოცდას და მხოლოდ ამის შემდეგ მიეცემათ ეროვნული ჩემპიონატის მატჩების მომსახურების უფლება.

**ბაჩა შალამბერიძე ბორჯომიდან**


ანატოლი მილჩენკო

# რაგბიმ ფეხბურთს გადაუწია

## გორდამ შევარდენი დაიჭირა

**ეროვნული ჩემპიონატის** საგაზაფხულო ეტაპი დაგეგმილი 2 მარტის ნაცვლად ერთი დღით ადრე დაიწყება.

ჩემპიონატის მე-19 ტურის ექვსივე მატჩი შაბათს უნდა გამართულიყო, მაგრამ „დინამო"—„სამგურალი" პარასკევს ჩატარდება „ეროვნულზე". მიზეზი საპატიოა — რაგბი.

საკვირაოდ ეროვნული სარბიელი სწორედ სარაგბოდ არის შეგულებული, საქართველო რუსეთს მასპინძლობს და მინდვრის საფარიც შესაფერისი უნდა იყოს. ამიტომაც სფფ-მ რაგბის კავშირის თხოვნა გაითვალისწინა და გაზონის მოსაწესრიგებლად ერთი დღე დაუტოვა რეზერვში სტადიონის აგრონომებს.

მოკლედ, „ეროვნულის" საფარი რაგბსაც გასწვდება და ფეხბურთსაც, რუსთაველმა სარბიელმა კი უსახლკაროდ დატოვა „გორდა".

როგორც იცით, შარშან, ნოემბრის ბოლოს, რუსთაველებმა „ფოლადის" სარეკონსტრუქციო სამუშაოები წამოიწყეს და მოედანი გადახნეს. ქვემოქართლელები გაზონის მწყობრში მოყვანას საგაზაფხულო ეტაპის განახლებამდე ვარაუდობდნენ, მაგრამ იმთავითვე ჩანდა, რომ ვერ მოასწრებდნენ. „ფოლადზე" ჯერაც ბევრია გასაკეთებელი, ის კი არა, „გორდა" ამ ჩემპიონატში საერთოდ ვერ შეძლებს მშობლიურ ქალაქში თამაშს. ჰოდა, ქვემოქართლელებმაც იძულებით ჯიბეზე გაიკრეს ხელი...

რუსთაველებისთვის სასურველი გარდაბნის ვარიანტი იყო, მაგრამ იქაური სარბიელი სსფ-მ უმაღლესი ლიგის მატჩებისთვის უვარგისად ცნო და „გორდამაც" „შევარდენს" მიაშურა. სწორედ ამ სტადიონზე ჩაატარებს თენგიზ კაციას გუნდი საშინაო მატჩებს.

2 მარტს „გორდა" „შევარდენზე" „სიონს" უმასპინძლებს.

**ბაატა ძვანტალიანი**


ფირმების რეგისტრაცია
ოფშორული კომპანიები
რუსეთის ვიზები
მისამართი:
„პირიმზე" მეორე სართული
ტელეფონი: 93-52-34, 877 42-20-59



REUTERS ფოტოქრონიკიდან

არსენალი — ფულემი. სტივ მარლემ მასპინძლებს ერთი კი გაუტანა, მაგრამ რაღ გინდა...

# უცვლელი სამეული

## ინგლისი

### პრემიერლიგა. XXVII ტური

**ლესტერი 0:3 დერბი ქაუნთი**

0:1 ქინქლაძე (63), 0:2 შტრუპარი (64), 0:3 მორისი (89)

ლესტერი: ი. უოქერი, ფ. სინკლერი, დავიდსონი, უ. ლაურსენი, მ. ელიოტი, იმპი (ს. მარშალი 69), სევიჯი, იზეტი, ს. ოუქსი (დიკოვი 69), პიპერი (დინი 58), სკოუკროფტი
მწვრთნელი: დეივ ბასეტი
დერბი ქაუნთი: ე. ოუქსი (ფოლეტი 32), უ. ბარტონი, გრენე, ბოერტიენი, ჰიგინბოთემი, ზავანი, ქინქლაძე (ლ. მორისი 83), დიუკრო, ლი, შტრუპარი (ვალაკარი 69), კრისტი
მწვრთნელი: ჯონ გრეგორი
გაფრთხილება: ლი, იზეტი, სევიჯი, დინი, დიკოვი, ზავანი
მსაჯი: რილი
21 620 მაყურებელი

**ვესტ ჰემი 1:0 მიდლსბრო**

1:0 კანო (76)

ვესტ ჰემი: ჯეიმსი, დეილი, რეპკა, ი. პირსი, უინტერბერნი, ჰატჩისონი (ლაბანტი 40), ლომასი (ს. გარსია 87), მონკუ, ჯ. კოული, კანო, დეფო
მწვრთნელი: გლენ როუდერი
მიდლსბრო: შვარცერი, სტოკდეილი, საუთგეიტი, ემიოგუ, კუდრუ, ინსი, მასტო (უინდასი 87), გრინინგი (კ. მერფი 80), კარბონე, ველანი (ნემეტი 80), ბოკშიჩი
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
გაფრთხილება: კოული, ლაბანტი, სტოკდეილი, ემიოგუ, გრინინგი, მასტო, ემიოგუ, ინსი
გაძევება: ემიოგუ (88)
მსაჯი: ფოი
35 420 მაყურებელი

**საუთჰემპტონი 0:0 ბოლტონი**

საუთჰემპტონი: პ. ჯოუნსი, დოდი, ბრიჯი, ლუნდეკვამი, კ. უილიამსი, ფერნანდესი (ტელფერი 89), მარსდენი, დელაპი, ტესემი, სვენსონი, პახარსი (ორმეროდი 22)
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
ბოლტონი: იასკელაინენი, ნგოტი, ჩარლტონი (ბარნესი 39), უიტლოუ, ბერგსონი, ნოლანი, ჯორკაეფი (ქაპარტერო 78), ტოფტინგი, გარდნერი, ბობიჩი (უოლესი 58), რიკეტსი
მწვრთნელი: სემ ოლიარდისი
გაფრთხილება: ბობიჩი, დელაპი, ნოლანი, ტოფტინგი, დელაპი
გაძევება: დელაპი (88)
მსაჯი: უოლსტენჰოლმი
31 380 მაყურებელი

**მანჩესტერი 1:0 ასტონ ვილა**

1:0 ვან ნისტელროი (50)

მანჩესტერი: ბარტეზი, ირვინი (იონსენი 86), გ. ნევილი, ბლანი, სილვესტრი, როი კინი, ბექჰემი, ბატი, ვერონი, ვან ნისტელროი, სოლსკიაერი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
ასტონ ვილა: შმაიხელი, მელბერგი, სტონტონი, ბერი, მ. დილანი, ჯ. სამუელი (დაბლინი 79), ჯ. ბოატენგი, მ. ჰაჯი (ჰიცლსბერგერი 64), სტოუნი, პ. ანხელი, ვასელი
მწვრთნელი: გრემ ტეილორი
მსაჯი: უინტერი
67 592 მაყურებელი

**ლივერპული 1:1 ევერტონი**

0:1 რაძინსკი (52), 1:1 ანელკა (72)

ლივერპული: კირკლენდი, ს. რაიტი (ჰესკი 55), ანრი, ჰიპია, შაიერი, რიისე, ჰამანი, მაკალისტერი (სმიცერი 66), დ. მერფი, ოუენი, ანელკა
მწვრთნელი: ფილ ტომპსონი
ევერტონი: სიმონსენი, პისტონე, ვეირი, სტაბსი, კლარკი, ნეისმიტი, ლინდეროთი (გრეველსი 46), კარსლი, ჯემილი, ჟინოლა (რაძინსკი 46), კ. კემბელი
მწვრთნელი: უოლტერ სმიტი
გაფრთხილება: კლარკი, გრეველსი
მსაჯი: ელერი
44 371 მაყურებელი

**არსენალი 4:1 ფულემი**

1:0 ლორენი (5), 1:1 მარლე (10), 2:1 ვიეირა (16), 3:1, 4:1 ანრი (39, 59)

არსენალი: სიმენი, ლუზი, ს. კემპბელი, სტეპანოვსი, ლორენი, პარლორი, ვან ბრონკჰორსტი (დიქსონი 43), ვიეირა, პირესი (გრიმანდი 73), ანრი (ალიადიერი 82), ვილტორდი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
ფულემი: ვან დერ სარი, ფინანი, ბრევეტი (მარლი 64), მელვილი, ნაითი (ბოა მორტე 56), გომა, მალბრანკი, ლეგვინსკი, კოლინზი, ჰეილსი (საჰა 60), მარლე
მწვრთნელი: ჟან ტიგანა
გაფრთხილება: გომა
მსაჯი: რენი
38 029 მაყურებელი

**სანდერლენდი 0:1 ნიუკასლი**

0:1 დაბიზასი (64)

სანდერლენდი: სორენსენი, ჰაასი, გრეი, კრადოკი, ბიორკლუნდი, მაკატირი, კ. რეინა, შვარცი (ბატლერი 70), კილბეინი, ფილიპსი, ნ. ქუინი (მბომა 46)
მწვრთნელი: პიტერ რიდი
ნიუკასლი: გივენი, ა. ჰიუზი, ობრაიენი, დისტინი, დაბიზასი, ჯენასი, სოლანო, რობერი (ამეობი 90), სპიდი, შირერი, ბელამი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
გაფრთხილება: მაკატირი, ბელამი, მბომა, კილბეინი
მსაჯი: ბარბერი
48 290 მაყურებელი

**ლიდსი 0:0 ჩარლტონი**

ლიდსი: მარტინი, გ. კელი, რ. ფერდინანდი, მატეო, ჰარტი, დაკური (ბეტი 46), ბაკე, ბოუელი, რობი კინი, ვიდუკა, ფაულერი
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
ჩარლტონი: დ. კელი, იანგი, ჟორჟე კოსტა, ფორტუნი, კ. პაუელი, კონჩესკი, გ. სტიუარტი, პარკერი (კინსელა 80), ბარტ-უილიამსი, სვენსონი (კიშიშევი 86), იუელი
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
გაფრთხილება: სვენსონი, კონჩესკი, ბარტ-უილიამსი
მსაჯი: დინი
39 374 მაყურებელი

**კვირას** კარდიფში ლიგის თასის ფინალი გაიმართა, თუმცა, ამას ხელი არ შეუშლია პრემიერლიგისთვის, ჩვეული ტური გაემართა და მხოლოდ ორი თამაში გადაედო. ლიგამ ისედაც კარგახანს, მთელ ორ კვირას დაისვენა.

ამ სათამაშო უქმეებს, „მანჩესტერისა" და „ლივერპულისთვის" 28-ე ტური ერქვა, სხვები კი განრიგით, ოცდამეშვიდეს თამაშობდნენ. ტური შაბათს შუადღით გაიხსნა „ოლდ ტრეფორდზე" ლიდერისა და „ასტონ ვილას" მატჩით. ბირმინგემელებს ახალი მწვრთნელი, გრემ ტეილორი ჰყავდათ, რომელსაც ერთ დროს ნაკრებიც უმართავს. ამ კაცის წესრიგიანობა და სქემათა სიმკაცრე ცნობილია და „ვილაც" ორგანიზებულად ირჯებოდა. თავის მხრივ, მანჩესტერელებს არ ჰყავდათ რაიან გიგზი და პოლ სქოულზი, თუმცა, თამაშის სადავეები მაინც იოლად იპყრეს ხელთ.

ალექს ფერგიუსონის აზრით, რუუდ ვან ნისტელროის ჰეთ თრიქი მაინც უნდა შეესრულებინა ამ მატჩში, მაგრამ ერთადერთ გოლს დასჯერდა. ეს გამარჯვების გოლი გამოდგა, თუმცა, ზეიმისას, რუუდმა კინაღამ კისერი მოიტეხა. გატანილ გოლს მასპინძლები ვილელი მცველის, ჯორჯ ბოატენგის დაბნეულობას უნდა უმადლოდნენ, თუმცა, სტუმართა გუნდს სხვა თვალშისაცემი შეცდომა არ დაუშვია. სამაგიეროდ, „მანჩესტერმაც" არაფერი შეაძლებინა ბირმინგემელებს და ლიდერადაც დარჩა. იმავ დროს, „არსენალმა" „ფულემი" გაანადგურა. სტივ მარლეს გაფაფხურებამ მხოლოდ ერთი გოლი აჩუქა სტუმრებს. ტიერი ანრის კი უკვე მაშინაც გააქვს ბურთი კარში, როცა ამას თავადაც არ ელის. პატრიკ ვიეირამ კი ამ სეზონში პირველი, ხოლო ბოლო 14 თვეში კი ასევე პირველად შეაგდო.

„ეს იყო საუცხოო წარმოდგენა, სავსე უნარით, ტექნიკითა და მოძრაობით" — თქვა კმაყოფილმა არსენ ვენგერმა.

ამ ტურში ორი განთქმული დერბი გამოვიდა: მერსისაიდული და ტაინ-ვეარისა. პირველში ლივერპულის ორი გუნდი შეეტაკა ერთმანეთს „ენფილდზე" და ნაღდი დერბული ამბავიც გამოვიდა: პირველ წრეში თანაქალაქელთაგან იოლად ძლეულმა „ევერტონმა" ტომაშ რაძინსკის გოლით მარაგი შეიქმნა და დაცვა დაიჭირა. ევერტონელთა თამაშმა ძალა მას შემდეგ მოიკრიბა, რაც მეორე ტაიმში წყვილად შევიდნენ რაძინსკი და თომას გრავესენი. „ლივერპული" სამ ქულას კი იმსახურებდა, მაგრამ საბოლოოდ ერთს დასჯერდა: ოუენ-ჰესკი-მერფის გათამაშებული ბურთი სულ იოლად შეაგორა კარში ნიკოლა ანელკამ.

„მთელი თამაში ჩვენი იყო" — თქვა დროებითმა მენეჯერმა ფილ ტომპსონმა — „ქულა კი მათ წაიღეს". „ბედნიერი ვარ, რომ ქულა ავიღეთ" — ასეთი იყო უოლტერ სმიტის აზრი.

მეორე დერბი კი მეზობელ ქალაქთა, სანდერლენდისა და ნიუკასლის ჭიდილი იყო, რომელშიაც „ლაითზე" მისულმა სტუმრებმა იმარჯვეს ალან შირერის ოსტატობისა და მცველ ნიკოს დაბიზასის წყალობით. თუმცა, აქ ნიუკასლელთა მეკარე შეი გივენიც უნდა ვახსენოთ, რომელმაც სამჯერ მაინც გადაუკეტა საგოლე ბურთს გზა და კევინ ფილიპსი ხახამშრალი გაუშვა მოედნიდან. დაბიზასი ნაღდი ფორვარდივით ირჯებოდა მასპინძელთა საჯარიმოში და ბოლოს დაუფასლა კიდეც. იმის, რომ [illegible] კაცი შეეძლო [illegible] რობსონის სიტყვებს კი მოვიშველიებთ: „აქ [illegible] ლით. დიდი გამარჯვებაა და დიდი ნამი ქულა". „ერთ გოლს მაინც ვიმსახურებდით" — მხრები აიჩეჩა პიტერ რიდმა — „შეიმ გასაქანი არ მოგვცა".

„ნიუკასლმა" და „არსენალმა" თავიანთი ადგილები შეინარჩუნეს, „ლივერპულიც" მათ მისდევს კუდში, „ლიდსი" კი მორიგი უგოლო მატჩით „ჩელსის" უკანაც კი აღმოჩნდა. ამასობაში, ჯონ გრეგორის ხელში, სამი თამაშიდან მეორეში იმარჯვა „დერბიმ", რომელიც „ლესტერს" ეწვია და 3:0 მოუგო. ბოლოსა და ბოლოსწინა ჭიდილში თავი გიო ქინქლაძემაც გამოიჩინა, მეორე ტაიმის დასაწყისში სწორედ მან გახსნა ანგარიში მალკოლმ კრისტის გადაცემის შემდეგ. „ლესტერის" უფროსობა კი ორგზის უკმაყოფილო დარჩა: ერთი, რომ სამთვენახევარია არ მოუგია და მეორეც, პირველ ტაიმში მაზი იზეტის ნაღდი გოლი არ ჩაგვითვალესო. „ბოლტონის" რიგებში კი პირველად ითამაშა იური ჯორკაეფმა, რომელიც კვირაში 50 ათას გირვანქას იღებს და წლის ბოლომდეა ნაქირავები. თუმცა, იურიმ მაინც ვერ გაუტანა „საუთჰემპტონს", ისევე როგორც მისმა თანაგუნდელმა ფრედი ბობიჩმა.

**ირაკლი ბამყრელიძე**



REUTERS

რუუდ ვან ნისტელროიმ „ასტონ ვილა" კი ამოაყირავა, მაგრამ ლამის კისერი მოიტეხა

| № | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 მანჩესტერი | 28 | 18 | 3 | 7 | 67:35 | 32 | 57 | 15 | 10 | 1 | 4 | 36:15 | 21 | 31 | 13 | 8 | 2 | 3 | 31:20 | 11 | 26 |
| 2 ნიუკასლი | 27 | 17 | 4 | 6 | 52:33 | 19 | 55 | 13 | 9 | 1 | 3 | 25:15 | 10 | 28 | 14 | 8 | 3 | 3 | 27:18 | 9 | 27 |
| 3 არსენალი | 27 | 15 | 9 | 3 | 55:31 | 24 | 54 | 13 | 6 | 4 | 3 | 28:21 | 7 | 22 | 14 | 9 | 5 | 0 | 27:10 | 17 | 32 |
| 4 ლივერპული | 28 | 15 | 8 | 5 | 45:25 | 20 | 53 | 13 | 6 | 5 | 2 | 16:11 | 5 | 23 | 15 | 9 | 3 | 3 | 29:14 | 15 | 30 |
| 5 ჩელსი | 26 | 11 | 11 | 4 | 46:26 | 20 | 44 | 12 | 6 | 4 | 2 | 26:12 | 14 | 22 | 14 | 5 | 7 | 2 | 20:14 | 6 | 22 |
| 6 ლიდსი | 27 | 11 | 11 | 5 | 37:29 | 8 | 44 | 13 | 5 | 6 | 2 | 20:15 | 5 | 21 | 14 | 6 | 5 | 3 | 17:14 | 3 | 23 |
| 7 ასტონ ვილა | 27 | 9 | 11 | 7 | 32:30 | 2 | 38 | 14 | 6 | 6 | 2 | 16:11 | 5 | 24 | 13 | 3 | 5 | 5 | 16:19 | -3 | 14 |
| 8 ტოტენჰემი | 26 | 10 | 5 | 11 | 37:35 | 2 | 35 | 14 | 7 | 3 | 4 | 26:20 | 6 | 24 | 12 | 3 | 2 | 7 | 11:15 | -4 | 11 |
| 9 ფულემი | 27 | 8 | 11 | 8 | 27:29 | -2 | 35 | 14 | 6 | 6 | 2 | 18:11 | 7 | 24 | 13 | 2 | 5 | 6 | 9:18 | -9 | 11 |
| 10 ჩარლტონი | 27 | 8 | 10 | 9 | 30:32 | -2 | 34 | 14 | 4 | 4 | 6 | 17:21 | -4 | 16 | 13 | 4 | 6 | 3 | 13:11 | 2 | 18 |
| 11 ვესტ ჰემი | 27 | 9 | 7 | 11 | 30:42 | -12 | 34 | 13 | 7 | 4 | 2 | 18:7 | 11 | 25 | 14 | 2 | 3 | 9 | 12:35 | -23 | 9 |
| 12 მიდლსბრო | 27 | 8 | 7 | 12 | 26:35 | -9 | 31 | 13 | 5 | 4 | 4 | 17:17 | 0 | 19 | 14 | 3 | 3 | 8 | 9:18 | -9 | 12 |
| 13 საუთჰემპტონი | 27 | 9 | 4 | 14 | 31:41 | -10 | 31 | 13 | 5 | 2 | 6 | 14:16 | -2 | 17 | 14 | 4 | 2 | 8 | 17:25 | -8 | 14 |
| 14 სანდერლენდი | 27 | 8 | 7 | 12 | 21:31 | -10 | 31 | 14 | 5 | 5 | 4 | 13:12 | 1 | 20 | 13 | 3 | 2 | 8 | 8:19 | -11 | 11 |
| 15 იფსვიჩი | 26 | 8 | 6 | 12 | 34:40 | -6 | 30 | 14 | 5 | 2 | 7 | 18:20 | -2 | 17 | 12 | 3 | 4 | 5 | 16:20 | -4 | 13 |
| 16 ევერტონი | 27 | 7 | 8 | 12 | 27:34 | -7 | 29 | 14 | 6 | 2 | 6 | 18:17 | 1 | 20 | 13 | 1 | 6 | 6 | 9:17 | -8 | 9 |
| 17 ბოლტონი | 27 | 6 | 11 | 10 | 30:42 | -12 | 29 | 13 | 3 | 5 | 5 | 10:21 | -11 | 14 | 14 | 3 | 6 | 5 | 20:21 | -1 | 15 |
| 18 ბლექბერნი | 26 | 6 | 7 | 13 | 32:36 | -4 | 25 | 13 | 4 | 4 | 5 | 21:17 | 4 | 16 | 13 | 2 | 3 | 8 | 11:19 | -8 | 9 |
| 19 დერბი ქაუნთი | 27 | 7 | 4 | 16 | 21:43 | -22 | 25 | 14 | 5 | 3 | 6 | 13:15 | -2 | 18 | 13 | 2 | 1 | 10 | 8:28 | -20 | 7 |
| 20 ლესტერი | 27 | 3 | 8 | 16 | 18:49 | -31 | 17 | 13 | 1 | 5 | 7 | 8:26 | -18 | 8 | 14 | 2 | 3 | 9 | 10:23 | -13 | 9 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ანრი (არსენალი) | 20 |
| ვან ნისტელროი (მანჩესტერი) | 19 |
| ჰასელბაინკი (ჩელსი) | 18 |
| შირერი (ნიუკასლი) | 16 |
| ოუენი (ლივერპული) | 14 |
| რიკეტსი (ბოლტონი) | 12 |
| სოლსკიაერი (მანჩესტერი) | 12 |

### XXVIII ტური

2 მარტი

| | | |
|---|---|---|
| ასტონ ვილა | - | ვესტ ჰემი |
| ბოლტონი | - | ბლექბერნი |
| ჩარლტონი | - | ჩელსი |
| დერბი ქაუნთი | - | მანჩესტერი |
| ევერტონი | - | ლიდსი |
| ფულემი | - | ლივერპული |
| იფსვიჩი | - | საუთჰემპტონი |
| მიდლსბრო | - | ლესტერი |
| ნიუკასლი | - | არსენალი |
| ტოტენჰემი | - | სანდერლენდი |

### I დივიზიონი. XXXV ტური

**ბირმინგემი 3:2 უოტფორდი**

1:0 ჰარსი (21), 2:0, 3:0 მუნი (41, 53პ), 3:1 ჰენანტი (60), 3:2 მ. ჯონსონი (88ს.კ.)

**კოვენტრი 4:0 ბარნსლი**

1:0 ჩიპო (1), 2:0, 3:0 ტომპსონი (19, 43), 4:0 მილსი (59)

**კრიუ 1:2 ბარნლი**

0:1 ტეილორი (18), 0:2 ა. მური (58), 1:2 ჰალსი (63)

**კრისტალ პალასი 0:1 შეფილდ იუნაიტედი**

0:1 ბრაუნი (60)

**ჯილინგემი 0:4 ბრედფორდი**

0:1 პატერსონი (8ს.კ.), 0:2 უორდი (38), 0:3 ლოურენსი (45), 0:4 კადამარტერი (68)

**მილუოლი 0:1 უიმბლდონი**

0:1 კუპერი (15)

**ნოტინგემი 0:0 გრიმსბი**

**შეფილდ უენსდი 1:2 როტერჰემი**

0:1 ლი (50), 1:1 კუქი (70), 1:2 რ. ბარკერი (90)

**სტოკპორტი 1:4 ვულვერჰემპტონი**

0:1 სტარიჯი (14პ), 0:2 პარდიკერი (28ს.კ.), 1:2 ბექეტი (33), 1:3 სტარიჯი (43), 1:4 კენედი (72)

**უოლსოლი 0:0 მანჩესტერ სიტი**

**ვესტ ბრომვიჩი 5:0 პორტსმუთი**

1:0 რობერტსი (8), 2:0 სიგურდსონი (23), 3:0 დობი (38), 4:0 ბალისი (45), 5:0 რობერტსი (80)

**ნორვიჩი 3:0 პრესტონი**

1:0 რობერტსი (62), 2:0 ალექსანდერი (81ს.კ.), 3:0 მაკრინი (88)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვულვზი | 35 | 21 | 7 | 7 | 61:31 | 70 |
| სიტი | 33 | 20 | 5 | 8 | 74:42 | 65 |
| ვესტ ბრომვიჩი | 35 | 19 | 6 | 10 | 43:24 | 63 |
| მილუოლი | 35 | 17 | 9 | 9 | 55:36 | 60 |
| ბარნლი | 34 | 17 | 9 | 8 | 57:47 | 60 |
| ქოვენთრი | 35 | 18 | 5 | 12 | 53:34 | 59 |
| ნორვიჩი | 34 | 17 | 5 | 12 | 47:42 | 56 |
| კრისტალ პალასი | 35 | 17 | 3 | 15 | 59:49 | 54 |
| ბირმინგემი | 33 | 15 | 8 | 10 | 50:39 | 53 |
| პრესტონი | 34 | 13 | 11 | 10 | 52:47 | 50 |
| უიმბლდონი | 34 | 12 | 12 | 10 | 49:43 | 48 |
| ჯილინგემი | 34 | 13 | 8 | 13 | 49:50 | 47 |
| შეფილდი | 35 | 11 | 13 | 11 | 38:41 | 46 |
| უოტფორდი | 35 | 12 | 9 | 14 | 50:43 | 45 |
| ნოტინგემი | 35 | 10 | 15 | 10 | 37:32 | 45 |
| ბრედფორდი | 33 | 12 | 6 | 15 | 58:60 | 42 |
| პორტსმუთი | 34 | 11 | 8 | 15 | 50:60 | 41 |
| როტერჰემი | 35 | 9 | 13 | 13 | 42:52 | 40 |
| ბარნსლი | 35 | 8 | 13 | 14 | 48:65 | 37 |
| უენსდი | 35 | 9 | 10 | 16 | 39:56 | 37 |
| ქრიუ | 32 | 9 | 8 | 15 | 32:54 | 35 |
| უოლსოლი | 35 | 8 | 8 | 19 | 37:57 | 32 |
| გრიმსბი | 35 | 7 | 11 | 17 | 27:55 | 32 |
| სტოკპორტი | 34 | 2 | 8 | 24 | 32:80 | 14 |

### მეორე დივიზიონი

35-ე ტური: ბლეკპული — ჰადერსფილდი 1:2; ბრენტფორდი — ნოტსი 2:1; ბრაიტონი — რექსემი 0:0; ბერი — ბორნმუთი 2:1; კარდიფი — კემბრიჯი 2:0; ჩესტერფილდი — ნორთჰემპტონი 2:2; კოლჩესტერი — ბრისტოლი 0:0; პიტერბრო — ოლდემი 2:2; პორტ ვეილი — ქუინზ პარკი 1:0; რედინგი — სტოკი 1:0; ტრანმერი — სუინდონი 0:0; უიგანი — უიკომბი 0:0

### მესამე დივიზიონი

35-ე ტური: როვერსი — ლინკოლნი 1:2 დარლინგტონი — ტორკი 1:3; ჰალიფაქსი — სუონსი 0:1; ჰარტლპული — საუთენდი 5:1; ჰალი — მაკლსფილდი 0:1; ლუტონი — იორკი 2:1 ოქსფორდი — ექსეტერი 1:2; პლიმუთი — კიდერმინსტერი 2:1; რაშდენი — ლეიტონი 1:0; სკანთორპი — როჩდეილი 2:1; შრიუსბერი — მენსფილდი 3:0. კარლაილი — ჩელტენემ გადაიდო

# ინგლისის ლიგის თასი. ფინალი

## ბლექბერნი 2:1 ტოტენჰემი

24 თებერვალი. 19.00 საათი. კარდიფი. „მილენიუმი". 72 500 მაყურებელი. მსაჯი გრემ პოლი

1:0 იანსენი (25), 1:1 ციგე (33), 2:1 კოული (69)

გაფრთხილება: შერვუდი, კოული, ტარიკო

ფრიდელი, მ. ტეილორი, ბერგი, ნ. იოჰანსონი, ბიორნებიუ, გილესპი (ჰინეტი 77), დ. დანი, მარკ ჰიუზი, დაფი, ენდი კოული, იანსენი (იორდი 74)

მწვრთნელი: გრემ სუნესი

სალივანი, პერი, კინგი, ტეტჩერი, ტარიკო (ს. დევისი 79), ანდერტონი, ციგე, შერვუდი, პოიეტი (ივერსენი 84), შერინგემი, ლ. ფერდინანდი

მწვრთნელი: გლენ ჰოდლი

# ტოტენჰემს კოული გაეპარა

## ბლექბერნი ევროპაში თასმა წაიყვანა



„ტოტენჰემისთვის" საბედისწერო, „ბლექბერნისთვის" კი სათასო დარტყმა



გრემ სუნესი და ენდი კოული თასს შესწვდნენ...

**კვირას**, კარდიფის „მილენიუმზე" რამდენიმე გმირი იყო: „ბლექბერნის" ამერიკელი მეკარე ბრედ ფრიდელი ლიგის თასის ფინალის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს, თმაშევერცხლილმა მარკ ჰიუზმა, რომელიც იმავდროულად უელსის ნაკრების მენეჯერიცაა, საუცხოოდ უხელმძღვანელა ბლექბერნელთა ნახევარდაცვას და 38 წლისამ მეშვიდე ინგლისური თასი მოიგო, ენდი კოულმა კი გადამწყვეტი გოლი გაუტანა „ტოტენჰემს" და პრემიერლიგის ბოლო სამეულში მოქცეული გუნდი ევროსაგზურით დააჯილდოვა.

კოულმა 69-ე წუთზე გამოიყენა ტოტენჰემელი მცველის, ლედლი კინგის შეცდომა (ამ დროს ანგარიში 1:1 იყო) და ერთგვარი სამაგიეროც კი გადაუხადა ლონდონელთა მენეჯერ გლენ ჰოდლს, რომელიც ერთ დროს მას ნაკრებში არ ათამაშებდა.

„თასის მოგება მშვენიერი შეგრძნებაა" — თქვა გამარჯვებულთა მენეჯერმა გრემ სუნესმა, რომელსაც ფეხბურთელობისას ყველანაირი თასი მოუგია და იქვე დაამატა — „ტოტენჰემი" სათასო გუნდია, თოთხმეტი ინგლისური ფინალიდან მხოლოდ ორი წაუგია."

„ტოტენჰემმა" კიდევ ერთხელ წააგო, მაგრამ სულ საკეტურები უმტვრევია ბლექბერნელებს. ტედი შერინგემი კი იმან ალაშფოთა, რომ ძირითადი დროის დასრულებამდე ორი წუთით ადრე მსაჯმა გრემ პოლმა მისი წაქცევისთვის პენალტი არ დანიშნა.

პოლი საერთოდ უცნაური მსაჯია და მისმა გადაწყვეტილებამ ჰოდლს ათქმევინა: „თამაში სწორედ ამ არდანიშნულმა პენალტმა წაგვაგებინა".

„ამას გვერდითი მსაჯის გამოკითხვაც არ უნდოდა. იქვე იდგა" — წუხდა შერი — „საერთოდ, მთელი თამაში ამომიჩემა". „ჩვენ პატარა კლუბი ვართ, ისინი კი დიდი. ამიტომ ამ თასს ჩვენთვის სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს", სუნესი, რა თქმა უნდა, მართალია იყო.

**ირაკლი გამყრელიძე**



–გლენ ჰოდლი და ტედი შერინგემი არდანიშნულ პენალტს მისტირიან

## შვეიცარია

### II ეტაპი. A ჯგუფი. I ტური

**ციურიხი 0:2 სერვეტი**

0:1, 0:2 ა. ფრეი (33, 67)

ციურიხი: პასკოლო, ცენერე, კელერი, ფიშერი, კვენტინი, ჰელდმანი, ბაუმანი (ბკალე 57), რენატო (იასარი 66), გერერო, შასო, მაგრო (ბიულმანი 78)

გოჩა ჯამარაული განაცხადში ვერ მოხვდა, მიხეილ ქავალაშვილი ტრავმირებულია

მწვრთნელი: ჟილბერ გრესი

მსაჯი: ფილიპი

4 000 მაყურებელი

**ლუგანო 2:5 ბაზელი**

1:0 ბ. სუტერი (4), 1:1 მ. იაკინი (43), 1:2 კუმანტარაკისი (44), 1:3 მ. იაკინი (67), 2:3 ჟ. როსი (67), 2:4, 2:5 კ. ხიმენესი (71, 73)

**სენტ გალენი 2:2 გრასჰოპერი**

1:0 იმჰოფი (6), 1:1 ედუარდო (14), 2:1 განე (22), 2:2 ნუნიესი (72)

**იანგ ბოისი 4:0 სიონი**

1:0 ტიკვა (4), 2:0 ვარდანიანი (26), 3:0 დესკლო (46), 4:0 ვონლანტენი (89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 1 | 1 | 0 | 0 | 5:2 | 25 |
| გრასჰოპერი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 20 |
| სერვეტი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 20 |
| ლუგანო | 1 | 0 | 0 | 1 | 2:5 | 19 |
| სენტ გალენი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 19 |
| იანგ ბოისი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 19 |
| სიონი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | 17 |
| ციურიხი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 15 |

### II ეტაპი. A/B ჯგუფი. I ტური

**ქსამაქსი 3:1 აარაუ**

1:0, 2:0 ტაჩე-მენსა (27, 35), 3:0 სიმო (65), 3:1 პრევიტალი (71)

აარაუ: ბენიტო, ეგიმენი, ბეიგა, პრევიტალი, შმიდი (გუდა 46), სკრეიშაკი, მელუნოვიჩი, ტარონე, ფრიდლი (დე ნაპოლი 85), ოკპალა (კალვო 46), ჟილბერტო

ლევან ხომერიკი სათადარიგო იყო

მწვრთნელი: როლფ ფრინგერი

მსაჯი: ბეკი

4 200 მაყურებელი

დელემონი — ლოზანა 4:0; ლუცერნი — ვილი 1:2; ვინტერთური — თუნი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დელემონი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 3 |
| ქსამაქსი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| თუნი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ვილი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ლუცერნი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ვინტერთური | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| აარაუ | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |
| ლოზანა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | 0 |

### II ეტაპი. B ჯგუფი. I ტური

კონკორდია — ბელინცონა 0:0; კარუჟი — კრიენსი 0:4; ლოკარნო — ვადუცი 4:1; ივერდონი — ბადენი 4:1

## ჩეხეთი

მე-19 ტური: ლიბერეცი — ჰრადეც კრალოვე 2:0; სპარტა — ოპავა 4:1; ბლშანი — პრჟიბრამი 0:1; სინოტი — სიგმა 2:1; ბოჰემიანსი — ჟიჟკოვი 1:1; ბრნო — დრნოვიცე 2:1; ბანიკი — სლავია 0:0. ტეპლიცე — იაბლონეცი გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 19 | 15 | 0 | 4 | 43:11 | 45 |
| ჟიჟკოვი | 19 | 14 | 2 | 3 | 32:14 | 44 |
| ლიბერეცი | 19 | 12 | 5 | 2 | 36:16 | 41 |
| ბოჰემიანსი | 19 | 12 | 5 | 2 | 31:13 | 41 |
| ბანიკი | 19 | 8 | 6 | 5 | 26:20 | 30 |
| ბრნო | 19 | 8 | 4 | 7 | 23:31 | 28 |
| სლავია | 19 | 7 | 6 | 6 | 29:25 | 27 |
| იაბლონეცი | 18 | 5 | 8 | 5 | 18:19 | 23 |
| სინოტი | 19 | 6 | 4 | 9 | 17:25 | 22 |
| პრჟიბრამი | 19 | 6 | 3 | 10 | 17:26 | 21 |
| ჰრადეც კრალოვე | 19 | 6 | 3 | 10 | 19:33 | 21 |
| ტეპლიცე | 18 | 5 | 4 | 9 | 19:26 | 19 |
| სიგმა | 19 | 4 | 7 | 8 | 16:25 | 19 |
| დრნოვიცე | 19 | 4 | 5 | 10 | 22:25 | 17 |
| ბლშანი | 19 | 5 | 1 | 13 | 22:35 | 16 |
| ოპავა | 19 | 2 | 1 | 16 | 13:39 | 7 |


რეკლამა
სარბიელ–ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80


# უკომპასო და უკომპრომისო

## საფრანგეთი

### I დივიზიონი. XXVII ტური

**სოშო 2:1 ლიონი**

1:0 გოვუ (40ს.კ.), 1:1 გოვუ (50), 2:1 ფრაუ (70)

**ლილი 2:0 მარსელი**

1:0 ბრუნო შეირუ (34პ), 2:0 ბაკარი (90)

**მონპელიე 1:2 ლანსი**

0:1 დიუფი (44), 0:2 ბედრონი (66), 1:2 ფუიე (88)

**პსჟ 3:0 სედანი**

1:0 არტეტა (23პ), 2:0 ალექსი (82), 3:0 ე. სისე (90)

**ოსერი 2:1 ნანტი**

1:0 ჯ. სისე (19), 1:1 მოლდოვანი (26), 2:1 ა. გონსალესი (78)

**ლორიანი 1:0 ტრუა**

1:0 ფეინდუნო (60)

**მეცი 1:2 ბორდო**

1:0 ჟობი (36), 1:1 პაულეტა (71), 1:2 დორასო (83)

**მონაკო 3:1 გენგამი**

1:0 ნონდა (15პ), 1:1 ბარდონი (30), 2:1 როტენი (45), 3:1 ნონდა (63)

**რენი 2:1 ბასტია**

0:1 ვერელი (32პ), 1:1 ლუკა (43), 2:1 მაულიდა (58)

**აფრიკის თასის** ფინალის შემდეგ სენეგალელმა ელ ჰაჯი დიუფიმ საფრანგეთში დაბრუნება არ იჩქარა. იცოდა, „ლანსი" ისევ იქ დახვდებოდა, სადაც დატოვა. იფიქრა, მოდი, ბარემ გვერდზეა, სამშობლოში შევივლი, ჩემიანებს ვნახავო. იქით მშობლები, აქეთ სატრფო, ძმაბიჭები და ლანსში მოგვიანებით ჩავიდა. შენ სამოგზაუროდ რაღაც ძალიან ბევრი ფული გქონიაო და გუნდის ბოსებმა გვარიანი ჯარიმა აკრეს. სასჯელმა წამალივით იმოქმედა ფეხბურთელზე.

გარდა ამისა, „ლანსმა" „ლიონის" სურნელი იყნოსა სიახლოვეს და მონპელიეში მოსაგებად ჩავიდა. სტუმრები ვერც კაცნაკლულობამ შეაშინა. ფერდინანდ კოლის ნახევარ საათში თამაში „მოსწყინდა" და არბიტრის თანადგომით მოედანიც დატოვა. ათიოდ წუთში ელ ჰაჯი დიუფიმ „ლანსის" მეპატრონეებს დაუმტკიცა, რომ მშობლიურ მიწა-წყალზე ზედმეტად გასეირნება მისთვის არ უწყენია.

მეორე ტაიმში სტეფან პედრონმა ყველა მეტოქეს აგრძნობინა — „ლანსი" ათი კაცითაც ჩემპიონობისთვის იბრძოლებსო. ამათ წყვილ ზალპს მასპინძლებმა ერთი წკაპუნით უპასუხეს და სულ ეგ იყო.

აცაბაცა დატანტალებს „ლიონი". ჩანს, ჯერაც ვერ გამოაღწია „ლიბერეცისგან" მიღებული შთაბეჭდილებებიდან. ჩეხურ გუნდთან მარცხისგან მხსნელ სიდნეი გოვუს მხარი ეცვალა „სოშოსთან", რადგან პირველი ნახევრის მიწურულს მისი ფეხისგან ბურთი ლიონელთა კარში აღმოჩნდა. გოვუმ შესვენებაზე კომპასი მოითხოვა, ყველაფერი გაარკვია და თამაშის განახლებისთანავე თავადვე გაათანაბრა. ამდენი გიწვალია ჩვენთვის, შრომას წყალში როგორ ჩაგიყრითო, სოშოელმა პიერ-ალენ ფრაუმ სიდნეი გოვუს დაწყებული, გამარჯვების მეორე გოლით დაასრულა.

ფერდინანდ კოლივით მალევე შელონდა მინდორზე ყოფნით ნანტელი მაურო სეტო. წითელი ბარათის ხილვის შემდეგ სეტოს გუნდს თვლაში ერთი კაცი დააკლდა. არადა, ნანტელთათვის ოსერში საქმეები არცთუ ისე ცუდად მიედინებოდა. მართალია, ჯიბრილ სისემ შეხვედრის დაწყებიდან მალევე ბურთი სტუმართა კარის ბადეს შეაჯვარა, მაგრამ ვიორელ მოლდოვანმა იქვე გაათანაბრა. მერე კი ფრთამოტეხილმა ყვითელმა „იადონმა" არნო გონსალესის გოლს ვეღარაფრით უპასუხა. გი რუს მოწაფე... ამ ... ონო მა... ვისას ალბათ ბოლომდე ეცდებიან.

მესამე სულსწრაფი, ვინც პირველივე ტაიმში გააძევეს მინდვრიდან, სედანელი სედრიკ ელიზერი გახლავთ. მისი გაგდება პარიზელმა მიკელ არტეტამ უმალ რეალიზებული თერთმეტმეტრიანით აღნიშნა. თითქოს ათი სედანელის დაჩაგვრა პსჟ-ს არ უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ ათნი უფრო მჭიდროდ შეიკრნენ და მხოლოდ შეხვედრის მიწურულსღა გატყდნენ. დიას ალექსმა და ელუა სისემ მორალურად დაატერორეს სტუმრები.

პარიზელები ძალიან გაგვირბიანო, აუხსნა ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩმა ბიჭებს და „მარსელის" წინააღმდეგ მოსაგებად დაგეშა. რაღაც გაჯიუტდნენ მარსელელები. არ აპირებდნენ წაგებას. ბრუნო შეირუმ ერთი გოლით კი დააშინა სტუმრები, მაგრამ შეხვედრის ბოლომდე ჯაჯგურობდნენ მეტოქეები. მხოლოდ დაგუ ბაკარის მიერ მატჩის უკანასკნელ წუთზე გატანილმა დააშოშმინა გუნდები.

ამ ხუმრობა-ხუმრობაში მერვე ადგილზე აღზევდა „მონაკო". ერთ-ერთი მისავათებული „გენგამი" იმსხვერპლეს დიდიე დეშანის შეგირდებმა. დუბლი მოინიშნა შაბანი ნონდამ, ერთიც როტენმა დაამატა და „მონაკო" კარგად თუ მოიქცევა, ვინძლო, უეფას თასზე გამსვლელი ბილეთიც მოიხელთოს.

მეოთხე, ვისაც წითელმა მატჩის ჩამთავრების საშუალება არ მისცა, ბასტიელი მიკაელ ესიენი გახლავთ, მისმა გუნდმა „რენთან" მოიხარა ქედი.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლანსი | 26 | 16 | 7 | 3 | 43:18 | 55 |
| ლიონი | 27 | 15 | 5 | 7 | 54:29 | 50 |
| ოსერი | 25 | 13 | 9 | 3 | 34:22 | 48 |
| პსჟ | 27 | 11 | 12 | 4 | 35:20 | 45 |
| ლილი | 26 | 11 | 9 | 6 | 31:24 | 42 |
| ბორდო | 26 | 11 | 8 | 7 | 27:21 | 41 |
| ტრუა | 26 | 10 | 6 | 10 | 32:30 | 36 |
| მონაკო | 27 | 9 | 8 | 10 | 30:30 | 35 |
| სოშო | 27 | 9 | 8 | 10 | 34:36 | 35 |
| მარსელი | 27 | 8 | 9 | 10 | 25:31 | 33 |
| მონპელიე | 27 | 7 | 11 | 9 | 23:24 | 32 |
| ბასტია | 27 | 9 | 4 | 14 | 29:37 | 31 |
| ნანტი | 27 | 8 | 5 | 14 | 25:34 | 29 |
| რენი | 27 | 7 | 8 | 12 | 28:40 | 29 |
| სედანი | 25 | 6 | 10 | 9 | 26:29 | 28 |
| ლორიანი | 27 | 7 | 6 | 14 | 36:52 | 27 |
| გენგამი | 27 | 6 | 8 | 13 | 25:45 | 26 |
| მეცი | 25 | 7 | 3 | 15 | 17:32 | 24 |

### II დივიზიონი

30-ე ტური: ბოვე — ნანსი 0:1; გენიონი — აიაჩო 1:2; ისტრი — გრენობლი 1:1; ლავალი — ვასკეალი 3:0; ლე ავრი — სენტ ეტიენი 0:0; ნიცა — ლე მანი 3:2; ნიმი — შატორუ 0:1; ნიორი — კაენი 2:0; სტრასბური — კრეტეი 0:2; მარტიგი — ამიენი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაჩო | 30 | 15 | 10 | 5 | 40:23 | 55 |
| ბოვე | 30 | 13 | 13 | 4 | 32:17 | 52 |
| ლე ავრი | 29 | 13 | 12 | 4 | 42:22 | 51 |
| სტრასბური | 27 | 14 | 7 | 6 | 36:20 | 49 |
| ნიცა | 30 | 15 | 4 | 11 | 41:32 | 49 |
| ლე მანი | 30 | 12 | 9 | 9 | 41:36 | 45 |
| შატორუ | 29 | 12 | 5 | 12 | 31:31 | 41 |
| ლავალი | 29 | 11 | 7 | 11 | 33:35 | 40 |
| ამიენი | 29 | 9 | 11 | 9 | 36:36 | 38 |
| ნანსი | 27 | 9 | 10 | 8 | 29:25 | 37 |
| გენიონი | 29 | 7 | 16 | 6 | 32:34 | 37 |
| კაენი | 30 | 9 | 9 | 12 | 41:47 | 36 |
| გრენობლი | 30 | 9 | 9 | 12 | 29:42 | 36 |
| ვასკეალი | 29 | 9 | 8 | 12 | 33:41 | 35 |
| ნიორი | 30 | 6 | 14 | 10 | 29:32 | 32 |
| სენტ ეტიენი | 29 | 7 | 11 | 11 | 26:36 | 32 |
| ისტრი | 29 | 5 | 15 | 9 | 27:32 | 30 |
| კრეტეი | 30 | 6 | 11 | 13 | 28:37 | 29 |
| მარტიგი | 29 | 6 | 8 | 15 | 24:40 | 26 |
| ნიმი | 29 | 3 | 15 | 11 | 23:35 | 24 |



სოშო — ლიონი. სიდნეი გოვუმ (მარჯვნივ) ორივე გუნდისთვის გაიტანა

## იტალია

### სერია A. XXIV ტური

**ვენეცია 1:4 მილანი**

0:1 კალაძე (12), 1:1 მანიერო (16), 1:2 ხავი მორენო (66), 1:3 კონტრა (74), 1:4 ხავი მორენო (80)
ვენეცია: ჯ. როსი, კონტეში, პავანი, ვიალი, ბეტარინი, ბრესანი (ვალტოლინა 67), მარასკო, დ. ანდერსონი, დე ფრანჩესკი (ვანუკი 58), მანიერო (დი ნაპოლი 76), მაგალიანესი
მწვრთნელი: ალფრედო მანი
მილანი: აბიატი, კონტრა, კოსტაკურტა, შამოტი, როკე ჟუნიორი, ალბერტინი (ხავი მორენო 46), გატუზო, კალაძე, პირლო (რუი კოშტა 64), შევჩენკო, ხოსე მარი (ბა 85)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: ბეტარინი, პავანი
მსაჯი: ტრენტალანჯე
10 015 მაყურებელი

**ტორინო 2:2 იუვენტუსი**

0:1 ტრეზეგე (10), 1:1 ფერანტე (64), 2:1 კოე (80), 2:2 მარესკა (90)
ტორინო: ბუჩი, დელი კარი, ფატორი, გალანტე, კომოტო, ასტა (დე აშენტისი 46), ვერგასოლა, სკარჩილი (მასპერო 62), მეცანო, ფერანტე (კოე 74), ჯ. ლუკარელი
მწვრთნელი: ჯანკარლო კამოლეზე
იუვენტუსი: ბუფონი, ტურამი, ფერარა, იულიანო, პესოტო (კ. ძენონი 76), ძამბროტა (ტაკინარდი 64), კონტე, დავიდსი (მარესკა 76), ნედვედი, დელ პიერო, ტრეზეგე
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
გაფრთხილება: კომოტო, დე აშენტისი, ვერგასოლა, კონტე, ძამბროტა, ლუკარელი
მსაჯი: პაპარესტა
45 000 მაყურებელი

**რომა 1:0 პერუჯა**

1:0 მონტელა (58)
რომა: ანტონიოლი, ძებინა, ვ. სამუელი, პანუჩი, კაფუ, ტომაზი, ემერსონი, კანდელა, ტოტი, მონტელა (ბატისტუტა 70), დელვეკიო (ლიმა 70)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
პერუჯა: ო. კორდობა, სოლიანო (ბერეტონი 80), დი ლორეტო, რეზაეი, ზე მარია, ტედესკო, ბლაზი, ბაიოკო (ფუზანი 83), გროსო, ანი (ონილი 65), ბაცანი
მწვრთნელი: სერსე კოზმი
გაფრთხილება: პანუჩი, ბლაზი, ძებინა
მსაჯი: ბოლონინო
65 000 მაყურებელი

**ინტერი 3:2 უდინეზე**

1:0 ვიერი (28), 2:0 ვენტოლა (67), 2:1 მუცი (80), 3:1 კონსეისაუ (86), 3:2 პინცი (88)
ინტერი: ტოლდო, ხ. ძანეტი, ი. კორდობა, მატერაცი, გრეშკო (ვივასი 65), დი ბიაჯო, ფარინოსი (ს. კონსეისაუ 67), რეკობა (გულიელმინპიეტრო 73), ზეედორფი, ვიერი, ვენტოლა
მწვრთნელი: ექტორ კუპერი
უდინეზე: ტურჩი, კროლდრუპი, სკარლატო, თ. მანფრედინი, პინცი, დ. პიზარო, ლ. ელგერა (ვარლეი 80), პინედა, ნომვეტე, იორგენსენი (მარტინესი 46), მუცი
მწვრთნელი: ჯანპიერო ვენტურა
გაფრთხილება: ვენტოლა
მსაჯი: ბრასკი
56 000 მაყურებელი

**კიევო 1:1 ბრეშა**

1:0 კორადი (42), 1:1 ტონი (80)
კიევო: ლუპატელი, ფ. მორო, ლეგროტალიე, დანა, ს. ლანა, ერიბერტო (ფ. კოსატო 86), ბარონე, კორინი, კ. მანფრედინი (მ. ესპოზიტო 61), კორადი, მარაცინა (ლორენცი 72)
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
ბრეშა: კასტელაცი (სრნიჩევი 34), ბონერა, პეტრუცი, კალორი (შობი 46), მანგონე, სუსი, ა. ფილიპინი, გუანა, ჯუნტი, ტონი, სალგადო (კარაჩოლო 46)
მწვრთნელი: კარლო მაცონე
გაფრთხილება: ფილიპინი, ლეგროტალიე, მანფრედინი, დანა, სუსი, მარაცინა, ლეგროტალიე, კარაჩოლო
გაძევება: ლეგროტალიე (71)
მსაჯი: პელეგრინო
9 775 მაყურებელი

**ატალანტა 0:1 ლაციო**

0:1 პობორსკი (78)
ატალანტა: პინატო, სალა, ფოლიო, კარერა, ფალზინი, ბელინი (პინარდი 82), ძაური, ბერეტა (საუდატი 84), დონი, ინაჩიო პია, კოლომბო (კომანდინი 67)
მწვრთნელი: ჯოვანი ვავასორი
ლაციო: პერუცი, კოლონეზე, ნესტა, ფ. კოუტუ, პანკარო, პობორსკი, ჯანიკედა, დ. სტანკოვიჩი (დ. ბაჯო 79), მენდიეტა (ფიორე 60), ს. ინძაგი, კ. ლოპესი (გოტარდი 90)
მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი
გაფრთხილება: კოლომბო, ძაური, პანკარო
მსაჯი: ბორიელო
15 000 მაყურებელი

**ბოლონია 2:1 ვერონა**

0:1 ჯილარდინო (76), 1:1 ფრეზი (78), 2:1 კრუზი (90)
ბოლონია: პალიუკა, ფალკონე, ფრეზი, მ. კასტელინი, ბრიოსკი (ბელუჩი 60; ძაკარდო 90), ოლივე, ბრიგი, ტარანტინო, პეკია (სინიორი 77), ძაული, ხ. კრუზი
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
ვერონა: ფერონი, ოდო, მ. კანავარო, ძანკი, გონელა (ტეოდორანი 77), მელისი (ჯ. ფილიპინი 77), სალვეტი, იტალიანო, მაცოლა, მუტუ, ჯილარდინო
მწვრთნელი: ალბერტო მალეზანი
გაფრთხილება: კასტელინი, იტალიანო, გონელა, კასტელინი
გაძევება: კასტელინი (90)
მსაჯი: ტრეფოლონი
28 500 მაყურებელი

**პიაჩენცა 2:3 პარმა**

0:1 დი ვაიო (30), 0:2 მიკუ (42), 0:3 ბოგოსიანი (73), 1:3, 2:3 უბნერი (80, 90პ)
პიაჩენცა: გუარდალბენი, კრისტანტე, ლამაკა, ა. ლუკარელი, ტოსტო, გაუტიერი (პოჯი 58), ვოლპი, მატუზალემი, სომეზე (სტატუტო 46), კაჩა (ამაური 72), უბნერი
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
პარმა: ფრეი, ჯეტუ სენსინი, ფ. კანავარო, დიანა, ბოგოსიანი (მარინი 81), ლამუში, ჟუნიორი, მიკუ, დი ვაიო, შუქური
მწვრთნელი: პიეტრო კარმინიანი
გაფრთხილება: ვოლპი, კანავარო, კრისტანტე
მსაჯი: კოლინა
9 000 მაყურებელი

**ფიორენტინა 1:2 ლეჩე**

1:0 დი ლივიო (42), 1:1 ვუგრინეცი (45), 1:2 ჩევანტონი (82)
ადრიანომ ვერ გაიტანა პენალტი (90, ასცილა)
ფიორენტინა: მანინგერი, ჩიარელი, პიერინი, მორეტი, დი ლივიო (პალომბო 76), ამარალი, კ. ამორუზო, ტორიჩელი, მორფეო (მიატოვიჩი 72), ნუნუ გომეში (ე. გონსალესი 46), ადრიანო
მწვრთნელი: ოტავიო ბიანკი
ლეჩე: კიმენტი (ფრეცოლინი 38), ჟუარესი, სილვესტრი, პოპესკუ, სავინო, კონტიკიო, პიანჯერელი, ჯაკომაცი (სუპერბი 54), ტონეტო, ჩევანტონი (ციმეროტიჩი 85), ვუგრინეცი
მწვრთნელი: დელიო როსი
გაფრთხილება: სილვესტრი, ჩევანტონი
მსაჯი: როზეტი
15 000 მაყურებელი

# ტურინული ფრე და ზამთრის ოლიმპიადა




**ტორინო — იუვენტუსი. აი, ბრძოლა: მასპინძელთა კაპიტანი ანტონიო ასტა ჩირო ფერარასა და ედგარ დავიდსის წინააღმდეგ**

REUTERS ტურინიდან

**ტურინული** დერბი, „ტორინო" — „იუვენტუსი" 2:2 დასრულდა და, შედეგად, სერია A-ს ცხრილის სათავეში ცვლილებები მოხდა: 24 ტურის (ჩემპიონატის დამთავრებამდე 10 ტურით ადრე) შემდეგ, ქულათა ტოლი რაოდენობით „ინტერი" და „რომა" ლიდერობენ.

სხვათა შორის, „ბებერი ქალბატონის" ამომავალი ვარსკვლავის, ენცო მარესკას მიერ ბოლო წუთზე გატანილი გოლი რომ არა, დერბიში „ტორინო" გაიმარჯვებდა — ანგარიში, მართალია, დავიდ ტრეზეგემ გახსნა, მაგრამ შესვენების შემდეგ, მარკო ფერანტესა და შეცვლაზე შესული ფრანცის, ბენუა კოეს გოლებმა სასწორი „ტოროს" სასარგებლოდ გადახარა.

მიუხედავად იმისა, რომ თამაში ერთობ დაძაბული გახლდათ, მისი შედეგი ერთგვარად სიმბოლური გამოდგა — იმ დღეს, სოლტ ლეიკ სიტიში ზამთრის ოლიმპიადა დასრულდა და ოლიმპიური დროშა საზეიმოდ გადაეცა ტურინს, მომავალი თამაშების მასპინძელს.

„რომამ" კი შაბათს ითამაშა, „პერუჯას" უმასპინძლა და ვინჩენცო მონტელას გოლით 1:0 მოუგო. გაიმარჯვა „ინტერმაც". მილანელ შავ-ლურჯებს მართალია თვალისმომჭრელი არაფერი გაუკეთებიათ, მაგრამ მშობლიურ „სან სიროზე" „უდინეზეს" 3:2 დამარცხება მაინც შეძლო. მილანელთაგან გოლები კრისტიან ვიერიმ, ნიკოლა ვენტოლამ და შეცვლაზე შესულმა პორტუგალიელმა სერჟიუ კონსეისაუმ გაიტანეს.

სხვათა შორის, ვიერის გოლი გახლდათ მე-17 იმ 16 შეხვედრაში, ფორვარდმა მოედანზე გასვლა რომ შეძლო.

„დღეს ჩვენს თამაშს კარგს ვერ ვუწოდებ. უცნაურია, მაგრამ ხეირიანად მხოლოდ სამ ეპიზოდში გავისარჯეთ და სამივე გოლით დასრულდა" — განაცხადა მატჩის შემდეგ „ინტერის" თავკაცმა ექტორ რაულ კუპერმა.

ბოლონიელთა ბოლოდროინდელ წარმატებებს „ვერონასთან" თამაშის 75-ე წუთზე შავი ღრუბელი გადაეფარა, რადგან მანამდე 0:0 იყო, ხოლო საფინალო სასტვენამდე 15 წუთით ადრე ალბერტო ჯილარდინომ ანგარიში გახსნა, მაგრამ სალვატორე ფრეზიმ და ხულიო [illegible] ლა მოიპოვეს.

„მ[illegible] რატე[illegible] ჩვენ ვ[illegible], ვერონელები ფხიზლად გვეთამაშებოდნენ და გოლი რომ გაგვიტანეს, ვიფიქრე ვაითუ წავაგოთ-მეთქი — ამბობდა შემდეგ „ბოლონიას" მწვრთნელი ფრანჩესკო გვიდოლინი — კიდევ კარგი გონს მოვეგეთ და მიუხედავად იმისა, რომ ცხრილში დაწინაურებულ სამეულს ჩამოვრჩებით, მეოთხე ადგილზე ყოფნა მაინც მახარებს".

„კიევო" კი მეხუთე ადგილზე ჩასრიალდა. არა, ვერონელებს არ წაუგიათ, მათ „ბრეშასთან" 1:1 ითამაშეს, მაგრამ როგორც გაირკვა, მეოთხე ადგილზე დასარჩენად უნდა მოეგოთ. და ვინაიდან ეს ვერ შეძლეს, დღეს ცხრილში ისეთ დაბალ პოზიციაზე აღმოჩნდნენ, როგორზეც არ ყოფილან — მოგეხსენებათ, „კიევო" სერია A-ს დებიუტანტია.

„ლაციომ" ბერგამოში გაიმარჯვა. „ატალანტას" კარში ერთდაერთი გოლი ჩეხმა კარელ პობორსკიმ შეაგდო.

„ეს გამარჯვება მორალური თვალსაზრისით იყო კარგი — თქვა „ლაციოს" თავკაცმა ალბერტო ძაკერონიმ — თუ ასეთი რიხით თამაშს მომავალშიც შევძლებთ, ვფიქრობ, საბოლოოდ დავიკავებთ ისეთ ადგილს, რომელიც მომავალი სეზონიდან ჩემპიონთა ლიგაში გვათამაშებს".

„ფიორენტინამ" შინ „ლეჩესთან" წააგო 1:2. მართალია, იტალიის ნაკრების ყოფილმა წევრმა, ანჯელო დი ლივიომ ანგარიში საუცხოო გოლით გახსნა, მაგრამ ხორვატმა დავორ ვუგრინეცმა და ურუგვაელმა ხავიერ ჩევანტონმა ორი ზუსტი დარტყმით გასცეს პასუხი. ფლორენციელთა საუბედუროდ, ბრაზილიელმა ადრიანომ პენალტი ვერ შეაგდო.

**ბაჩუნა ძიდია**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ინტერი | 24 | 14 | 7 | 3 | 43:21 | 22 | 49 | 12 | 8 | 2 | 2 | 22:10 | 12 | 26 | 12 | 6 | 5 | 1 | 21:11 | 10 | 23 |
| 2 | რომა | 24 | 13 | 10 | 1 | 34:14 | 20 | 49 | 13 | 9 | 4 | 0 | 19:5 | 14 | 31 | 11 | 4 | 6 | 1 | 15:9 | 6 | 18 |
| 3 | იუვენტუსი | 24 | 13 | 9 | 2 | 45:18 | 27 | 48 | 12 | 9 | 2 | 1 | 28:9 | 19 | 29 | 12 | 4 | 7 | 1 | 17:9 | 8 | 19 |
| 4 | ბოლონია | 24 | 12 | 5 | 7 | 27:24 | 3 | 41 | 13 | 9 | 2 | 2 | 19:12 | 7 | 29 | 11 | 3 | 3 | 5 | 8:12 | -4 | 12 |
| 5 | კიევო | 24 | 11 | 6 | 7 | 42:35 | 7 | 39 | 12 | 7 | 2 | 3 | 22:15 | 7 | 23 | 12 | 4 | 4 | 4 | 20:20 | 0 | 16 |
| 6 | მილანი | 24 | 9 | 11 | 4 | 35:25 | 10 | 38 | 12 | 4 | 7 | 1 | 17:11 | 6 | 19 | 12 | 5 | 4 | 3 | 18:14 | 4 | 19 |
| 7 | ლაციო | 24 | 8 | 9 | 7 | 30:20 | 10 | 33 | 11 | 5 | 6 | 0 | 21:5 | 16 | 21 | 13 | 3 | 3 | 7 | 9:15 | -6 | 12 |
| 8 | ტორინო | 24 | 8 | 8 | 8 | 28:28 | 0 | 32 | 12 | 6 | 2 | 4 | 18:13 | 5 | 20 | 12 | 2 | 6 | 4 | 10:15 | -5 | 12 |
| 9 | ვერონა | 24 | 9 | 5 | 10 | 32:37 | -5 | 32 | 12 | 7 | 3 | 2 | 19:13 | 6 | 24 | 12 | 2 | 2 | 8 | 13:24 | -11 | 8 |
| 10 | პარმა | 24 | 8 | 6 | 10 | 32:35 | -3 | 30 | 12 | 5 | 4 | 3 | 16:13 | 3 | 19 | 12 | 3 | 2 | 7 | 16:22 | -6 | 11 |
| 11 | პერუჯა | 24 | 8 | 6 | 10 | 26:32 | -6 | 30 | 11 | 6 | 3 | 2 | 15:8 | 7 | 21 | 13 | 2 | 3 | 8 | 11:24 | -13 | 9 |
| 12 | უდინეზე | 24 | 8 | 5 | 11 | 33:39 | -6 | 29 | 12 | 2 | 4 | 6 | 13:19 | -6 | 10 | 12 | 6 | 1 | 5 | 20:20 | 0 | 19 |
| 13 | პიაჩენცა | 24 | 7 | 6 | 11 | 34:33 | 1 | 27 | 12 | 5 | 1 | 6 | 22:16 | 6 | 16 | 12 | 2 | 5 | 5 | 12:17 | -5 | 11 |
| 14 | ატალანტა | 24 | 7 | 6 | 11 | 27:38 | -11 | 27 | 13 | 4 | 4 | 5 | 16:19 | -3 | 16 | 11 | 3 | 2 | 6 | 11:19 | -8 | 11 |
| 15 | ბრეშა | 24 | 5 | 10 | 9 | 26:38 | -12 | 25 | 11 | 2 | 5 | 4 | 16:23 | -7 | 11 | 13 | 3 | 5 | 5 | 10:15 | -5 | 14 |
| 16 | ლეჩე | 24 | 5 | 8 | 11 | 24:36 | -12 | 23 | 12 | 2 | 5 | 5 | 12:15 | -3 | 11 | 12 | 3 | 3 | 6 | 12:21 | -9 | 12 |
| 17 | ფიორენტინა | 24 | 4 | 5 | 15 | 25:48 | -23 | 17 | 12 | 3 | 4 | 5 | 14:18 | -4 | 13 | 12 | 1 | 1 | 10 | 11:30 | -19 | 4 |
| 18 | ვენეცია | 24 | 3 | 6 | 15 | 21:43 | -22 | 15 | 12 | 2 | 4 | 6 | 13:18 | -5 | 10 | 12 | 1 | 2 | 9 | 8:25 | -17 | 5 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| უბნერი (პიაჩენცა) | 19 |
| ვიერი (ინტერი) | 17 |
| დი ვაიო (პარმა) | 16 |
| ტრეზეგე (იუვენტუსი) | 16 |
| დონი (ატალანტა) | 14 |
| მანიერო (ვენეცია) | 14 |

**XXV ტური**

**3 მარტი**

უდინეზე - ატალანტა
იუვენტუსი - ბოლონია
პარმა - კიევო
ვერონა - ფიორენტინა
მილანი - ინტერი
ბრეშა - პიაჩენცა
ლეჩე - რომა
პერუჯა - ტორინო
ლაციო - ვენეცია

## სერია B

### XXV ტური

**რეჯინა 1:0 კოზენცა**

1:0 ტირანვკი (69)

**ანკონა 1:1 კომო**

1:0 მ. ვიერი (48), 1:1 ტალდო (59)

**კალიარი 1:1 ნაპოლი**

0:1 იანკულოვსკი (37), 1:1 კამარატა (58)

**კროტონე 2:2 ბარი**

0:1 პიცინატი (50), 0:2 პალმიერი (58), 1:2, 2:2 დეფლორიო (71, 75)

**ემპოლი 0:0 ჩიტადელა**

**ჯენოა 0:2 ტერნანა**

0:1 დავერსა (31), 0:2 მიკოლი (73)

**პალერმო 2:0 სამპდორია**

1:0 მასკარა (57), 2:0 გვიდონი (68)

**სალერნიტანა 1:0 სიენა**

1:0 ვინიაროლი (76)

**ვიჩენცა 2:2 მესინა**

1:0 დელა მორტე (7), 2:0 ამბროზეტი (21), 2:1 გოდეაში (71), 2:2 ბროდანი (90)

**მოდენა — პისტოიეზე**

წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეჯინა | 25 | 14 | 8 | 3 | 34:18 | 50 |
| მოდენა | 24 | 14 | 7 | 3 | 43:15 | 49 |
| კომო | 25 | 15 | 4 | 6 | 35:24 | 49 |
| ემპოლი | 25 | 14 | 6 | 5 | 44:21 | 48 |
| ნაპოლი | 25 | 11 | 8 | 6 | 31:25 | 41 |
| სალერნიტანა | 25 | 10 | 8 | 7 | 37:35 | 38 |
| ვიჩენცა | 25 | 9 | 10 | 6 | 36:36 | 37 |
| პალერმო | 25 | 10 | 7 | 8 | 34:35 | 37 |
| სამპდორია | 25 | 8 | 8 | 9 | 33:32 | 32 |
| მესინა | 25 | 7 | 11 | 7 | 28:27 | 32 |
| ბარი | 25 | 8 | 8 | 9 | 24:31 | 32 |
| ჯენოა | 25 | 6 | 11 | 8 | 27:26 | 29 |
| კალიარი | 25 | 6 | 11 | 8 | 26:26 | 29 |
| კოზენცა | 25 | 8 | 5 | 12 | 29:40 | 29 |
| ტერნანა | 25 | 5 | 11 | 9 | 30:35 | 26 |
| პისტოიეზე | 24 | 6 | 8 | 10 | 20:26 | 26 |
| ანკონა | 25 | 6 | 7 | 12 | 21:36 | 25 |
| ჩიტადელა | 25 | 6 | 6 | 13 | 30:40 | 24 |
| კროტონე | 25 | 3 | 8 | 14 | 28:42 | 17 |
| სიენა | 25 | 3 | 8 | 14 | 18:38 | 17 |

## სერია C1/a

გადადებული მატჩი: ვარეზე — არეცო 1:0

## სერია C1/b

გადადებული მატჩი: აკილა — აველინო 2:1

ეროვნული ბიბლიოთეკა



# იტალიის ჩემპიონატი
## ოცდამეოთხე ტურის მატჩი
### ვენეცია 1:4 მილანი
კახა კალაძე: 90 წუთი, 1 გოლი



# კარლომ გაიტანა, კარლოს გაეხარდა

„მილანმა" ბოლო ადგილზე მყოფ „ვენეციას" სტუმრად აჯობა 4:1. ანგარიში ქართველმა კახა კალაძემ გახსნა — ჯენარო გატუზომ მარჯვენა ფრთიდან პასი საჯარიმოში, კარისკენ ზურგით მდგომ ანდრეი შევჩენკოს გადააწოდა. შევჩენკოს მჭიდროდ მეურვეობდნენ, მაგრამ მან ბურთის შენარჩუნება და უმჯობეს გაგრძელებაზე დაფიქრება მოასწრო, უკეთესი გაგრძელება კი მარცხნიდან შემოვარდნილი და უმეთვალყურეო კალაძე აღმოჩნდა, რომელსაც ბურთის გაჩერების და მეკარისგან მარჯვენა კუთხეში დარტყმის დროც აღმოაჩნდა.

ამ გოლს ვენეციელებმა ფილიპო მანიეროს გოლით უპასუხეს, მაგრამ მეორე ტაიმში ესპანელმა ხავი მორენომ ორჯერ, ხოლო რუმინელმა კოზმინ კონტრამ ერთხელ მიაღწიეს წარმატებას და მწვრთნელს, კარლო ანჩელოტის, 6 იანვრის შემდეგ პირველი გამარჯვება უძღვნეს.

„მეორე ტაიმში მთელი გუნდი საუცხოოდ თამაშობდა და ვგონებ, ამ შედეგით წარუმატებლობების წარსულისთვის ჩაბარებაც შეგვიძლია" — განაცხადა მატჩის შემდეგ ანჩელოტიმ.

*„გაძეტა დელო სპორტმა" მილანელთა თამაში ასე შეაფასა: აბიატი 6; კონტრა 7, კოსტაკურტა 6, შამოტი 5,5, როკე ჟუნიორი 5,5; ალბერტინი 5,5 (ხავი მორენო 6,5), გატუზო 6,5, კალაძე 6,5; პირლო 5,5 (რუი კოშტა 6,5); შევჩენკო 6, ხოსე მარი 7 (ბა).*

## თურქეთი

24-ე ტური: დენიზლი — ფენერბაჰჩე 1:2; სამსუნი — დიარბაქირი 0:0; იოზგათი — გიოზთეფე 1:1; გალათასარაი — გენჩლერბირლიგი 3:1; რიზე — მალათია 0:0; ისტანბული — ბურსა 3:0; ანკარაგიუჯიუ — ტრაბზონი 4:2; ანთალია — გაზიანთეფი 3:3; ქოჯაელი — ბეშიქთაში 0:2

„ბეშიქთაშმა" რომ „ქოჯაელს" სძლია, ეს უკვე ერთგვარი სიგნალი იყო დანარჩენი ორი ლიდერისთვის. კრისტოფ დაუმი მირჩა ლუჩესკუს დაეწია თუ არა, ეგრევე რუმინელის „გალათასარაიც" დაიქოქა და დედაქალაქურ „გენჩლერბირლიგს" მოუგო. აქ საქმეში უკვე მეორე გერმანელი, ვერნერ ლორანტი ჩაერია. „ფენერბაჰჩეს" სტუმრად „დენიზლი" უნდა წაექცია, რათა სამეულის ჰარმონია შეენარჩუნებინა. გეგმები ლორანტს პირველივე ტაიმში აერია. მირკოვიჩმა მეთექვსმეტე წუთზე „დენიზლი" დააწინაურა. ცნობისათვის, მირკოვიჩი ფენერბაჰჩელია და გოლი საკუთარ კარში გაიტანა. მაგრამ მას მალევე მშველელად ებრაელი ჰაიმ რევივო მოევლინა, რომელმაც გაათანაბრა. მის გოლს კიდევ ერთი „ფენერული" მოჰყვა. ასე რომ, სტამბოლური სამეული, როგორც ეს ისტორიულად მოსდგამთ, ახლოს არავის უშვებს. მიუხედავად იმისა, რომ „ანკარაგიუჯიუმ" ტრაბზონელები დაამარცხა, დედაქალაქის გუნდს პირველ სამეულში ცხვირი მაინც არ შეაყოფინეს. „ტრაბზონს" უეფას თასის საგზურისკენ კი ეჭირა თვალი, მაგრამ იგი „ანკარაგიუჯიუმ" ამოსთხარა.

**გაგა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 24 | 16 | 5 | 3 | 58:28 | 53 |
| ბეშიქთაში | 24 | 15 | 5 | 4 | 57:27 | 50 |
| ფენერბაჰჩე | 24 | 16 | 1 | 7 | 48:25 | 49 |
| ანკარაგიუჯიუ | 24 | 14 | 3 | 7 | 57:39 | 45 |
| გაზიანთეფი | 24 | 10 | 5 | 9 | 40:35 | 35 |
| ისტანბული | 24 | 10 | 5 | 9 | 23:23 | 35 |
| ბურსა | 24 | 10 | 4 | 10 | 33:42 | 34 |
| ტრაბზონი | 24 | 9 | 5 | 10 | 38:40 | 32 |
| გიოზთეფე | 24 | 8 | 8 | 8 | 24:37 | 32 |
| დენიზლი | 24 | 7 | 8 | 9 | 42:35 | 29 |
| დიარბაქირი | 24 | 8 | 5 | 11 | 35:40 | 29 |
| რიზე | 24 | 6 | 10 | 8 | 29:32 | 28 |
| გენჩლერი | 24 | 7 | 7 | 10 | 33:41 | 28 |
| ქოჯაელი | 24 | 8 | 4 | 12 | 27:40 | 28 |
| მალათია | 24 | 8 | 2 | 14 | 23:41 | 26 |
| სამსუნი | 24 | 6 | 5 | 13 | 21:35 | 23 |
| ანთალია | 24 | 5 | 8 | 11 | 36:53 | 23 |
| იოზგათი | 24 | 5 | 6 | 13 | 33:44 | 21 |

## ავსტრია

23-ე ტური: ადმირა — კერნტენი 0:0; გრაცერი — აუსტრია 1:1; რაპიდი — ზალცბურგი 1:0; რიდი — შტურმი 1:1; ტიროლი — ბრეგენცი 4:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტიროლი | 22 | 17 | 3 | 2 | 45:5 | 54 |
| გრაცერი | 23 | 11 | 7 | 5 | 48:31 | 40 |
| შტურმი | 23 | 10 | 9 | 4 | 39:24 | 39 |
| ზალცბურგი | 23 | 9 | 6 | 8 | 25:25 | 33 |
| კერნტენი | 22 | 9 | 6 | 7 | 25:28 | 33 |
| აუსტრია | 22 | 6 | 8 | 8 | 27:26 | 26 |
| ბრეგენცი | 23 | 6 | 7 | 10 | 29:49 | 25 |
| რაპიდი | 22 | 6 | 5 | 11 | 19:29 | 23 |
| რიდი | 23 | 5 | 7 | 11 | 28:39 | 22 |
| ადმირა | 23 | 3 | 4 | 16 | 16:45 | 13 |

## საბერძნეთი

მე-17 ტური: პანიონიოსი — პაოკ 1:1; აკრატიტოსი — ოფი 1:2; იონიკოსი — ოლიმპიაკოსი 0:2; პანაჰაიკი — პანათინაიკოსი 0:0; ეგალეო — ირაკლისი 2:1; აეკ — ეთნიკოსი 1:0; ქსანთი — არისი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აეკ | 17 | 12 | 1 | 4 | 40:18 | 37 |
| ოლიმპიაკოსი | 17 | 10 | 5 | 2 | 40:21 | 35 |
| პანათინაიკოსი | 17 | 10 | 4 | 3 | 32:15 | 34 |
| ქსანთი | 17 | 9 | 5 | 3 | 27:15 | 32 |
| პაოკ | 17 | 9 | 5 | 3 | 34:25 | 32 |
| ოფი | 17 | 7 | 4 | 6 | 20:18 | 25 |
| ირაკლისი | 17 | 6 | 6 | 5 | 21:22 | 24 |
| არისი | 17 | 6 | 5 | 6 | 18:18 | 23 |
| პანიონიოსი | 17 | 5 | 6 | 6 | 21:26 | 21 |
| ეგალეო | 17 | 4 | 3 | 10 | 19:33 | 15 |
| იონიკოსი | 17 | 3 | 5 | 9 | 12:31 | 14 |
| ეთნიკოსი | 16 | 3 | 4 | 9 | 13:22 | 13 |
| აკრატიტოსი | 16 | 2 | 3 | 11 | 14:25 | 9 |
| პანაჰაიკი | 17 | 1 | 6 | 10 | 16:38 | 9 |

## შოტლანდია
### ასოციაციის თასი
### მეოთხედფინალი

**ფორფარი (II) 0:6 რეინჯერსი**

0:1 დოდსი (1), 0:2, 0:3 არველაძე (30, 40), 0:4 კანჩელსკისი (42), 0:5, 0:6 დოდსი (60, 90)

რეინჯერსი: კლოსი (მაკგრეგორი 74), რიკსენი (მორის როსი 46), ლ. ამორუზო, ტ. ვიდმარი, ნუმანი, კანჩელსკისი, ს. ჰიუზი, ბ. ფერგიუსონი, მაკკანი, ბ. დოდსი, შ. არველაძე (ლატაპი 46)

მწვრთნელი: ალექს მაკლიში

მსაჯი: დუგალი

4 604 მაყურებელი

**დანდი იუნაიტედი 2:2 აირი (I)**

1:0 უინტერსი (7), 1:1 კრაბე (8), 2:1 ისტონი (24), 2:2 მაკგინლი (74)

**პარტიკი (I) 2:2 ინვერნესი (I)**

0:1 უისი (7), 1:1 ბარდი (59), 1:2 უისი (62), 2:2 პატერსონი (75)

**აბერდინი — სელტიკი**

*წუხელ გვიან გაიმართა (იხ. მეორე გვერდზე)*

**თუ ჩემპიონობისთვის** ბრძოლაში „სელტიკთან" პაექრობა ძალიან ჭირს, თასებზე ერთობ კარგად აქვს საქმე „რეინჯერსს". ალექს მაკლიშის გუნდმა ამ ცოტა ხნის წინ ლიგის თასის ნახევარფინალიდან სწორედ „სელტიკი" გამოთიშა, ახლა კი ასოციაციის ნახევარფინალს მიადგა.

ასოციაციის ანუ შოტლანდიის თასის მეოთხეფინალში „რეინჯერსმა" მეორე დივიზიონის „ფორფარ ატლეტიკი" გვემა.

გაიხარეს თამაშმოწყურებულმა ვეტერანებმა — ანდრეი კანჩელსკისმა და ბილი დოდსმა. შოტლანდიის ნაკრების ყოფილი ფორვარდი, ჰეთ თრიქის შემსრულებელი 32 წლის დოდსი სულაც ამ მატჩის საუკეთესო მოთამაშედ შერაცხეს, შეხვედრას კი ოდენ 4 500 მაყურებელი დაესწრო.

ბილ დოდსმა პირველი გოლი 39-ე წამზე გაიტანა. შოთა არველაძემ კი კანჩელსკისის პასით იხეირა.

— ქართველმა აკურატულად შეაცურა ბურთი ბადეშიო, იუწყება „რეინჯერსის" ვებ-გვერდი.



ფორფარი — რეინჯერსი. შოთა არველაძე (შუაში) მატჩის ულამაზესი გოლი გაიტანა

# საუკეთესოა ბებერი ბილი
## შოთას ეპიზოდთა ეპიზოდი

შეტევაში დოდსის მეწყვილე შოთა მატჩის ულამაზესი მომენტის შემქმნელიც შეიქნა — ჰიუზის გამოზომილი პასი ისე მოათვინიერა, რომ წინ გამოსულ „ფორფარის" მეკარეს მაღალი ტრაექტორიით გადაუგო ბურთი ბადეში.

ალექს მაკლიშმა ქართველი მეორე ტაიმს განარიდა, ფლო, კანიჯა და დე ბური კი საერთოდ არ შეუყვანია განაცხადში.

წუხელ „აბერდინი" და „სელტიკი" გაარკვევდნენ კიდევ ერთ ნახევარფინალისტს. შეგახსენებთ, რომ ამ ცოტა ხნის წინ, შარშანდელი, წლის მიწურულს, „სელტიკი" პრემიერლიგის მიმდინარე გათამაშებაში ერთადერთხელ, სწორედ „აბერდინთან" დამარცხდა.

**დავით თაგართქილაძე**

### პირველი დივიზიონი
### გადადებული მატჩები

რეითი — ფოლკირკი 5:1. კლაიდი — როსი გადაიდო

### მეორე დივიზიონი

27-ე ტური: ბერვიკი — კლაიდბენკი 1:2; ჰამილტონი — კოუდენბითი 0:2; სტრანრარი — ალოა 0:2. მორტონი — ქუინი გადაიდო

### მესამე დივიზიონი

27-ე ტური: ისტ ფაიფი — სტირლინგი 1:0; მონტროუზი — პიტერჰედი 2:1; ქუინზ პარკი — დამბარტონი 0:0. ელგინი — ალბიონი და სტირლინგი — ბრეჩინი გადაიდო

## პორტუგალია
### I ლიგა. XXIV ტური

**ლეირია 0:1 ვარზიმი**

0:1 ფრეიტაში (69)

**ჟილ ვისენტე 1:1 მარიტიმუ**

1:0 პაულუ ალვეში (3), 1:1 რ. სანტუში (90)

**სანტა კლარა 1:1 სალგეირუში**

0:1 ჟოაუ პედრუ (40), 1:1 გაბორი (77)

**ალვერკა 1:3 ბენფიკა**

0:1 ზაჰოვიჩი (57), 0:2 მანუელ პინტუ (59), 1:2 კაიუ ნევეში (80), 1:3 დრულოვიჩი (90)

**ფარენსე 1:2 ბოავიშტა**

1:0 კარლუშ კოშტა (44პ), 1:1 ჟ. სანჩესი (71პ), 1:2 რუი ლიმა (76)

**პორტუ 2:3 ბეირა მარი**

0:1 როლანდო (27), 1:1 მაკკარტი (42), 1:2 ფერი (51), 2:2 პარედესი (81), 2:3 ფერი (85)

**გიმარაეში 0:1 სპორტინგი**

0:1 ჟოაუ პინტუ (39)

**ბელენენსეში — სეტუბალი**

**ბრაგა — ფერეირა**

მატჩები წუხელ გვიან გაიმართა (იხ. მეორე გვერდზე) და მათი შედეგები ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპორტინგი | 24 | 16 | 5 | 3 | 52:18 | 53 |
| ბოავიშტა | 24 | 16 | 4 | 4 | 40:14 | 52 |
| პორტუ | 24 | 14 | 3 | 7 | 43:25 | 45 |
| ბენფიკა | 24 | 12 | 9 | 3 | 45:28 | 45 |
| ლეირია | 24 | 10 | 7 | 7 | 37:27 | 37 |
| მარიტიმუ | 24 | 11 | 3 | 10 | 32:26 | 36 |
| გიმარაეში | 24 | 10 | 6 | 8 | 27:22 | 36 |
| ბელენენსეში | 23 | 10 | 4 | 9 | 32:34 | 34 |
| სანტა კლარა | 24 | 9 | 7 | 8 | 24:27 | 34 |
| ფერეირა | 23 | 7 | 9 | 7 | 28:32 | 30 |
| ბრაგა | 23 | 7 | 8 | 8 | 27:21 | 29 |
| ბეირა მარი | 24 | 7 | 7 | 10 | 38:41 | 28 |
| ჟილ ვისენტე | 24 | 7 | 6 | 11 | 26:38 | 27 |
| სალგეირუში | 24 | 6 | 6 | 12 | 21:46 | 24 |
| სეტუბალი | 23 | 5 | 6 | 12 | 24:30 | 21 |
| ფარენსე | 24 | 5 | 5 | 14 | 19:38 | 20 |
| ვარზიმი | 24 | 5 | 5 | 14 | 19:45 | 20 |
| ალვერკა | 24 | 5 | 4 | 15 | 26:48 | 19 |

### II ლიგა

24-ე ტური: ოვარენსე — პენაფიელი 1:1; ოლივეირენსე — ნაცალი 0:2; პორტიმონენსე — ფელგეირაში 0:0; კამპომაიორენსე — მორეირენსე 0:1; მაია — ნასიონალი 1:2; ლეცა — აკადემიკა 3:3; რიუ ავე — ავეში 2:1; ლამაში — შავეში 2:1; ესპინიუ — ამადორა 0:1

## ჰოლანდია
### I დივიზიონი. XXIV ტური

**პსვ ეინდჰოვენი 4:0 უტრეხტი**

1:0 ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (45), 2:0 კეჟმანი (70), 3:0, 4:0 ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (81, 90)

პსვ ეინდჰოვენი: ლოდევეიქსი, ბოგელუნდი, ოოერი, ჰოფლანდი, ბუმა, ვან ბომელი, ფოგელი (კეჟმანი 61), ზახოვაიძე, ჟ. დე იონგი (ლუსიუსი 73), რომედალი (ა. რამზი 83), ვენეგოორ ოფ ჰესელინკი

მწვრთნელი: ერიკ გერეტსი

გაფრთხილება: ვან ბომელი

მსაჯი: იოლი

31 000 მაყურებელი

**ბრედა 0:1 აიაქსი**

0:1 მახლასი (71)

**ფეიენოორდი 1:2 ტვენტე**

0:1, 0:2 ზიომერი (30, 46), 1:2 ემერტონი (50)

**ვალვაიკი 3:2 ალკმაარი**

0:1 კ. პერესი (10), 1:1 ფუხსი (16), 2:1 კოლკი (60), 3:1 ლამეი (74), 3:2 ნელისე (90)

**როდა 2:0 ტილბურგი**

1:0 ჩუტანგი (4), 2:0 ლავალი (58)

**ვიტესი 1:1 დენ ბოსხი**

0:1 დე ფრეიტასი (20), 1:1 მ. დიარა (34)

**ჰერენვენი — სიტარდი** გადაიდო

**ნაიმეგენი — გრააფსხაპი** გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 23 | 15 | 4 | 4 | 50:25 | 49 |
| პსვ ეინდჰოვენი | 24 | 14 | 4 | 6 | 53:26 | 46 |
| ფეიენოორდი | 23 | 14 | 3 | 6 | 49:20 | 45 |
| ჰერენვენი | 23 | 12 | 6 | 5 | 41:16 | 42 |
| ვიტესი | 24 | 10 | 9 | 5 | 27:25 | 39 |
| ბრედა | 24 | 11 | 5 | 8 | 40:38 | 38 |
| უტრეხტი | 24 | 9 | 7 | 8 | 43:38 | 34 |
| ვალვაიკი | 24 | 10 | 4 | 10 | 33:29 | 34 |
| ალკმაარი | 24 | 8 | 5 | 11 | 28:30 | 29 |
| ნაიმეგენი | 23 | 8 | 5 | 10 | 21:38 | 29 |
| ტვენტე | 24 | 6 | 10 | 8 | 31:32 | 28 |
| გრააფსხაპი | 22 | 8 | 4 | 10 | 32:35 | 28 |
| ტილბურგი | 24 | 6 | 10 | 8 | 35:41 | 28 |
| როდა | 24 | 8 | 4 | 12 | 24:35 | 28 |
| დენ ბოსხი | 24 | 6 | 9 | 9 | 32:38 | 27 |
| გრონინგენი | 24 | 7 | 4 | 13 | 30:47 | 25 |
| სპარტა | 24 | 4 | 10 | 10 | 24:49 | 22 |
| სიტარდი | 22 | 2 | 5 | 15 | 20:51 | 11 |

### II დივიზიონი

24-ე ტური: ოსი — კამბური 0:3; ექსელსიორი — იგლსი 1:1; ზვოლე — დორდრეხტი 6:1; მაასტრიხტი — ჰერაკლესი 2:3; ეინდჰოვენი — ვენლო 6:0; ტელსტარი — ვოლენდამი 0:0; ჰელმონდი — როზენდალი 1:5. ვეენდამი — დენ ჰააგი და ემენი — ჰაარლემი გადაიდო

## ბელგია
### I დივიზიონი. XXIV ტური

**ლიერსი 1:1 ბეერსხოტი**

0:1 დეგრიზი (20), 1:1 სელსი (40)

ლიერსი: მარდულიე, ლაერემანსი, დე როეკი, კაციჩი, ზოზილაძე, გადიაგა, ლეენი, სნოექსი, სელსი, ჰიუსგემსი, ტომპსონი

მწვრთნელი: ვალტერ მეუსი

მსაჯი: დე ბლეეკერი

7 000 მაყურებელი

**გენკი 3:2 ბრიუგე**

0:1 ლანგე (4), 1:1 დაერდენი (7), 1:2 ვერჰეიენი (42), 2:2 სონკი (45), 3:2 დაერდენი (54)

**ვესტერლო 4:0 მოლენბეკი**

1:0 შასენსი (47), 2:0 ვან დენ ბოში (55), 3:0 სევერინსი (75), 4:0 ვან დენ ბოში (83)

**ანდერლეხტი 3:1 აალსტი**

1:0 მორნარი (10), 1:1 სტოიაკი (22), 2:1 ბასეჯიო (74), 3:1 იესტროვიჩი (76პ)

**ბევერენი 1:1 შარლერუა**

0:1 პივალიევიჩი (48), 1:1 გრონდინი (54)

**ანტვერპენი 3:3 ლომელი**

1:0 სერეანი (11), 2:0 გოოსსი (37), 2:1 სეგერსი (60), 2:2 ჰოფკენსი (71), 3:2 გოოსსი (78), 3:3 ბარანიოში (87)

**ლოკერენი 1:1 სტანდარდი**

0:1 შვეხარი (35), 1:1 გრეტარსონი (62პ)

**მუსკრონი 3:0 სენტ ტრუიდენი**

1:0 ვიდოვიჩი (8), 2:0 მ. მბენზა (21), 3:0 ვიდოვიჩი (42პ)

**ლუვენი 3:1 გენტი**

0:1 ჰოსნი (26), 1:1 ბიულინქსი (35), 2:1 კარაგიანისი (37), 3:1 ტილმანი (84პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 24 | 17 | 1 | 6 | 57:29 | 52 |
| გენკი | 23 | 14 | 8 | 1 | 65:32 | 50 |
| ანდერლეხტი | 23 | 14 | 6 | 3 | 54:25 | 48 |
| ლოკერენი | 24 | 12 | 7 | 5 | 35:23 | 43 |
| გენტი | 24 | 12 | 7 | 5 | 42:34 | 43 |
| სტანდარდი | 23 | 12 | 6 | 5 | 43:28 | 42 |
| მუსკრონი | 24 | 12 | 3 | 9 | 50:30 | 39 |
| ბეერსხოტი | 23 | 8 | 9 | 6 | 44:33 | 33 |
| სენტ ტრუიდენი | 24 | 9 | 4 | 11 | 33:36 | 31 |
| ვესტერლო | 24 | 8 | 5 | 11 | 42:45 | 29 |
| შარლერუა | 24 | 8 | 5 | 11 | 24:44 | 29 |
| ლომელი | 24 | 7 | 7 | 10 | 38:43 | 28 |
| მოლენბეკი | 24 | 7 | 4 | 13 | 31:45 | 25 |
| ლუვენი | 24 | 5 | 8 | 11 | 28:45 | 23 |
| ლიერსი | 24 | 5 | 7 | 12 | 36:46 | 22 |
| ანტვერპენი | 24 | 5 | 7 | 12 | 35:47 | 22 |
| აალსტი | 24 | 4 | 4 | 16 | 19:54 | 16 |
| ბევერენი | 24 | 2 | 8 | 14 | 25:62 | 14 |

### II დივიზიონი

26-ე ტური: დეინზე — პატრო 3:0; ლიეჟი — ეუპენი 1:2; ინგელმუნსტერი — რუზელარე 0:0; ვირტონი — ფლაანდერენი 0:5; დაინცე — მონსი 1:3; რონსი — მეხელენი 1:4; დენდერლეუვე — სერკლი 1:0; სტრომბეეკი — გეელი 2:1; ტიენენი — მეულენი 1:1

# ესპანეთი

## პრიმერადივიზიონი

### XXVII ტური

**რეალი 3:1 ალავესი**

0:1 ვიჩგე (6), 1:1 გუტი (45), 2:1 რაული (62), 3:1 იერო (80პ)
რეალი: კასილიასი, სალგადო, რობერტო კარლოსი, იერო, პავონი, მაკელელე, მაკმანამანი (რაული 55), სოლარი, გუტი, ზიდანი (კონსეისაო 67), მორიენტესი (მუნიტისი 82)
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
ალავესი: კოკე, კარმონა, ტელიესი, იბონ ბეგონია, ჯელი, პაბლო, კრუიფი (ვუჩკო 76), ასტუდილიო, ტურიელი, ვიჩგე (მარა 66), რუბენ ნავარო (მაგნო 65)
მწვრთნელი: ხოსე მანუელ ესნალ პარდო
გაფრთხილება: გუტი, პავონი, იბონ ბეგონია, იერო, პაბლო
მსაჯი: რამირეს დომინგესი
70 000 მაყურებელი

**დეპორტივო 1:0 სარაგოსა**

1:0 ტრისტანი (20)
დეპორტივო: მოლინა, რომერო, ნაიბეტი, სეზარი, მაურო სილვა, ჯალმინია (ვალერონი 77), ფრანი (ამავისკა 67), სკალონი, დუშერი, მაკაი, ტრისტანი (სერხიო 54)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
სარაგოსა: ლაინესი, კომლიენოვიჩი (გარიტანო 81), პაბლო, პაკო ხემესი, სესარი, არაგონი, ველისკა, ხოსე იგნასიო, ხუანელე (ბილიჩი 66), დრულიჩი (ჟამელი 61), მილოშევიჩი
მწვრთნელი: ლუის კოსტა
გაფრთხილება: ხოსე იგნასიო
მსაჯი: პერეს პერესი
28 000 მაყურებელი

**ვალენსია 2:0 ბარსელონა**

1:0 რუფეტე (16), 2:0 აიმარი (63)
ვალენსია: კანისარესი, პელეგრინო, აიალა (ფაურელიო 85), კარბონი, კურო ტორესი, ალბელდა, კილი გონსალესი, რუფეტე, აიმარი (მისტა 78), დე ლოს სანტოსი, სალვა (კარეუ 60)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
ბარსელონა: რეინა, დე ბური, სერხი, კრისტენვალი, პუიოლი, ხავი, კოკუ (მოტა 69), რიკელმეს (ოვერმარსი 54), გაბრი, ლუის ენრიკე (სავიოლა 59), კლუივერტი
მწვრთნელი: კარლოს რექსაჩი
გაფრთხილება: ალბელდა, აიმარი, პუიოლი, გაბრი, მოტა
მსაჯი: ლოპეს ნიეტო
50 000 მაყურებელი

**სოსიედადი 2:2 რაიო ვალეკანო**

1:0 ნიჰათი (3), 2:0 ლუის ალბერტო (48), 2:1 პაბლო სანსი (60), 2:2 ბოლო (70)
სოსიედადი: ვესტერველდი, კვარმე, არანსაბალი, ლუის ალბერტო, ხაბი ალონსო, ტაიფუნი, დე პედრო, არანბურუ, ნიჰათი (ხოხლოვი 61), იდიაკესი (დე პაულა 73), კოვაჩევიჩი
მწვრთნელი: ჯონ ტოშაკი
რაიო ვალეკანო: ი. ეჩებერია, გრაფი, დე კინტანა, მაინსი, მიჩელი, კევედო, ფერონი (ბოლო 59), პაბლო სანსი, არტეაგა (ვივარ დორადო 46), პერაგონი (კორინო 79), ბოლიჩი
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
გაფრთხილება: ხაბი ალონსო, არანსაბალი, დე კინტანა, კევედო, კვარმე, იდიაკესი, პერაგონი, კორინო
გაძევება: ბოლიჩი (45)
მსაჯი: პუენტეს ლეირა
26 000 მაყურებელი

**ესპანიოლი 3:1 ლას პალმასი**

0:1 ნაჩო გონზალესი (10პ), 1:1 როხერი (46), 2:1 პაჩეკო (86), 3:1 ტამუდო (90პ)
ესპანიოლი: მორა, ლოპო, სოლდევილა, რიკარდო, ნავასი, მორალესი (მარტინ ბოსე 46), პალენსია (პაჩეკო 46), ალექს ფერნანდესი (ოსკარი 78), როხერი, დე ლუკასი, ტამუდო
მწვრთნელი: ფრანსისკო ხავიერ ფლორესი
ლას პალმასი: ნაჩო გონსალესი, ალვარო, პაკუი, შურერი, ხოსიკო, ხაიო, ედუ ალონსო, ხორხე, კარმელო, ორლანდო (სეკეიროსი 75), ტევენეტი (სარასუა 68)
მწვრთნელი: ფერნანდო ვასკესი
გაფრთხილება: სოლდევილა, დე ლუკასი, ალვარო, კარმელო, ხორხე, ედუ ალონსო, ნავასი
მსაჯი: მუნის ფერნანდესი
16 800 მაყურებელი

**მალაგა 2:1 ვილიარეალი**

1:0 მუსამბა (17), 2:0 რომერო (71), 2:1 გალკა (89)
მალაგა: პედრო კონტრერასი, როხასი, ლიტუში, როტეტა, მიგელ ანხელი (ლეკო 47), ფერნანდო სანსი, მანუ (კანაბალი 75), მუსამბა, რომერო, დელი ვალდესი, დარიო სილვა (სანდრო 46)
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი
ვილიარეალი: ლოპეს ვალეხო, არუაბარენა, კიკე ალვარესი, ხავი როჩა, უნაი, გალკა, ესკუდე (კიკე მარტინი 73), კანია (კრაიოვეანუ 54), ხორხე ლოპესი (ამორი 54), კალეხა, პიცი
მწვრთნელი: ვიქტორ მუნიოსი
გაფრთხილება: კანია, დელი ვალდესი, არუაბარენა, უნაი, სანდრო, როტეტა
მსაჯი: მეია დავილა
12 000 მაყურებელი

**ვალიადოლიდი 2:0 ბილბაო**

1:0 ტოტე (61), 2:0 ფერნანდო სალესი (89)
ვალიადოლიდი: რიკარდო, პენია, მარკოსი, გასპარი, ტორეს გომესი, ჩემა, ხესუსი, კამინერო, ფერნანდო სალესი, ფერნანდო (ეუსებიო 79), ტოტე (ბლანკო 82)
მწვრთნელი: პეპე მორე
ბილბაო: ლაფუენტე ლარაინსარი, ლაკრუსი, ორბაისი (კარლოს გარსია 65), დელ ჰორნო, ეტსტე (ესკურო 46), ხავი გონსალესი, ალკისა (ოსკარ ვალესი 81), ტიკო, ხ. ეჩებერია, ურსაისი
მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი
გაფრთხილება: დელ ჰორნო, მარკოსი, ეტსტე, ტიკო, გასპარი
მსაჯი: ფერნანდეს მარინი
17 000 მაყურებელი

**მალიორკა 0:4 სევილია**

0:1 მოიზესი (2), 0:2 ოლივერა (47), 0:3 მოიზესი (63), 0:4 კასკერო (70)
მალიორკა: როა, მიგელ სოლერი, სივიერო, ოლაიზოლა, ნადალი, იბაგასა (პაუნოვიჩი 78), პაკო სოლერი (კამპანო 64), მარკოსი, ეტოო, ლუკე ლოსადა (კარლოსი 64)
მწვრთნელი: სერჯიო კრეშიჩი
სევილია: ნოტარიო, ხავი ნავარო, დავიდ კასტედო, პაბლო ალფარო, ნიევესი, ფრედი, ტორადო (ფრანსისკო 46), კასკერო, გალიარდო, ოლივერა (ლუის ხილი 81), მოიზესი (ც. სალასი 74)
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
გაფრთხილება: პაკო სოლერი, ტორადო, ეტოო, დავიდ კასტედო
მსაჯი: ტურიენსო ალვარესი
15 500 მაყურებელი

**ტენერიფე 3:1 ოსასუნა**

1:0 ალექსისი (28), 2:0 იორდი (61), 2:1 ალექსისი (63ს.კ.), 3:1 ივან ანია (90)
ტენერიფე: ხულიო იგლესიასი, ალექსისი, ლუსენბოვი, ხავი ვენტა, ბასავილბასო, ბასედასი (მარტი 86), მანელი (იორდი 46), ბინუ, ხაიმე, მარიონი, ხისკო (ივან ანია 74)
მწვრთნელი: ხავიერ კლემენტე
ოსასუნა: უნსუე, იანგუსი, ხოსუე, კრუჩაგა, პაბლო კონტრერასი, ისკიერდო (პალასიოსი 46), ალფრედო, პუნიალი, ფერნანდო (რივერო 78), საბინო (ივან როსადო 58), ალოიზი
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
გაფრთხილება: ალოიზი, საბინო, ბასედასი, ბინუ, ბინუ
გაძევება: ბინუ (90)
მსაჯი: პინო სამორანო
18 000 მაყურებელი

**ბეტისი 4:1 სელტა**

1:0 დენილსონი (25პ), 2:0 რივასი (16), 3:0 იტო (53), 3:1 ედუ (65), 4:1 ამატო (89პ)
ბეტისი: პრატსი, ლუის ფერნანდესი (მინგო 68), ფილიპესკუ, ხუანიტო, რივასი, კაპი, იტო, დენილსონი, ხოაკინი (კანიასი 70), ბენხამინი, დანი (ამატო 83)
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
სელტა: კავალიერო, სილვინიო, კასერესი, კოირა, სერხიო, ჯოვანელა (ედუ 46), კარპინი, დორივა, მოსტოვოი, ხესული (გუსტავო ლოპესი 59), ფ. მორისი (კატანია 64)
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
გაფრთხილება: დორივა, კოირა, კასერესი, სერხიო, მოსტოვოი, კარპინი, კარპინი, გუსტავო ლოპესი, კავალიერო, მოსტოვოი
გაძევება: კარპინი (72), მოსტოვოი (89)
მსაჯი: პერეს ბურული
43 000 მაყურებელი

# თებერვალი — ჟამი რუსთა წითლობისა



ვალენსია — ბარსელონა. ბრწყინვალედ მოთამაშე პაბლო აიმართან (მარცხნივ) ფრანკ დე ბური ვერაფერს გახდა

**ფრანსისკო რუფეტემ** პირველი გოლი გაუტანა „ბარსელონას“, რასაც პაბლო აიმარმა ძალიან უცნაურ ვითარებაში მეორე მიამატა, თუმცა გოლისგან განსხვავებით, მატჩის შედეგი უცნაური სულაც არ არის — „ვალენსიამ“ მოგება ნაღდად დაიმსახურა და კვლავაც დარჩა ცხრილის სათავეში.

„ვალენსიამ“ ძალიან კარგად ითამაშა, აიმარი კი შეუდარებელი იყო, ესპანეთში გადაბარგებიდან ერთი წლის თავზე გამოჩნდა, რომ მასში ფული ტყუილად არ გადაუხდიათ. ამის საპირისპიროდ, „ბარსელონამ“ ცუდად კი არა, ძალიან ცუდად ითამაშა — დაახლოებით ისევე როგორც რამდენიმე ტურის წინ ვიტორიაში. საერთოდაც გამოჩნდა, რომ კარლოს რექსაჩი ფრეზეც ყაბულს იყო, რაკი შეტევაში ოდენ პატრიკ კლუივერტით ცდილობდა ფონს გასვლას. რივალდო, მოგეხსენებათ, დაშავებულია და მწვრთნელმა არც ხავიერ სავიოლა ათამაშა. კლუივერტისთვის კი პასის მიმცემი არავინ გამოჩნდა და, შესაბამისად, სანტიაგო კანისარესს სულ ორჯერ მოუხდა ბურთის მოგერიება.

ისე „რეალისთვის“ საუკეთესო შედეგი ფრე იქნებოდა ან უკიდურეს შემთხვევაში „ბარსას“ მოგება, რაკი „ალავესის“ მძლეველი მადრიდელები პირველ საფეხურზე აცოცდებოდნენ.

მიუხედავად რიხარდ ვიჩგეს ადრეული გოლისა, თამაში „სამეფო კლუბისა“ იყო, რომელიც ბრწყინვალედ ირჯება „სანტიაგო ბერნაბეუზე“ და ერთადერთია, ვინც შინ არ დამარცხებულა. სამაგიეროდ, ეს რეალელთა მხოლოდ მეორე პრიმერადივიზიონური გამარჯვება იყო ბოლო თვენახევარში. გოლები კი გუტიმ, რაულმა და იერომ გაიტანეს. ამათგან გამოვარჩიოთ რაული, რომელმაც ახლახან მოიშუშა ტრავმა და გოლის გარდა ის პენალტიც მოინადირა, რომელიც იერომ გაიტანა.

ამ ტურში „რეალისთვის“ ერთი სასიამოვნო ამბავიც მოხდა, სევილიაში ალექსანდრ მოსტოვოი და ვალერი კარპინი გააძევეს. ეს ნიშნავს, რომ მომდევნო უქმეებზე, როცა მადრიდელები ვიგოში ჩავლენ, ურუსო „სელტა“ დაუხვდება.

მაგრამ ეს მომავლის ამბავია, ამ ტურში კი „სელტა“ „რეალ ბეტისმა“ დასცა. მადრიდელების შემდეგ ყველაზე მეტი გოლის გამტანმა ვიგოელმა თავდამსხმელებმა ღირებული მომენტიც ვერ შექმნეს სევილიელთა კართან, უფრო სწორად, მაშინ შექმნეს და გაიტანეს, როცა თავად სამი ჰქონდათ გაშვებული. მერე კარპინი და მოსტოვოიც აღელდნენ, გაიხსენეს, რომ მატჩის მეორე დღეს საქართველოს გაწითლების 87-ე წლისთავი იყო და თავადაც გაწითლდნენ, შეხვედრის შედეგმა კი „ბეტისი“ სამეულში დააბრუნა.

დიეგო ტრისტანი ის კაცია, რომლის გოლმაც „დეპორტივო“ მეოთხე ადგილამდე ასწია. სარაგოსელებს ერთი როი მაკაიმაც შეუგდო, მაგრამ ოფსაიდიდან და, ცხადია, არ ჩაუთვალეს.

შაბათის ანონსში ვწერდით, საკითხავია, „ბარსელონასთვის“ („რეალი“) უფრო უხერხული მეტოქეა თუ „ვალიადოლიდი“. ისე კი ... „რეალის“ დამარცხების მერე ... ვალიადოლიდში ჩავიდნენ და წააგეს. მასპინძელთა გოლები ტოტესა და ფერნანდო სალესის ინდივიდუალურ გარღვევებს მოჰყვა, ოღონდ შევნიშნოთ, რომ ტოტეს გოლისას ბურთი მეტოქის მცველ იჩიგო ლარაინსარსაც მოხვდა თავზე. ამ მოგებით „ვალიადოლიდი“ სამ ქულამდე მიუახლოვდა „ბილბაოს“.

ვაი, შენს „მალიორკას“. გუნდი, რომელიც აგერ ახლახან, შემოდგომაზე, ჩემპიონთა ლიგაში თამაშობდა, ალბათ, სეგუნდადივიზიონში ამოყოფს თავს. კუნძულელთა ქვევით ხომ მხოლოდ სხვა კუნძულელები, ტენერიფელები არიან და ისიც ბურთების უარესი შეფარდებით. მაგრამ „ტენერიფეს“ კიდევ რა უშავს, ახალი მწვრთნელი ხავიერ კლემენტე მიიყვანა და შედეგიც უმალ მოიმკო — „ოსასუნა“ დამარცხა. თან ეს ის „ოსასუნაა“, წლეულს თამაში რომ არ წაეგო, თავად „ტენერიფეს“ კი რვამატჩიანი მოუგებელი მატჩი დაგროვებოდა.

აი, მალიორკელი მეკარე კარლოს როა, კი სევილიელებმა გვარიანად აბითურეს, თუმცა მეკარის რა ბრალია, სტუმარ თავდამსხმელებს მასპინძელი მცველები უბრძოლველად თუ უშვებდნენ მეკარემდე.

„რეალ სოსიედადს“ კი მერამდენედ უნდა დაემართოს ერთი და იგივე. ბასკები ვალეკანოელებს ორი ბურთით უგებდნენ, სტუმრებს ელვირ ბოლიჩიც გაუძევეს და მაინც ფრეს დასჯერდნენ. ასეთი ამბავი კი, როგორც შევნიშნეთ, პირველად არ ხდება — ეტყობა, დაწინაურების მერე სანსებასტიანელებს რაღაც თვითკმაყოფილების გრძნობა უჩნდებათ და ამიტომ.

ამ ტურმა დიდი იმედგაცრუება მოუტანა „ლას პალმასსაც“. მისი მეკარისა და იმავდროულად კარგი მეპენალტის, ნაჩო გონსალესის გოლმა სტუმრები ადრევე დააწინაურა და როდის დაკარგეს ბარსელონიდან თუნდაც ქულის წაღების იმედი, ოქმიდანაც ჩანს.

**გიორგი დარჯანია**



ხოსე მარია გუტი

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ვალენსია | 27 | 12 | 11 | 4 | 32:22 | 10 | 47 | 13 | 8 | 4 | 1 | 15:6 | 9 | 28 | 14 | 4 | 7 | 3 | 17:16 | 1 | 19 |
| 2 | რეალი | 27 | 13 | 7 | 7 | 52:31 | 21 | 46 | 14 | 10 | 4 | 0 | 35:11 | 24 | 34 | 13 | 3 | 3 | 7 | 17:20 | -3 | 12 |
| 3 | ბეტისი | 27 | 12 | 9 | 6 | 31:23 | 8 | 45 | 14 | 9 | 3 | 2 | 21:9 | 12 | 30 | 13 | 3 | 6 | 4 | 10:14 | -4 | 15 |
| 4 | დეპორტივო | 27 | 13 | 5 | 9 | 40:33 | 7 | 44 | 13 | 9 | 2 | 2 | 23:8 | 15 | 29 | 14 | 4 | 3 | 7 | 17:25 | -8 | 15 |
| 5 | ბარსელონა | 27 | 12 | 7 | 8 | 42:25 | 17 | 43 | 13 | 8 | 3 | 2 | 28:11 | 17 | 27 | 14 | 4 | 4 | 6 | 14:14 | 0 | 16 |
| 6 | სელტა | 27 | 10 | 12 | 5 | 43:31 | 12 | 42 | 14 | 7 | 5 | 2 | 27:14 | 13 | 26 | 13 | 3 | 7 | 3 | 16:17 | -1 | 16 |
| 7 | ბილბაო | 27 | 11 | 9 | 7 | 37:38 | -1 | 42 | 14 | 5 | 6 | 3 | 18:18 | 0 | 21 | 13 | 6 | 3 | 4 | 19:20 | -1 | 21 |
| 8 | ალავესი | 27 | 12 | 3 | 12 | 25:26 | -1 | 39 | 14 | 7 | 1 | 6 | 13:14 | -1 | 22 | 13 | 5 | 2 | 6 | 12:12 | 0 | 17 |
| 9 | ვალიადოლიდი | 27 | 11 | 6 | 10 | 30:39 | -9 | 39 | 14 | 8 | 3 | 3 | 18:10 | 8 | 27 | 13 | 3 | 3 | 7 | 12:29 | -17 | 12 |
| 10 | სევილია | 27 | 10 | 8 | 9 | 43:31 | 12 | 38 | 13 | 5 | 5 | 3 | 22:13 | 9 | 20 | 14 | 5 | 3 | 6 | 21:18 | 3 | 18 |
| 11 | ესპანიოლი | 27 | 10 | 7 | 10 | 34:40 | -6 | 37 | 14 | 9 | 2 | 3 | 25:15 | 10 | 29 | 13 | 1 | 5 | 7 | 9:25 | -16 | 8 |
| 12 | მალაგა | 27 | 8 | 11 | 8 | 30:31 | -1 | 35 | 14 | 6 | 5 | 3 | 20:17 | 3 | 23 | 13 | 2 | 6 | 5 | 10:14 | -4 | 12 |
| 13 | ოსასუნა | 27 | 8 | 9 | 10 | 24:31 | -7 | 33 | 13 | 4 | 5 | 4 | 11:11 | 0 | 17 | 14 | 4 | 4 | 6 | 13:20 | -7 | 16 |
| 14 | ვილიარეალი | 27 | 8 | 8 | 11 | 29:32 | -3 | 32 | 14 | 6 | 4 | 4 | 18:14 | 4 | 22 | 13 | 2 | 4 | 7 | 11:18 | -7 | 10 |
| 15 | სარაგოსა | 27 | 9 | 5 | 13 | 26:38 | -12 | 32 | 13 | 6 | 3 | 4 | 17:17 | 0 | 21 | 14 | 3 | 2 | 9 | 9:21 | -12 | 11 |
| 16 | ლას პალმასი | 27 | 7 | 9 | 11 | 26:31 | -5 | 30 | 14 | 5 | 7 | 2 | 17:10 | 7 | 22 | 13 | 2 | 2 | 9 | 9:21 | -12 | 8 |
| 17 | სოსიედადი | 27 | 8 | 5 | 14 | 34:40 | -6 | 29 | 13 | 5 | 4 | 4 | 23:17 | 6 | 19 | 14 | 3 | 1 | 10 | 11:23 | -12 | 10 |
| 18 | რაიო ვალეკანო | 27 | 7 | 7 | 13 | 33:43 | -10 | 28 | 13 | 7 | 2 | 4 | 19:14 | 5 | 23 | 14 | 0 | 5 | 9 | 14:29 | -15 | 5 |
| 19 | მალიორკა | 27 | 7 | 6 | 14 | 28:37 | -9 | 27 | 13 | 4 | 4 | 5 | 14:13 | 1 | 16 | 14 | 3 | 2 | 9 | 14:24 | -10 | 11 |
| 20 | ტენერიფე | 27 | 7 | 6 | 14 | 21:38 | -17 | 27 | 13 | 5 | 3 | 5 | 15:19 | -4 | 18 | 14 | 2 | 3 | 9 | 6:19 | -13 | 9 |

## ბომბარდირები

| | |
|---|---|
| მორიენტესი (რეალი) | 16 |
| მოიზესი (სევილია) | 13 |
| კლუივერტი (ბარსელონა) | 12 |
| რაული (რეალი) | 12 |
| ტრისტანი (დეპორტივო) | 12 |
| კატანია (სელტა) | 11 |
| ტამუდო (ესპანიოლი) | 11 |

### XXVIII ტური

3 მარტი

| | | |
|---|---|---|
| ბილბაო | - | ლას პალმასი |
| ალავესი | - | ვალიადოლიდი |
| სელტა | - | რეალი |
| ვილიარეალი | - | ბეტისი |
| ბარსელონა | - | მალაგა |
| სარაგოსა | - | ვალენსია |
| სევილია | - | დეპორტივო |
| რაიო ვალეკანო | - | მალიორკა |
| ოსასუნა | - | სოსიედადი |
| ტენერიფე | - | ესპანიოლი |

## მეორე დივიზიონი

### XXIX ტური

**პოლი ეხიდო 0:0 უელვა**

**ბურგოსი 0:0 ეიბარი**

**ატლეტიკო 0:1 სპორტინგი**

0:1 დ. პირი (87)

**კორდობა 3:1 ალბასეტე**

1:0 მანოლო ლოპესი (17), 1:1 ტორილი (69), 2:1 პლატერო (76), 3:1 მონტენეგრო (90)

**ელჩე 1:1 ნუმანსია**

0:1 როსუ (78), 1:1 იგარსი (88)

**ექსტრემადურა 2:1 ლეგანესი**

1:0 ხესუსი (4), 2:0 ხორხე პერესი (49), 2:1 ივან პერესი (89)

**ხიმნასტიკი 2:2 სალამანკა**

0:1 მაკუკულა (17), 1:1 მენდესი (53), 1:2 მაკუკულა (61), 2:2 მენდესი (89)

**ხერესი 1:0 ხაენი**

1:0 პინედა (90)

**ოვიედო 1:1 ლევანტე**

0:1 ფურიგა (20), 1:1 რეიესი (63)

**რასინგი 0:1 ფეროლი**

0:1 გროზდიჩი (46)

**მურსია 1:1 ბადახოსი**

1:0 პედრო ლარგო (9), 1:1 ხორხე ზაფრა (63)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატლეტიკო | 29 | 18 | 5 | 6 | 47:23 | 59 |
| ხერესი | 29 | 16 | 4 | 9 | 31:25 | 52 |
| ოვიედო | 29 | 10 | 15 | 4 | 29:18 | 45 |
| უელვა | 29 | 11 | 12 | 6 | 27:22 | 45 |
| რასინგი | 29 | 11 | 11 | 7 | 34:25 | 44 |
| ალბასეტე | 29 | 12 | 7 | 10 | 35:26 | 43 |
| სპორტინგი | 29 | 11 | 8 | 10 | 37:33 | 41 |
| ეიბარი | 29 | 10 | 10 | 9 | 32:21 | 40 |
| ბურგოსი | 29 | 10 | 10 | 9 | 24:24 | 40 |
| ფეროლი | 29 | 12 | 4 | 13 | 37:38 | 40 |
| ელჩე | 29 | 10 | 10 | 9 | 28:30 | 40 |
| ბადახოსი | 29 | 11 | 6 | 12 | 30:34 | 39 |
| კორდობა | 29 | 10 | 8 | 11 | 34:34 | 38 |
| სალამანკა | 29 | 8 | 13 | 8 | 36:39 | 37 |
| ექსტრემადურა | 29 | 9 | 9 | 11 | 24:27 | 36 |
| მურსია | 29 | 8 | 11 | 10 | 24:27 | 35 |
| ლეგანესი | 29 | 8 | 10 | 11 | 21:27 | 34 |
| ხაენი | 29 | 9 | 7 | 13 | 22:32 | 34 |
| ნუმანსია | 29 | 7 | 10 | 12 | 27:40 | 31 |
| ხიმნასტიკი | 29 | 7 | 9 | 13 | 26:34 | 30 |
| პოლი ეხიდო | 29 | 6 | 9 | 14 | 26:37 | 27 |
| ლევანტე | 29 | 5 | 12 | 12 | 29:44 | 27 |

# სტივენსი რომ შილას ჭამდა, ასაუერი ფრაიბურგს ხრავდა

## გერმანია

### ბუნდესლიგა. XXIV ტური

**შალკე 3:0 ფრაიბურგი**

1:0 ბიომე (16), 2:0 ასამოა (37), 3:0 ვილმოტსი (39)
შალკე: რეკი, უდე კამფუისი, ვალდოხი, ვან ჰოოგდალემი, ვან კერკჰოვენი, ნემეცი (ვმეტჩი 52), ვილმოტსი (აგალი 82), მიოლერი, ბიომე (მატელანი 69), ასამოა, სანდი
მწვრთნელი: ჰუუბ სტევენსი
ფრაიბურგი: გოლცი, კონდე, შ. მიულერი, ვილი, ქობიაშვილი, ჰერმელი (კრუზე 46), ა. ცაიერი, რამდანე (სელიმი 61), ტანკო, იაშვილი, კულიბალი (ბრუნსი 84)
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
გაფრთხილება: ვან კერკჰოვენი, ნემეცი, მიოლერი, ჰერმელი, რამდანე, ცაიერი, კრუზე, სელიმი
მსაჯი: ოუსტი
60 683 მაყურებელი

**ნიურნბერგი 2:0 კიოლნი**

1:0, 2:0 კაკაუ (2, 71)
ნიურნბერგი: კამპა, სანე, კოში, ნიკლი, ტავკარი, ლარსენი, პასლაკი, კრჟინოვეკი, იაროლიმი (მუტელე 90), კაკაუ (ვილე 90), რინკი (მიხალკე 84)
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
კიოლნი: პრიოლი, ცელვეგერი, ჩიკონი, სონგი, კულმანი, ბალიტში, ვოიგტი (ბარანეკი 63), კროიცი, ზერცი (რაისი 63), შპრინგერი, კურტი
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
გაფრთხილება: კოში, ტავკარი, ვოიგტი, ცელვეგერი, კურტი
მსაჯი: ბერგი
25 100 მაყურებელი

**ლევერკუზენი 4:0 დორტმუნდი**

1:0 ბალაკი (32), 2:0 რამელო (50), 3:0 ნოივილი (64), 4:0 ბერბატოვი (74)
ლევერკუზენი: ჰ. ბუტი, ლუსიო, ნოვოტნი, პლასენტე, ჟივკოვიჩი, რამელო, ბალაკი, ზე რობერტო, ბაშთურქი (ვრანიეში 72), კირსტენი (ბერბატოვი 52), ნოივილი (ბრდარიჩი 80)
მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი
დორტმუნდი: ლემანი, მეცელდერი, იურგენ კოლერი, ევანილსონი, დედე, როიტერი, კელი, რიკენი (ო. ადდო 53), ევერტონი (ჟ. რეინა 75), ამოროზო (სტევიჩი 62), იან კოლერი
მწვრთნელი: მათიას ზამერი
გაფრთხილება: ბაშთურქი, იან კოლერი, ნოვოტნი, კირსტენი, იან კოლერი, როიტერი, ლემანი
გაძევება: იან კოლერი (53)
მსაჯი: ფლაიშერი
22 500 მაყურებელი

**ჰერტა 5:1 კაიზერსლაუტერნი**

1:0 მარსელინიო (13პ), 2:0 გოორი (37), 3:0 პრეეცი (43), 3:1 კლოზე (45), 4:1 პრეეცი (60), 5:1 მარსელინიო (69)
ჰერტა: კირალი, რემერი (სვერისონი 81), სიმუნიჩი, ლაპაჩსკი, ჰარტმანი, დარდაი, ბაინლიხი, მარსელინიო, გოორი (მარქსი 73), პრეეცი (დაეი 87), ალვეში
მწვრთნელი: ფალკო გიოტცი
კაიზერსლაუტერნი: ვაიდენფელერი, ჰენგენი, ჰ. რამზი, ვესტი, შტრასერი, რიდლი, ბიელიცა, ხრისტოვი (დომინგუში 84), ლინკოლნი (გრამოცისი 24), კლოზე, ლოკვენცი
მწვრთნელი: ანდრეას ბრემე
გაფრთხილება: ჰარტმანი, რემერი, ხრისტოვი, რიდლი
მსაჯი: კესლერი
33 652 მაყურებელი

**ბაიერნი 6:0 კოტბუსი**

1:0 პიზარო (15), 2:0 ეფენბერგი (35პ), 3:0, 4:0 შოლი (45, 48), 5:0 პიზარო (55), 6:0 ელბერი (74)
კანმა ვერ გაიტანა პენალტი (90, მეკარე)
ბაიერნი: კანი, სანიოლი, კუფური, ლინკე, ლიზარაზუ, ჰარგრივსი, ფინკი (იერემისი 41), შოლი (ელბერი 69), ეფენბერგი (ფიულნერი 65), იანკერი, კ. პიზარო
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
კოტბუსი: პიპლიცა, სკერბე, მატიუში, კალუჟნი, ჰუჯოროვიჩი, შრიოტერი (ვაგრიჩკა 79), ტ. რისტი, რეგეკამპფი, მირიუტა (ტიელმანი 62), კობილანსკი, ტოპიჩი (რაიხენბერგერი 75)
მწვრთნელი: ედუარდ გაიერი
გაფრთხილება: ფინკი, ჰუჯოროვიჩი, ტოპიჩი
გაძევება: მატიუში (44), რეგეკამპფი (58)
მსაჯი: მაიერი
28 000 მაყურებელი

**ვერდერი 0:1 ჰამბურგი**

0:1 რომეო (74)
ვერდერი: ფ. რისტი, ფ. ბაუმანი, ვერლაატი (ბოროვსკი 77), სკრიპნიკი, ბანოვიჩი (კლასნიჩი 61), ფრინგსი, ფ. ერნსტი, მანინი (სტალტერი 46), ლისტეში, აილტონი, ბოდე
მწვრთნელი: თომას შააფი
ჰამბურგი: პიკენჰაგენი, ფუკალი, ჰოოგმა, იუფფალუში, პრეგერი (გროთი 77), ვიკი, ალბერტცი, ჰოლერბახი, ანტარი, ბარბარეზი (მაინცი 9; კარდოზო 90), რომეო
მწვრთნელი: კურტ იარა
გაფრთხილება: მანინი, ერნსტი, ფრინგსი, ჰოოგმა, ჰოლერბახი
მსაჯი: ვაინერი
32 250 მაყურებელი

**ვოლფსბურგი 1:3 მიუნხენი**

1:0 ბილისკოვი (53), 1:1 ტისი (54), 1:2 მაქსი (59), 1:3 ვაისენბერგერი (90)
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, რიტერი, ფრანცი, ბილისკოვი, ვაიზერი (რაუ 86), კარჰანი, კუჰბაუერი, დ. მუნტიანუ (რიშე 73), გ. პეტროვი, პონტე, იუსკოვიაკი (კენედი 86)
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
მიუნხენი: იენში, ვოტავა, ფ. ტაპალოვიჩი, შტრანცლი, ტისი (დეედენი 66), ჩერნი, მ. ვაისენბერგერი, ბორიმიროვი, ბიროფკა (მიურკი 83), შროტი, შუკერი (მაქსი 6)
მწვრთნელი: პეტერ პაკულტი
გაფრთხილება: კუჰბაუერი, ფრანცი, მაქსი, ფრანცი
გაძევება: ფრანცი (77)
მსაჯი: ფროილიხი
10 612 მაყურებელი

**ჰანზა 1:1 შტუტგარტი**

1:0 რიდლევიჩი (30პ), 1:1 მეირა (72)
ბალაკოვმა ვერ გაიტანა პენალტი (53, მეკარე)
ჰანზა: პიროტიგამი, ლანგე (ბაუმგარტი 73), შრიოდერი, ოსვალდი, ემარა, იასერი, ვიბრანი, მაული, რიდლევიჩი, ბაიერლე (სალუ 74), დი სალვო (არვიდსონი 82)
მწვრთნელი: რალფ ვე
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ჰინკელი, მეირა, ბორდონი (ვენცელი 61), ჰ. გერბერი, სოლდო, მაისნერი, ტიფერტი (ენდრესი 81), ბალაკოვი, ზაიცი, ადემარი (გლები 73)
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
გაფრთხილება: მაისნერი, იასერი, მაისნერი, ლანგე, ბაუმგარტი
გაძევება: მაისნერი (69)
მსაჯი: კრუგი
12 000 მაყურებელი

**ზანქტ პაული 1:1 მიონხენგლადბახი**

0:1 ვან ლენტი (31), 1:1 კონცი (35)
ზანქტ პაული: ჰენცლერი, ჰელდი, სტანისლავსკი, ბიურგერი, ბერე (ბარისი 64), კონცი, ბაირამოვიჩი (რაკანელი 81), რანი, მეგლე, პაჩინსკი, რატი
მწვრთნელი: დიტმარ დემუტი
მიონხენგლადბახი: შტილი, კორელი, პლეტში, ებერლი, მიუნხი (ასანინი 70), ნილსენი, ჰაუსვაილერი, ულიხი (დემო 87), ფელგენჰაუერი (აიდოო 78), ვან ლენტი, ვან ჰუდტი
მწვრთნელი: ჰანს მაიერი
გაფრთხილება: პაჩინსკი, სტანისლავსკი, რატი, კონცი, ულიხი
მსაჯი: შტრამპე
20 629 მაყურებელი

**„დიდებული** გამარჯვება იყო. ვატყობ, ჩემპიონატის მიწურულს საშინელი კონკურენცია გველის" — თქვა „დორტმუნდთან" შთამბეჭდავი მოგების მერე ლევერკუზენელთა აღფრთოვანებულმა მწვრთნელმა კლაუს ტოპმიოლერმა.

„დღეს ჩინებულად ვითამაშეთ. ეს წარმატება საკუთარ თავში კიდევ უფრო დაგვარწმუნებს" — დაუმატა ბაიერელთა ლიდერმა მიხაელ ბალაკმა, ვისმა გოლმაც დორტმუნდელთა რბევას დაუდო სათავე, ხოლო თავად ბალაკისთვის მეცამეტე გამოდგა და ბუნდესლიგის ბომბარდირთა მეთაურადაც აქცია.

მაშ ასე, დორტმუნდელთა თებერვლის ოთხტურიანი ლიდერობა დაემხო. პირველი საფეხური კვლავ „ლევერკუზენმა" დაიკავა. კვირა საღამოს „ბაიარენაზე" ტევა არ იყო, მაყურებელი თავისიანთა გამარჯვებას ელოდა, თუმცა მომხდარმა მოლოდინს გადააჭარბა, „ლევერკუზენმა" ბოლო 13 ტურში დაუმარცხებელი „დორტმუნდი" 4:0 დაანგრია.

თავიდან თითქოს ასეთი გოლთაცვენის საბაბი არ არსებობდა. ნახევარი საათი ისე მიილია, მეტოქეებს რაიმე განსაკუთრებული არ უჩვენებიათ. ეგ იყო, სტუმართა ბრაზილიელ ევერტონს გოლი არ ჩაუთვალეს, თამაშგარე იყოო, ხოლო მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა მასპინძელთა ვეტერანმა ულფ კირსტენმა ბურთი ხეირიანად ვერ დაიმორჩილა.

32-ე წუთზე კი „ბაიერმა" მოულოდნელად გაიტანა და მერე ყველაფერი შეიცვალა, „დორტმუნდი" გატყდა, ხოლო „ლევერკუზენელთა" შეჩერება შეუძლებელი შეიქნა. საქმე ასე იყო: მარცხენა ფრთაზე ზე რობერტომ და პლასენტემ კომბინაცია გაითამაშეს, ბურთი მეკარესთან შეჭრილ ბალაკს მიუვიდა და 1:0. სულ რაღაც ხუთ წუთში მასპინძლებს სამჯერ კიდევ უნდა გაეტანათ, ბაშთურქს, კირსტენსა და იმავე ბალაკს ცოტა დააკლდათ.

მასპინძელთა თარეში შესვენების მერეც გაგრძელდა, ჯერ კუთხურიდან მოწოდებული ბურთი რამელომ თავით შეაგდო, მერე ნოივილმა თავითვე გაასამა, წერტილი კი შეცვლაზე შესულმა ბერბატოვმა დასვა.

ისიც სათქმელია, რომ ბორუსიელთა მეკარე ლემანმა ერთობ სუსტად ითამაშა, ხშირად ცდებოდა გამოსვლებზე და გოლების უმეტესობაც მის ნამუსზეა. აი, მისმა კოლეგა ბუტმა კი მასპინძლები რამდენჯერმე გადაარჩინა, პირველ ტაიმში ხომ ლუსიოსგან ასხლეტილი ისეთი ბურთი მოიგერია, რომ 2:0-ზე სტუმრები კაცნაკლულნიც დარჩნენ. ჩეხმა კოლერმა მეორე გაფრთხილება მიიღო და მინდვრის დატოვებისას სარეკლამო დაფაც დაამტვრია, რაც, შესაძლოა, სოლიდურ ჯარიმად დაუჯდეს. ისე, რას ცხარობდა, გაუგებარია. ვარდნაში პლასენტეს ისეთი მისცხო, რომ არა წვივსაფარი, ალბათ ფეხს წააცლიდა...

შაბათს კიდევ ერთი ლიდერი შერცხვა. „კაიზერსლაუტერნმა" ბერლინის ნახევრად მშენებარე ოლიმპიურ სტადიონზე „ჰერტასთან" 1:5 წააგო, თანაც ისე, რომ წარმატების ოდნავი შანსიც არ ჰქონია. ახალი, დროებითი მწვრთნელის, ფალკო გიოტცის მეთაურობით ბერლინელებმა ზედიზედ მესამე თამაში მოიგეს, ხოლო მათმა კაპიტანმა პრეეცმა ისევ დუბლი შეასრულა. უამინდობის გამო ლაუტერნელები დედაქალაქს მატარებლით სწვევიან და ასეთ უნიათო თამაშს ხანგრძლივი მგზავრობით ფარავდნენ.

ყურადღება „ბაიერნმა" გადაუხადა დაქვეითებულმა მიუნხენელებმა საწყალ „კოტბუსს" ექვსი უპასუხო ბურთი გაუტანეს, თანაც ბოლო წუთზე პიზაროზე წაქცევისთვის დანიშნული პენალტის დარტყმა მეკარე კანმა ითავა, მაგრამ კოლეგა პიპლიცას ვერ აჯობა. და კიდევ, უხეში თამაშისთვის სტუმრებს ორი ფეხბურთელი მატიუში და რეგეკამპფი გაუძევეს, სტატისტიკოსებმა კი გაიხსენეს, რომ ასეთი ანგარიშით „ბაიერნს" ბუნდესლიგაში ცხრა წელი აღარ გაემარჯვა...

ჩვენებურთა „ფრაიბურგი" ზედიზედ მესამედ დამარცხდა, ამჯერად გელზენკირხენში, „შალკესთან". მასპინძელთა მწვრთნელი ჰუუბ სტევენსი სიმამრის დაკრძალვაზე წასულიყო და გუნდს მენეჯერი რუდი ასაუერი მოძღვრავდა. თამაში რომ მორჩა, ასაუერმა იხუმრა კიდეც: გამოდის, პრემია საკუთარ თავს უნდა გამოვუწერო, ებე სანდს კი ჩინებული თამაშისთვის დიდი მადლობაო.

სხვათა შორის, ქარბუქის გამო „შალკეს" ახალ „არენაზე" პირველად აატრიხინეს მოძრავი სახურავი. თამაშის დამთავრებისთანავე კი სახურავი გაიხსნა და ტრიბუნებს თაკარა მზის სხივები გადაეფინა, რაც იქაურმა ქომაგებმა უკეთესობის სიმბოლოდ აღიქვეს. რატომაც არა, „შალკემ" ხომ ნავსი გატეხა, „ფრაიბურგისთვის" 1996 წლის მერე აღარ მოეგო. ეგეც რომ არ იყოს, ბოლო შვიდი მატჩიდან ექვსში გაიმარჯვეს და წლეულს პირველად აცოცდნენ მესამე ადგილზე.

„კიოლნს" კი უკვე 959 წუთია, გოლი არ გაუტანია: რა გაეწყობა, რეალურად უნდა დავიწყოთ მეორე ბუნდესლიგაზე ფიქრიო — თქვა „ნიურნბერგთან" წაგების შემდეგ კიოლნელთა ახალმა მწვრთნელმა ფრიდჰელმ ფუნკელმა.

**სოლომონ ბულისკერიავილი**



ჰერტა — კაიზერსლაუტერნი. ბერლინელმა მიხაელ პრეეცმა ჰანი რამზის ზურგი უჩვენა



ბაიერნი — კოტბუსი. სტუმართა მეკარე ტომისლავ პიპლიცას ბურთი კარიდან ექვსჯერ გამოატანინეს

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ლევერკუზენი | 24 | 15 | 4 | 5 | 57:29 | 28 | 49 | 12 | 10 | 1 | 1 | 35:10 | 25 | 31 | 12 | 5 | 3 | 4 | 22:19 | 3 | 18 |
| 2 დორტმუნდი | 24 | 14 | 6 | 4 | 38:20 | 18 | 48 | 11 | 7 | 2 | 2 | 18:7 | 11 | 23 | 13 | 7 | 4 | 2 | 20:13 | 7 | 25 |
| 3 შალკე | 24 | 13 | 6 | 5 | 39:23 | 16 | 45 | 12 | 9 | 2 | 1 | 28:10 | 18 | 29 | 12 | 4 | 4 | 4 | 11:13 | -2 | 16 |
| 4 ლაუტერნი | 24 | 14 | 3 | 7 | 46:34 | 12 | 45 | 12 | 8 | 3 | 1 | 29:15 | 14 | 27 | 12 | 6 | 0 | 6 | 17:19 | -2 | 18 |
| 5 ბაიერნი | 24 | 13 | 5 | 6 | 47:19 | 28 | 44 | 12 | 8 | 4 | 0 | 29:5 | 24 | 28 | 12 | 5 | 1 | 6 | 18:14 | 4 | 16 |
| 6 ჰერტა | 24 | 12 | 6 | 6 | 41:28 | 13 | 42 | 13 | 9 | 2 | 2 | 29:13 | 16 | 29 | 11 | 3 | 4 | 4 | 12:15 | -3 | 13 |
| 7 ვერდერი | 24 | 12 | 4 | 8 | 35:27 | 8 | 40 | 13 | 8 | 2 | 3 | 19:13 | 6 | 26 | 11 | 4 | 2 | 5 | 16:14 | 2 | 14 |
| 8 მიუნხენი | 24 | 11 | 3 | 10 | 37:39 | -2 | 36 | 12 | 5 | 2 | 5 | 16:24 | -8 | 17 | 12 | 6 | 1 | 5 | 21:15 | 6 | 19 |
| 9 შტუტგარტი | 24 | 9 | 8 | 7 | 30:26 | 4 | 35 | 12 | 6 | 4 | 2 | 18:7 | 11 | 22 | 12 | 3 | 4 | 5 | 12:19 | -7 | 13 |
| 10 ვოლფსბურგი | 24 | 8 | 6 | 10 | 38:36 | 2 | 30 | 12 | 6 | 3 | 3 | 22:13 | 9 | 21 | 12 | 2 | 3 | 7 | 16:23 | -7 | 9 |
| 11 ჰამბურგი | 24 | 8 | 6 | 10 | 35:37 | -2 | 30 | 12 | 6 | 3 | 3 | 27:18 | 9 | 21 | 12 | 2 | 3 | 7 | 8:19 | -11 | 9 |
| 12 ჰანზა | 24 | 7 | 5 | 12 | 23:33 | -10 | 26 | 13 | 4 | 4 | 5 | 15:15 | 0 | 16 | 11 | 3 | 1 | 7 | 8:18 | -10 | 10 |
| 13 ნიურნბერგი | 24 | 7 | 4 | 13 | 24:40 | -16 | 25 | 13 | 5 | 3 | 5 | 16:17 | -1 | 18 | 11 | 2 | 1 | 8 | 8:23 | -15 | 7 |
| 14 გლადბახი | 24 | 5 | 9 | 10 | 26:37 | -11 | 24 | 11 | 3 | 4 | 4 | 12:12 | 0 | 13 | 13 | 2 | 5 | 6 | 14:25 | -11 | 11 |
| 15 ფრაიბურგი | 24 | 5 | 8 | 11 | 25:40 | -15 | 23 | 11 | 4 | 4 | 3 | 15:12 | 3 | 16 | 13 | 1 | 4 | 8 | 10:28 | -18 | 7 |
| 16 კოტბუსი | 24 | 6 | 5 | 13 | 22:44 | -22 | 23 | 11 | 5 | 2 | 4 | 13:14 | -1 | 17 | 13 | 1 | 3 | 9 | 9:30 | -21 | 6 |
| 17 ზანქტ პაული | 24 | 3 | 8 | 13 | 26:46 | -20 | 17 | 12 | 3 | 3 | 6 | 14:18 | -4 | 12 | 12 | 0 | 5 | 7 | 12:28 | -16 | 5 |
| 18 კიოლნი | 24 | 3 | 6 | 15 | 11:42 | -31 | 15 | 12 | 2 | 3 | 7 | 6:16 | -10 | 9 | 12 | 1 | 3 | 8 | 5:26 | -21 | 6 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ბალაკი (ლევერკუზენი) | 13 |
| ამოროზო (დორტმუნდი) | 12 |
| ელბერი (ბაიერნი) | 12 |
| პიზარო (ბაიერნი) | 12 |
| მარსელინიო (ჰერტა) | 11 |
| ნოივილი (ლევერკუზენი) | 11 |

**XXV ტური**

**2 მარტი**

| | | |
|---|---|---|
| შტუტგარტი | - | ბაიერნი |
| ლაუტერნი | - | ვოლფსბურგი |
| კიოლნი | - | ჰერტა |
| ჰამბურგი | - | ნიურნბერგი |
| გლადბახი | - | ვერდერი |
| დორტმუნდი | - | ზანქტ პაული |
| ფრაიბურგი | - | ლევერკუზენი |
| კოტბუსი | - | შალკე |
| მიუნხენი | - | ჰანზა |

### მეორე ბუნდესლიგა

**XXIV ტური**

**ზაარბრიუკენი 0:3 ფიურტი**

0:1 უსოლდი (14), 0:2 აზუზი (33), 0:3 ამანატიდისი (35)
გიორგი დეკანოსიძე განაცხადში ვერ მოხვდა

**ვალდჰოფი 3:1 ალემანია**

1:0 ტებერი (7), 2:0 კლაუში (16), 3:0 ტებერი (38), 3:1 ლამერმანი (57)

**არმინია 1:1 კარლსრუე**

0:1 ლაბადია (30), 1:1 ვოუკი (82)

**შვაინფურტი 0:1 უნიონი**

0:1 დივიჩი (47)

**ბაბელსბერგი 1:2 ბოხუმი**

1:0 მარტელი (21), 1:1 ვოში (37), 1:2 ფრაიერი (71)

**აინტრახტი 2:0 დუისბურგი**

1:0 ს. ჩირიჩი (66), 2:0 შკელა (90)

**როიტლინგენი 1:1 უნტერჰახინგი**

1:0 დიაბი (54), 1:1 როსლერი (73)

**ობერჰაუზენი — ჰანოვერი**

ხვალ გაიმართება

**ალენი — მაინცი**

წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰანოვერი | 23 | 15 | 7 | 1 | 63:27 | 52 |
| ფიურტი | 24 | 14 | 5 | 5 | 49:27 | 47 |
| არმინია | 24 | 13 | 7 | 4 | 46:23 | 46 |
| მაინცი | 23 | 13 | 6 | 4 | 45:26 | 45 |
| უნიონი | 24 | 12 | 5 | 7 | 46:28 | 41 |
| აინტრახტი | 24 | 11 | 7 | 6 | 39:30 | 40 |
| ბოხუმი | 24 | 11 | 7 | 6 | 47:40 | 40 |
| ალენი | 23 | 10 | 5 | 8 | 43:48 | 35 |
| დუისბურგი | 24 | 8 | 8 | 8 | 42:39 | 32 |
| ვალდჰოფი | 24 | 8 | 7 | 9 | 33:36 | 31 |
| როიტლინგენი | 24 | 8 | 5 | 11 | 36:39 | 29 |
| ალემანია | 24 | 8 | 4 | 12 | 30:48 | 28 |
| კარლსრუე | 24 | 7 | 6 | 11 | 31:39 | 27 |
| უნტერჰახინგი | 24 | 7 | 6 | 11 | 23:32 | 27 |
| ობერჰაუზენი | 23 | 5 | 5 | 13 | 37:41 | 20 |
| შვაინფურტი | 24 | 5 | 5 | 14 | 21:43 | 20 |
| ზაარბრიუკენი | 24 | 3 | 6 | 15 | 17:47 | 15 |
| ბაბელსბერგი | 24 | 4 | 3 | 17 | 25:60 | 15 |

### ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

22-ე ტური: ვერლი — ვატენშაიდი 2:4; ქემნიცი — ვერდერი (მ) 3:1. მაგდებურგი — აუე, ოსნაბრიუკი — ბრაუნშვაიგი, ესენი — ლევერკუზენი (მ) და ლიუბეკი — კილი დღეს გაიმართება. დრეზდენი — პადერბორნი, იურდინგენი — მიუნსტერი და ფორტუნა — დიუსელდორფი გადაიდო

### სამხრეთ რეგიონალლიგა

22-ე ტური: ოფენბახი — ფულდა 2:0; ერფურტი — აალენი 2:3; რეგენსბურგი — მანჰაიმი 1:1; კიკერსი — შტუტგარტი (მ) 0:0; ჰოფენჰაიმი — ანსბახი 2:0; დარმშტადტი — ტრირი 0:0; კაიზერსლაუტერნი (მ) — ვეჰენი 0:0. ბაიერნი (მ) — ბურგჰაუზენი და ზიგენი — ელვერსბერგი გადაიდო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა II ჯგუფური ეტაპი. IV ტური. დღეს

## A ჯგუფი

### მანჩესტერი — ნანტი

**სავარაუდო შემადგენლობები**

ბარტეზი, გ. ნევილი, ბლანი, სილვესტრი, ფ. ნევილი, კინი, ბექემი, სქოულზი, ვერონი, გიგზი, ვან ნისტელროი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

ლანდრო, დეროფი, სეტო, ფაბრი, არმანი, სავინო, ბერსონი, ჯემბა, ზიანი, მოლდოვანი, ვაირუა
მწვრთნელი: ანხელ მარკოსი

მანჩესტერი. „ოლდ ტრეფორდი". მსაჯი: მანუელ მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

### ბაიერნი — ბოავიშტა

**სავარაუდო შემადგენლობები**

კანი, სანიოლი, კუფური, რ. კოვაჩი, ლიზარაზუ, ფინკი, იერემისი, შოლი, ეფენბერგი, ელბერი, სანტა კრუზი
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი

რიკარდუ, ე. ლიმა, პედრუ ემანუელი, ბოსინგვა, მარტელინიუ, ჟორჟე სილვა, მარიუ, ფერნანდუ, ალეშანდრე, ნუნუ ფრეშაუ, ელპიდიუ სილვა
მწვრთნელი: ჟაიმე პაშეკუ

მიუნხენი. „ოლიმპიაშტადიონი". მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)



ული ჰიონესი

# ხამანწკური შქმერული და ბავარიული ლუდი?

## მუცლის გვრემამ პირველად ული ჰიონესი შეაწუხა

**აქაოდა**, კოტბუსელები ისე სასტიკად დაიჟრინა „ბაიერნმა", გუნდს ალმასვლა უნდა დაეწყოსო — ვარაუდობენ გერმანიაში. ბავარიელებმაც ნაზრევი მედიას გადაუშალეს.

„ყველა ჯგუფშია გარდამტეხი მატჩი. და „ბოავიშტასთან" შეხვედრაც ამითაა მნიშვნელოვანი" — თქვა გუშინდელი ვარჯიშისას ოლივერ კანმა.

„გამარჯვების შემთხვევაში ჩემპიონთა ლიგის ამ ეტაპს დავძლევთ" — ეს კი უკვე კლუბის ღრმადპატივცემული პრეზიდენტის ფრანც ბეკენბაუერის სიტყვებია.

მათემატიკურად ნამდვილად ტყუის „კაიზერ ფრანცი". თუ მისი გუნდი მოიგებს, მეოთხედფინალის საგზურს ჯერ მაინც ვერ დაიბევებს.

ბავარიელთა მწვრთნელი ოტმარ ჰიცფელდი უფრო დიპლომატიური აღმოჩნდა: „შეგვიძლია, დისტანცია დავიჭიროთ ჩვენს უშუალო კონკურენტთან". ჰერ ოტმარი, ალბათ, „მანჩესტერ იუნაიტედს" გულისხმობდა, თუმც ვინ იცის...

„კოტბუსის" 6:0 ძლევა თავისებური რეკორდი გახლდათ ჰიცფელდის გუნდისთვის — „ბაიერნს" ბუნდესლიგაში ექვსბურთიანი სხვაობით აქამდე არ მოუგია.

„საბრძოლო სულისკვეთებისთვის ეს მართლაც კარგი იყო. ახლა უკვე ოთხი ისეთი მატჩი დაგვიგროვდა, რომლებშიც პროგრესი განვიცადეთ. ეს „ბოავიშტას" წინააღმდეგაც გაგრძელდება" — გუშინდელი პრესკონფერენცია ოპტიმისტურად დაასრულა ოტმარ ჰიცფელდმა.

„ბაიერნის" ფეხბურთელებმა კი პრესას უგანეს — გერმანული მედია ბევრს და დაუმსახურებლად გვაკრიტიკებს, ჰოდა, ჩვენც პრესას დროებით ბოიკოტს ვუცხადებთო.

თანაგუნდელთა პოზიცია ოლივერ კანმა დაიცვა, რომელმაც მატჩისწინა ოფიციალურ პრესკონფერენციაზე თქვა: „ვფიქრობ, ქვეყნად არ არის გუნდი, რომელიც ისე კარგად გაართმევდა თავს კრიტიკას, როგორც „ბაიერნი". მაგრამ როცა ყოველ დარტყმას წელს ქვემოთ გაყენებენ, როცა ლაპარაკია ხამანწკებზე ნივრიანი სოუზით და კულინარიულ რეცეპტზე, მაშინ შენ ყველაფერ ამაზე გული გერევა".

ცნობისთვის, ნიორწყალში ჩაწყობილი ხამანწკების თემა მაშინ ამოტივტივდა გერმანულ მედიაში, როცა კლუბის კომერციულმა მენეჯერმა ული ჰიონესმა განახლებული ბუნდესლიგის პირველ მდარე მატჩებში გააკრიტიკა თავისი ფეხბურთელები.

აი, მისი მაშინდელი რიტორიკაც: „ფეხბურთელებს არ სურთ გაითავისონ, რომ ფეხბურთი უწყვეტი სამუშაოა, კვირაში შვიდდღიანი გრაფიკით. მატჩის შემდეგ კი ისინი ბანქოს თამაშობენ, მიდიან და ხამანწკებს მიირთმევენ მაშინ, როცა მე შინ მუცლის გვრემით მივდივარ და უძილობის გამო მთელი ღამე ფეხზე ვარ".

სტატისტიკის მოყვარულთ იმასაც ვეტყვით, რომ 1997 წლის დეკემბრის აქეთ ჩემპიონთა ლიგის ბოლო 27 მატჩში „ბაიერნი" შინ არ დამარცხებულა. „ბოავიშტა" კი გასვლაზე, როგორც წესი, სუსტად თამაშობს.

ჯანმრთელობის ამბავშიც უპირატესობა „ბაიერნის" მხარეზეა. გერმანელები ოღენ გრიპშეყრილ შვეიცარიელ შუახაზელ ჩირიაკო სფორცას მოისაკლისებენ, „ბოავიშტას" კი ნახევარმცველი არმანდო პეტი და მცველები ლუიშ პედროსა და რუი ოსკარი დააკლდებიან.

ჯგუფის მეორე წყვილის გარშემო არცთუ დიდი აჟიოტაჟია. „მანჩესტერი" ფავორიტი კია, მაგრამ ლიგა მაინც ლიგაა.

„ნანტს" ორი ტრავმირებული მცველის გარდა (ნიკოლა ჟილე და ნიკოლა ლასპალი) კოლუმბიელი საყრდენი ნახევარმცველი მარიო იეპესიც არ ეყოლება — ის წინა მატჩში საკუთარ საჯარიმოში ხელით თამაშისთვის გააძევეს, პენალტი კი რუუდ ვან ნისტელროიმ გაიტანა ბოლო წუთზე.

ენამჭევრი გამოდგა „ნანტის" ნახევარმცველი ოლივიე კუინტი, რომელმაც გუშინ სინოპტიკურად წააპროგნოზა: „მცირე შანსი კიდევ შეგვრჩენია ჯგუფიდან გასასვლელად და ბოლო წუთებამდე უნდა ვიბრძოლოთ, მაგრამ ჩემთვის ცნობილია, რომ ჩვენ მიწისძვრა გვჭირდება შემდეგ ეტაპზე გასასვლელად".

დავით თაგართქილაძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 3 | 1 | 2 | 0 | 5:2 | 5 |
| ბაიერნი | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | 5 |
| ბოავიშტა | 3 | 1 | 1 | 1 | 1:3 | 4 |
| ნანტი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:3 | 1 |

## B ჯგუფი

### გალათასარაი — ლივერპული

**სავარაუდო შემადგენლობები**

მონდრაგონი, ბიულენთ ქორქმაზი, ვედათი, ვიქტორია, ს. პერესი, სუათი, ფლურკინი, ერგუნი, გიოქთანი, არიფი, ნიკულესკუ
მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ

კირკლენდი, ანშო, შავიერი, ჰიიპია, კარაგერი, რიისე, ჰამანი, მერფი, მაკალისტერი, ოუენი, ჰესკი
მწვრთნელი: ფილ ტომპსონი

სტამბოლი. „ალი სამი იენი". მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია)

### რომა — ბარსელონა

**სავარაუდო შემადგენლობები**

ანტონიოლი, სამუელი, ძებინა, პანუჩი, კაფუ, კანდელა, ფ. ლიმა, ტომაზი, ემერსონი, ტოტი, ბატისტუტა
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო

რეინა, პუიოლი, დე ბური, კრისტენვალი, სერხი, კოკუ, ხავი, ლუის ენრიკე, სავიოლა, რივალდო (ან ოვერმარსი), კლუივერტი
მწვრთნელი: კარლოს რექსაჩი

რომი. „სტადიო ოლიმპიკო". მსაჯი: კიმ-მილტონ ნილსენი (დანია)

# თურქებს აკლიათ და პრეზიდენტს უსმენენ



„გალათასარაის" დასჯილი ემრე ასიქი (მარცხნივ) არ ეყოლება

**ფრიად დიდი** პრობლემები შექმნია „გალათასარაის". ბოლო მატჩში, შინ, „გენჩლერბირლიგისთან" კიდევ ერთმა თურქმა, ბიულენთმა მიიღო ტრავმა. განვმარტავთ, რომ „გალაში" ორი ბიულენთია, მეორე, ბიულენთ ქორქმაზი (კაპიტანი) ფორმაშია და ითამაშებს კიდეც. თუმც მთავარი დანაკლისი თურქულ კლუბში ორია — ფორვარდი უმით კარანი და გამთამაშებელი სერგენი, ვინც კარგა ხანია, მინდორს ჩამოშორდა. დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშებენ ბრაზილიელი მცველი კაპონე და ემრე ასიქი. გამორიცხული არ არის, მირჩა ლუჩესკუმ სათადარიგო გუნდიდან სულ მთლად ყმაწვილი ფეხბურთელი დაიმატოს, წინა ხაზზე კი ისევ არიფი გაამწესოს. ეს რაც შეეხება დანაკლისს. „გალათასარაის" პრეზიდენტმა ბრძანა, რომ „ლივერპულთან" თამაში სეზონში უმნიშვნელოვანესია, უფრო მეტიც, ვიდრე მატჩი სტუმრად რომში ფაბიო კაპელოს „რომასთან". თურქები ლივერპულელი დიტმარ ჰამანის ნათქვამსაც იტყობინებიან — თუ ეს მატჩი მოვიგეთ, უკვე მეოთხედფინალში ვიქნებითო და ირონიით აღნიშნავენ, დახეთ, ეს ჰამანი რა დღეშიაო. პრეზიდენტისგან დიდი ქება დაიმსახურა „გალათასარაის" კოლუმბიელმა მეკარემ ფარიდ მონდრაგონმა. ალბათ გეხსომებათ, მან ლივერპულში გუნდი არაერთხელ იხსნა. ჰოდა, პრეზიდენტმა თქვა, ამ კაცს გუნდში ადგილი და პატივისცემა განაღდებული აქვსო.

მერსისაიდულ კლუბსაც თავისი პრობლემები გასჩენია. არ იქნება კარის მთავარი დარაჯი ირჟი დუდეკი, ხოლო ჯერარდს, მოგეხსენებათ, სერიოზული ტრავმა აქვს. ამიტომ მოსალოდნელია ჩეხი მილან ბაროშის გამოჩენა. შეგახსენებთ, რომ „გალათასარაი" გულიანად თამაშობს სტამბოლში, იქიდან კი იშვიათად თუ წაუღიათ სამი ქულა.

რომაელთა ბრაზილიელმა ფეხბურთელმა, ემერსონმა, ვარჯიში წვივის ტკივილის გამო გააცდინა, ამიტომ „ბარსელონასთან" მისი თამაში საეჭვოა. ძირითადში იქნება გაბრიელ ბატისტუტა, ხოლო მონტელა და დელვეკიო სათადარიგოებს დაამშვენებენ.

ბარძაყის მოშლილობის გამო საეჭვოა რივალდოს გამოჩენა რომში. მან „ვალენსიასთან" მატჩიც გამოტოვა. გავა თუ არა იგი მოედანზე, ამას ექიმები რომშივე გადაწყვეტენ. თუ რივალდომ ვერ ითამაშა, მის ნაცვლად ჰოლანდიელი მარკ ოვერმარსს მიეცემა შანსი, რომელიც ბოლო დროს ძირითადში ვერ ხვდება. დაცვის ცენტრს, ფრანკ დე ბური და ფილიპ კრისტენვალი შეკრავენ, რადგან პატრიკ ანდერსონი ორი თვით სამკურნალოდ წავიდა.

გაგა ხუციშვილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 3 | 1 | 2 | 0 | 6:4 | 5 |
| გალათასარაი | 3 | 0 | 3 | 0 | 3:3 | 3 |
| რომა | 3 | 0 | 3 | 0 | 2:2 | 3 |
| ლივერპული | 3 | 0 | 2 | 1 | 1:3 | 2 |




სტივენ ჯერარდმა ტრავმა ვერ მოიშუშა

# სარბიელი და კროჯო
## წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

### გერმანია. II ბუნდესლიგა. გადადებული მატჩი
27 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 011 | ობერჰაუზენი-ჰანოვერი | 3,3 | 3,2 | 2,0 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. XXV ტური
1 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 012 | მაინცი-ბაბელსბერგი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 013 | მაინცი-ბაბელსბერგი 0:1 | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 22.00 | 014 | დუისბურგი-არმინია | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 22.00 | 015 | უნიონი-საარბრიუკენი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 016 | უნიონი-საარბრიუკენი 0:1 | 1,8 | 3,2 | 3,8 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი)
გადადებული მატჩები
26 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 023 | ურდინგენი-მიუნსტერი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 024 | ურდინგენი-მიუნსტერი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 22.30 | 025 | ლიუბეკი-კილი | 1,45 | 3,5 | 6,0 |
| 22.30 | 026 | მაგდებურგი-აუე | 1,95 | 3,2 | 3,4 |
| 22.30 | 027 | ოსნაბრიუკი-ბრაუნშვაიგი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 22.30 | 028 | ფორტუნა-დიუსელდორფი | 2,7 | 3,2 | 2,3 |
| 22.30 | 029 | ესენი-ლევერკუზენი (მ) | 1,55 | 3,4 | 5,0 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი)
XXIII ტური
1 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 030 | ლევერკუზენი (მ)-ვუპერტალი | 2,2 | 3,0 | 3,1 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი)
XXIII ტური
1 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 040 | შტუტგარტი (მ)-ერფურტი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 21.30 | 041 | ბურგჰაუზენი-ლაუტერნი(მ) | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 042 | ბურგჰაუზენი-ლაუტერნი(მ) 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

### ინგლისი. I დივიზიონი. XXXVI ტური
26 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 060 | ბარნსლი-კრისტალ პალასი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 23.45 | 061 | ბრედფორდი-ნოტინგემი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 23.45 | 062 | ბერნლი-ბირმინგემი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 23.45 | 063 | გრიმსბი-სტოკპორტი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 23.45 | 064 | პორტსმუთი-ქოვენტრი | 2,9 | 3,2 | 2,2 |
| 23.45 | 065 | პრესტონი-უესტ ბრომვიჩი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 23.45 | 066 | როტერჰემი-ჯილინგემი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 23.45 | 067 | შეფილდი-მილუოლი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.45 | 068 | ვულვერჰემპტონი-უოლსოლი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 069 | ვულვერჰემპტონი-უოლსოლი0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 24.00 | 070 | უოტფორდი-ნორვიჩი | 2,3 | 3,2 | 2,7 |

27 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 071 | სიტი-უენსდეი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 072 | სიტი-უენსდეი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 |

### ინგლისი. II დივიზიონი. XXXVI ტური
26 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 085 | რექსემი-ტრანმერი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.45 | 086 | ბორნმუთი-ბრაიტონი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 23.45 | 087 | ბრისტოლი-პიტერბორო | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 088 | ბრისტოლი-პიტერბორო 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 |
| 23.45 | 089 | კემბრიჯი-ბლეკპული | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.45 | 090 | ჰადერსფილდი-კარდიფი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 23.45 | 091 | ნორთჰემპტონი-პორტ ვეილი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 23.45 | 092 | ნოტსი-კოლჩესტერი | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 23.45 | 093 | ოლდჰემი-ბრენტფორდი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 23.45 | 094 | ქუინს პარკი-უიგანი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 23.45 | 095 | სტოკი-ბერი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 23.45 | 096 | სუინდონი-ჩესტერფილდი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 23.45 | 097 | უიკომბი-რედინგი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

### ინგლისი. III დივიზიონი. XXXVI ტური
26 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 110 | ჩელტენჰემი-ჰარტლპული | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 23.45 | 111 | კიდერმინსტერი-შრუსბერი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 23.45 | 112 | ლეიტონი-დარლინგტონი | 2,1 | 3,3 | 3,0 |
| 23.45 | 113 | ლინკოლნი-ლუტონი | 2,9 | 3,2 | 2,2 |
| 23.45 | 114 | მაკლსფილდი-ოქსფორდი | 1,8 | 3,1 | 3,8 |
| 23.45 | 115 | მენსფილდი-ჰალიფაქსი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 116 | მენსფილდი-ჰალიფაქსი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 23.45 | 117 | პლიმუთი-ექსეტერი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 23.45 | 118 | როჩდეილი-ჰალი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 23.45 | 119 | საუთენდი-როვერსი | 1,85 | 3,2 | 3,6 |
| 23.45 | 120 | სუონსი-სკანთორპი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.45 | 121 | ტორკი-რაშდენი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.45 | 122 | იორკი-კარლაილი | 2,2 | 3,1 | 3,0 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი
გადადებული მატჩები
1 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 135 | სედანი-ოსერი | 2,6 | 2,8 | 2,6 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი
გადადებული მატჩები
27 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 139 | სტრასბური-ისტრი | 1,45 | 3,3 | 8,0 |

### იტალია. სერია „ბ“. XXVI ტური
1 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 155 | ბარი-სამპდორია | 2,0 | 2,7 | 4,0 |

### ჰოლანდია. I დივიზიონი. გადადებული მატჩი
27 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 227 | სპარტა-აიაქსი | 7,0 | 3,8 | 1,35 |

### ჰოლანდია. I დივიზიონი. XXV ტური
1 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 228 | ბრედა-ალკმაარი | 1,6 | 3,4 | 5,0 |

### ჰოლანდია. II დივიზიონი. გადადებული მატჩი
26 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 236 | ვეენდამი-დორდრეხტი | 1,9 | 3,1 | 3,6 |

### ჰოლანდია. II დივიზიონი. XXV ტური
1 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 237 | კამბური-ზვოლე | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.00 | 238 | დენ ჰააგი-ემენი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 23.00 | 239 | როზენდალი-ვეენდამი | 1,6 | 3,4 | 4,4 |
| 23.00 | 240 | ვენლო-ტელსტარი | 2,2 | 3,0 | 2,9 |
| 23.00 | 241 | ჰაარლემი-ოსი | 1,4 | 3,6 | 5,6 |
| 23.00 | 242 | დორდრეხტი-ექსელსიორი | 3,0 | 3,1 | 2,2 |

### საბერძნეთი. გადადებული მატჩი
27 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 266 | ატრომიტოსი-ეთნიკოსი | 2,2 | 3,1 | 3,0 |

### ჩეხეთი. XX ტური
1 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 276 | სლავია-ტეპლიცე | 1,5 | 3,5 | 6,0 |

### პოლონეთი. პლეი-ოფი. III ტური
1 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 285 | ლეგია-ამიკა | 1,6 | 3,3 | 5,3 |

### თურქეთი. XXIV ტური
1 მარტი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 294 | ფენერბაჩე-რიზე | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 295 | ფენერბაჩე-რიზე 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 |

### შოტლანდია. I დივიზიონი. გადადებული მატჩები
26 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 312 | აირი-სტ.მირენი | 2,2 | 3,2 | 2,9 |
| 23.30 | 313 | როსი-არდრი | 3,0 | 3,3 | 2,1 |
| 23.45 | 314 | არბროთი-პარტიკი | 3,0 | 3,3 | 2,1 |

### შოტლანდია. II დივიზიონი. გადადებული მატჩები
26 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 320 | ალოა-სტრანრარი | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| 23.30 | 321 | კოუდენბითი-ჰამილტონი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 23.45 | 322 | ქუინი-მორტონი | 1,65 | 3,4 | 4,4 |

27 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 323 | კლაიდბენკი-ბერვიკი | 1,65 | 3,4 | 4,4 |
| 23.30 | 324 | სტენჰაუსმუირი-ფორფარი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

### შოტლანდია. III დივიზიონი. გადადებული მატჩები
26 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 330 | ალბიონი-ელგინი | 1,85 | 3,3 | 3,4 |
| 23.30 | 331 | ისტ სტირლინგი-ისტ ფაიფი | 2,2 | 3,3 | 2,6 |
| 23.30 | 332 | მონტროუზი-ქუინზ პარკი | 1,85 | 3,4 | 3,3 |

27 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 333 | დამბარტონი-ბრეჩინი | 2,8 | 3,3 | 2,2 |
| 23.30 | 334 | სტირლინგი-პიტერჰედი | 2,5 | 3,2 | 2,4 |

### ინგლისი. თასის მე-5 ეტაპი. გადათამაშება.
26 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 363 | ქრიუ-ევერტონი | 4,0 | 3,2 | 1,75 |

### ჩემპიონთა ლიგა. II ეტაპი. IV ტური
26 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 401 | ბაიერნი-ბოავიშტა | 1,35 | 3,8 | 8,0 |
| 23.45 | 402 | მანჩესტერი-ნანტი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 23.45 | 403 | გალათასარაი-ლივერპული | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 23.45 | 404 | რომა-ბარსელონა | 2,1 | 3,1 | 3,2 |

27 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 405 | პანათინაიკოსი-სპარტა | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 23.45 | 406 | პორტუ-რეალი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 23.45 | 407 | არსენალი-ლევერკუზენი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 23.45 | 408 | დეპორტივო-იუვენტუსი | 2,4 | 2,9 | 2,8 |

### უეფას თასი. მერვედფინალი. II წრე.
28 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 409 | ლიბერეცი-ლიონი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 21.00 | 410 | პარმა-ჰაპოელი ტელ ავივი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 22.00 | 411 | ფეიენოორდი-რეინჯერსი | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| 23.15 | 412 | სერვეტი-ვალენსია | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 23.30 | 413 | აეკ-ინტერი | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 23.30 | 414 | დორტმუნდი-ლილი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 23.45 | 415 | მილანი-როდა | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 24.00 | 416 | ლიდსი-პსვ | 1,55 | 3,4 | 5,6 |

### კალათბურთი
26 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 501 | კლივლენდი-სიეტლი | 2,1 | 12,0 | 1,4 |
| 05.00 | 502 | მილუოკი-ლეიკერსი | 1.9 | 12,0 | 1,55 |
| 05.30 | 503 | ჰიუსტონი-კლიპერსი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 05.30 | 504 | სან ანტონიო-ფინიქსი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 05.30 | 505 | დალასი-მემფისი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 05.30 | 506 | ჩიკაგო-ორლანდო | 2,1 | 12,0 | 1,4 |
| 07.30 | 507 | საკრამენტო-იუტა | 1,25 | 12,0 | 3,1 |

27 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 508 | შარლოტი-ნიუ ჯერსი | 1.8 | 12.0 | 1.6 |
| 04.00 | 509 | ბოსტონი-მილუოკი | 1.5 | 12.0 | 2.0 |
| 04.00 | 510 | ფილადელფია-მაიამი | 1.3 | 12.0 | 2.5 |
| 04.00 | 511 | ვაშინგტონი-პორტლენდი | 1,65 | 12.0 | 1.75 |
| 04.30 | 512 | დეტროიტი-ჩიკაგო | 1.1 | 12.0 | 5.0 |
| 04.30 | 513 | ატლანტა-სიეტლი | 2,1 | 12.0 | 1,4 |
| 05.00 | 514 | ტორონტო-ორლანდო | 1,55 | 12.0 | 1.9 |
| 05.00 | 515 | მინესოტა-ლეიკერსი | 1,6 | 12.0 | 1.8 |
| 07.30 | 516 | გოლდენ სტეიტი-დენვერი | 1.5 | 12.0 | 2.0 |

28 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 517 | კლივლენდი-სან ანტონიო | 2.5 | 12.0 | 1.3 |
| 05.00 | 518 | მაიამი-ნიუ იორკი | 1.35 | 12.0 | 2.5 |
| 06.00 | 519 | ფინიქსი-ინდიანა | 1.55 | 12.0 | 1.9 |
| 06.00 | 520 | იუტა-მემფისი | 1.1 | 12.0 | 4.4 |

### კალათბურთი. ევროლიგა. II ეტაპი. I ტური
27 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 551 | აეკ-ოლიმპია | 1.35 | 12.0 | 2.5 |
| 23.30 | 552 | ბენეტონი-ვილერბანი | 1.25 | 12.0 | 3.1 |
| 23.30 | 553 | ტაუ-ულკერი | 1.35 | 12.0 | 2.5 |

28 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 554 | ეფესი-კინდერი | 1,7 | 12.0 | 1.7 |
| 23.00 | 555 | ოლიმპიაკოსი-პანათინაიკოსი | 1,5 | 12.0 | 2.0 |
| 23.00 | 556 | მაკაბი-ცსკა | 1,3 | 12.0 | 2.8 |
| 23.30 | 557 | სკიპერი-ბარსელონა | 1,4 | 12.0 | 2.3 |
| 23.30 | 558 | რეალი-ურალი | 1.25 | 12.0 | 3.1 |

### ჰოკეი. 26 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 559 | აილენდერსი-ბოსტონი | 2,0 | 3,4 | 2.2 |
| 04.00 | 560 | რეინჯერსი-ნიუ ჯერსი | 2,0 | 3,4 | 2.2 |
| 04.00 | 561 | ფილადელფია-ჩიკაგო | 1.75 | 3,4 | 2.5 |
| 04.00 | 562 | ვაშინგტონი-ფლორიდა | 1.5 | 3.4 | 3.4 |
| 04.00 | 563 | კოლუმბუსი-ლოს ანჯელესი | 2.3 | 3.5 | 1.85 |
| 04.30 | 564 | ტორონტო-კაროლინა | 1,55 | 3.5 | 3.0 |
| 04.30 | 565 | მონრეალი-ოტავა | 2,1 | 3,4 | 2,1 |
| 04.30 | 566 | ატლანტა-ბუფალო | 2,2 | 3,6 | 1,9 |
| 04.30 | 567 | ტამპა ბეი-დეტროიტი | 2,5 | 3,6 | 1,7 |
| 05.00 | 568 | ნეშვილი-სან ხოსე | 2,1 | 3,4 | 2,1 |
| 06.00 | 569 | კოლორადო-კალგარი | 1.55 | 3,6 | 2,9 |
| 06.30 | 570 | ფინიქსი-დალასი | 2,0 | 3,6 | 2,1 |
| 07.00 | 571 | ვანკუვერი-სტ. ლუისი | 2,0 | 3,4 | 2,2 |

27 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.30 | 572 | პიტსბურგი-ლოს ანჯელესი | 2,0 | 3,6 | 2,1 |
| 04.30 | 573 | ფლორიდა-დეტროიტი | 2,5 | 4,0 | 1,65 |
| 05.00 | 574 | ნიუ ჯერსი-ფილადელფია | 2,1 | 3,4 | 2,1 |
| 05.30 | 575 | ჩიკაგო-მონრეალი | 1,5 | 3,6 | 3,2 |
| 07.30 | 576 | ანაჰაიმი-მინესოტა | 1,8 | 3,6 | 2,3 |

28 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 577 | ბოსტონი-კაროლინა | 1,65 | 3,6 | 2,7 |
| 04.00 | 578 | რეინჯერსი-ოტავა | 1,95 | 3,5 | 2,2 |
| 04.00 | 579 | კოლუმბუსი-პიტსბურგი | 2,2 | 3,4 | 2,0 |
| 04.30 | 580 | ვაშინგტონი-სან ხოსე | 2,1 | 3,4 | 2,1 |
| 06.00 | 581 | კალგარი-სტ. ლუისი | 2,1 | 3,4 | 2,1 |
| 06.00 | 582 | ედმონტონი-ნეშვილი | 1,55 | 3,6 | 2,9 |
| 07.00 | 583 | კოლორადო-ფინიქსი | 1,55 | 3,5 | 3,0 |
| 07.00 | 584 | ვანკუვერი-დალასი | 2,0 | 3,6 | 2,1 |

### უეფას თასი. შემდეგ ეტაპზე გასვლა.
28 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 20.00 | 651 | ლიბერეცი-ლიონი | 1.65-1,75 |
| 21.00 | 652 | პარმა-ჰაპოელი ტელ ავივი | 1.15-4.0 |
| 22.00 | 653 | ფეიენოორდი-რეინჯერსი | 1.45-2.1 |
| 23.15 | 654 | სერვეტი-ვალენსია | 10.0-1.01 |
| 23.30 | 655 | აეკ-ინტერი | 6.0-1.05 |
| 23.30 | 656 | დორტმუნდი-ლილი | 1,15-3.8 |
| 23.45 | 657 | მილანი-როდა | 1.01-10.0 |
| 24.00 | 658 | ლიდსი-პსვ | 1.25-2.8 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 26 თებერვალი | | | | | | | |
| 23.45 | ბაიერნი-ბოავიშტა | 1,7 | 12,0 | 25,0 | 3,1 | 5,0 | 15,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 23.45 | მანჩესტერი-ნანტი | 1,5 | 15,0 | 30,0 | 3,0 | 5,6 | 15,0 | 30,0 | 15,0 | 14,0 |
| 23.45 | გალათასარაი-ლივერპ. | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,7 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 23.45 | რომა-ბარსელონა | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,7 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| | | | 27 თებერვალი | | | | | | | |
| 23.45 | პანათინაიკოსი-სპარტა | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,7 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 23.45 | პორტუ-რეალი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,7 | 4,7 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 23.45 | არსენალი-ლევერკუზ. | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,7 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 23.45 | დეპორტივო-იუვენტუსი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| | | | 28 თებერვალი | | | | | | | |
| 20.00 | ლიბერეცი-ლიონი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,7 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 21.00 | პარმა-ჰაპოელი | 1,6 | 12,0 | 25,0 | 3,0 | 5,0 | 14,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 22.00 | ფეიენოორდი-რეინჯ. | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 23.15 | სერვეტი-ვალენსია | 3,8 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,7 | 4,7 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 23.30 | აეკ-ინტერი | 4,4 | 10,0 | 20,0 | 5,6 | 4,7 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 23.30 | დორტმუნდი-ლილი | 2,0 | 10,0 | 20,0 | 3,2 | 5,0 | 12,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 23.45 | მილანი-როდა | 1,5 | 15,0 | 30,0 | 3,0 | 5,6 | 15,0 | 30,0 | 15,0 | 15,0 |
| 24.00 | ლიდსი-პსვ | 2,1 | 10,0 | 20,0 | 3,2 | 5,0 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |

### ლიბერტადორესის თასი
26 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 417 | კობრელოა (ჩილე)-ალიანსა (პერუ) | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 02.00 | 418 |ველეს სარსფილდი (არგენტინა)-სპორტინგ კრისტალი (პერუ) | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 02.30 | 419 | სან ლორენსო (არგენტინა)-ელ ნასიონალი (ეკვადორი) | 1,35 | 4,0 | 7,5 |

27 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 00.30 | 420 | ტალიერესი (არგენტინა)-სტრონგესტი (ბოლივია) | 1,45 | 3,6 | 5,6 |
| 02.30 | 421 | უნივერსიდად კატოლიკა (ჩილე)-ოლიმპია (პარაგვაი) | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 03.40 | 422 | ატლეტიკო პარანაენსე (ბრაზილია)-ამერიკა (კოლუმბია) | 1,6 | 3,3 | 4,7 |
| 03.40 | 423 | ფლამენგო (ბრაზილია)-ონსე კალდას (კოლუმბია) | 1,7 | 3,3 | 3,6 |
| 06.40 | 424 | ემელეკი (ეკვადორი)-ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) | 2,4 | 3,1 | 2,6 |

28 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 02.00 | 425 | ოლმედო (ეკვადორი)-ბოლივარი (ბოლივია) | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 03.10 | 426 | გრემიო (ბრაზილია)-ორიენტე პეტროლერო (ბოლივია) | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| 04.10 | 427 | რივერ პლეიტი (არგენტინა)-ამერიკა (მექსიკა) | 1,6 | 3,3 | 5,3 |

საქართველოს ჩემპიონატი

# სტუ-ჯეოსელი: აბონენტი გასულია სტაბილურობის ზონიდან



მაკაბი — სტუ. სტუდენტმა ზვიად ბაბიაშვილმა ფარქვეშ მომუკა ფიცხელაურს აჯობა

ირაკლი პირტაია

**თითქმის** დასათვლელი მატჩები და პირველი ეტაპიც დასრულდება. ერთ კვირაში სამი გუნდი მეთერთმეტე ეროვნული პირველობის კვარცხლბეკის გზას ჩამოსცილდება და საუკეთესო ექვსეულს დაუთმობს ასპარეზს.

არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ განწირული სამეული სეზონის დაწყებამდეც ცნობილი იყო, ისევე, როგორც ზემდგომი ექვსეული და აი, სულ მალე ყველაფერი ოფიციალურად გაფორმდება, მერე კი ვერის ბაღში თითოეულ მატჩს ოქროს ფასი დაედება.

ფასი ვახსენეთ და, აქამდეც იყო ძვირადღირებული მატჩები, განსაკუთრებით განწირულთათვის. „შევარდენს“ თავისი წილი ადრეც უკეთებია. სსუ-ს და „ქუთაისს“ კი სახეირო ჯერ არაფერი ახსოვთ, თემც თითოეულ შეხვედრაში მაქსიმუმს აქსოვენ. აბა, მაღლამდგომთ რას შეეტოქებიან და სუსტები ხეირს ერთურთთან ჭიდილში ეძებენ. ჰოდა, ორი ქვესამეულელი შაბათს პირისპირ დადგა.

სოხუმელებმა ბოლო მატჩებში ფხა გამოიჩინეს — თსუ-ს ტოლსწორად ეპაექრნენ და „ბასკოსთანაც“ არ შერცხვენილან. „შევარდენმა“ კი სულაც ფრე გაახერხა სტუ-სთან და გამარჯვებაც შეეძლო. დღენიადაგ სხვების ჩრდილში მდგარ ამ ორს გამარჯვებათა ღარიბი გრაფის შევსების შანსი მიეცა და პირველი წუთებიდანვე სამკვდროდ ეკვეთნენ ერთიმეორეს.

პირველი მეოთხედი ისეთი გამოდგა, კაციშვილი ვერ იტყოდა, ვინ მოიგებდა. გაახრებულ თამაშსა და ჩაგდებულ ბურთებზე მეტი ჭიდაობა იყო. შევარდენელი ბექა ნოზაძე სოხუმელთა ფარქვეშ ერთობ შმაგობდა, ძალაობის მოყვარული ვანო აბულაძის სახით სტუდენტებსაც ჰყავდათ და კალათბურთისა და სამბოს სინთეზი უჩვეულო თვალსასეირო გამოდგა. ხანგამოშვებით ავიაქარხნელი ლევან ქევხიშვილიც ერეოდა ფარქვეშ მიმდინარე პოზიციურ ბრძოლებში, მაგრამ უფრო გონივრულად, რადგან ხშირად საჯარიმო ხაზზე დგებოდა. თანაბარი ხუთი წუთის შემდეგ სწორედ მისმა საჯარიმოებმა მოსწყვიტა „შევარდენი“ სოხუმელებს ოთხი ქულით, მერე კი სსუ აიჭრა და მიზანი წაუხდა. შესვენებამდე ისევ ქევხიშვილმა იძალა და — 19:11.

მერე და მერე თბილისელთა უპირატესობა დღესავით ნათელი შეიქნა. სოხუმელთა დაცვა მოუვლელ ღობეს დაემსგავსა, რომელში გაძრომაც გიორგი ჩხეიძეს სულაც არ უჭირდა. შეტევაში კი ვაჟა კვარაცხელიას გუნდს დამბლა დაეცა და ბურთი თუ აბულაძეს არ მისდიოდა, როგორც წესი, იკარგებოდა. ავიაქარხნელთა ფარზე აბულაძე ბურთებს კი ხსნიდა ეულად, მაგრამ მთავარს ვერ იქმოდა. ანგარიში თანდათან „შევარდენისთვის“ იზრდებოდა, რაც მეტწილად გელაშვილის დამსახურება იყო. ბექა ნოზაძემ კი სოხუმელთა სროლების მოშთობა დაფარებებით იწყო და მთლად თავგზააბნეულმა სტუდენტებმა თეთრი დროშა ბოლო მეოთხედამდე ააფრიალეს — 41:65.

თსუ-სთან მატჩში ქუთაისელთა მოგებას არავინ ელოდა. ეს თავად იმერლებმაც უწყოდნენ და ზედმეტი თავგამოდების გარეშე ჩაატარეს შეხვედრა. ანგარიში მხოლოდ პირველი მეოთხედის შემდეგ იყო ისეთი, რომ შეეხედებოდა, — 23:16. მერე კი, რაც დრო იწურებოდა, სხვაობა იზრდებოდა და იზრდებოდა. მარკოიშვილი და ნიკოლაძე ქუთაისელთა ფართან რაც სურდათ, იმას აკეთებდნენ. პირველმა შორიდან, მეორემ კი საჯარიმოს ხაზიდან „დატვირთეს“ ლითონის რგოლი და ქულებიც თანაბრად გაიყვეს — 26:26, საბოლოოდ კი სტუდენტებმა 40 ქულა მოგეს.

გოჩა წოწელიას წასვლით „მაკაბის“ ქულების მჭრელი მანქანა მოაკლდა. ჯამლეთ ხუხაშვილის გუნდი პირველ წრეში რომ იყო, იმის აჩრდილია, მაგრამ მასთან მოედანზე დაარხეინებულად გასვლას რა მოაქვს, ყველაზე კარგად თსუ-მ იცის, რომელმაც მაკაბელთაგან წინა კვირას მწარე ალიყური იგემა. ეს უეჭველად იცოდა სტუ-ს თავკაცმა ნუგზარ ჭეიშვილმა და სტუდენტები „მაკაბისთან“ შესაბმელად გვარიანად დამუხტა.

სანამ კალაპოტში ჩადგებოდნენ, სტუდენტებს ერთი ორჯერ ტყუპი ბერიშვილების ელვა გარღვევები გამოეპარათ და ხუთი წუთის შემდეგ ანგარიში „მაკაბის“ მინიმალურ უპირატესობაზე მეტყველებდა. მალე შენგელიამ და დავითულიანმა მეტოქის ფარქვეშეთში ორხელისუფლიანობა დაამყარეს, რითაც საკმარისი ქულები მიითვალეს, მეოთხედის ბოლო წუთზე კი „მაკაბის“ ფარი შედარებით ტანმორჩილმა ირაკლი ხოშტარიამ მოსრა. მან ერთ შეტევაში ბურთი სამჯერ მოხსნა და სანამ მეტოქის კალათში არ დაიგულა, არ მოისვენა — 25:13.

სტუდენტებმა თამაში ისე გაანახლეს, კაცი იფიქრებდა, მაკაბელები მალე განადგურდებიანო, მაგრამ შეცდებოდა. ლაშა ლოსაბერიძემ ისნაიპერა და სტუ-ს ლიდერობამ ოცქულიან ზღვარს უწია, თუმცა სუხიშვილმა და სარიშვილმა ივარგეს, რასაც ტყუპების კონტრშეტევებიც დაერთო და მაკაბელებმა დიდი შესვენებისთვის 12-ქულიანი სხვაობა შეინარჩუნეს. მესამე ათწუთეულში კი მობილური ჯელსელელებისთვის განგაშის ზარი აწკრიალდა. დავითულიანსა და შენგელიას ფარქვეშიდან ორიოდ წუთით მიზანი გაუმრუდდათ, რითაც „მაკაბიმ“ უმალ ისარგებლა და სარიშვილის ორქულიანმა ანგარიშში სხვაობა 6 ქულამდე შეკვეცა. აქ კი ისევ ლოსაბერიძემ შეწუხდა და ნუგზარ ჭეიშვილის სამწყსო დაამშვიდა.

ბოლო ათწეთეულში სტუ-მ საბოლოოდ დაანახვა მაკაბელთ, რომ მათი შეუპოვრობა ამაო იყო. მინაშვილმა დამთავრებამდე 6 ქუთით ადრე ანგარიში 77:57 გახადა. საბოლოოდაც სტუდენტებმა ოცი ქულით მოიგეს — 96:76.

23 თებერვალი. ვერის ბაღი

**შევარდენი 84:57 სსუ**

19:11, 23:14, 23:16, 19:16

შევარდენი: ნ. ნოზაძე (9), გ. ჩხეიძე (17), გელაშვილი (24), ჭირაქაძე (6), ქევხიშვილი (8); გულხადარაშვილი (2), ნუცუბიძე (2), კაზანჯიანი (3), ბ. ნოზაძე (10), გამყრელიძე (3)

სსუ: გ. ცლენტი, სორდია (24), ძიძიგური (9), აბულაძე (15), ერქვანია; ჩიტაშვილი (3), ლაცუზბაია (2), ტაბატაძე, ბ. ქვილითაია (3), ხოშტარია (1)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

კომისარი: ნოდარ დარახველიძე

**თსუ 112:72 ქუთაისი**

23:16, 31:21, 22:9, 36:26

თსუ: ნიკოლაძე (26), ხეცურიანი (9), არსიაშვილი (11), გ. მარკოიშვილი (26), მუშკუდიანი (1); ზ. სანიკიძე (16), კილაძე (3), ზანგურაშვილი (9), ახალკაცი (6), ლ. შანიძე (6)

ქუთაისი: ბადრიძე (4), დარახველიძე (6), კეშელავა (15), ქოქოსაძე, ნ. შანიძე (6); კვიმსაძე (16), შავლაყაძე (4), პირტახია (17), კუპრაშვილი (5), კოლუაშვილი

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, მაკა კუპატაძე

კომისარი: როლანდ ხომერიკი

**მაკაბი 76:96 სტუ**

13:25, 22:22, 27:25, 14:24

მაკაბი: დ. ბერიშვილი (21), ი. ბერიშვილი (10), კეიდია (12), ფიცხელაური, სუხიშვილი (17); კრიხელი, სარიშვილი (11), ჯანელიძე, ანდღულაძე (5)

სტუ: აბრამიძე (9), ი.ხოშტარია (11), ოთიურიძე (9), დავითულიანი (19), შენგელია (14); მარხვაშვილი (2), სულაძე, ლოსაბერიძე (18), მინაშვილი (8), ბაბიაშვილი (6)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, როლანდ გელოვანი

კომისარი: მურმან ქურიძე

24 თებერვალი. ვერის ბაღი

**ქუთაისი 82:96 სტუ**

18:21, 22:26, 20:25, 22:24

ქუთაისი: ბადრიძე (7), კვიმსაძე (29), პირტახია (5), კეშელავა (24), ნ. შანიძე (1); დარახველიძე (2), შავლაყაძე (2), კუპრაშვილი (8), კოლუაშვილი (4)

სტუ: მარხვაშვილი (5), ლოსაბერიძე (20), ოთიურიძე (12), დავითულიანი (21), ბაბიაშვილი (23); აბრამიძე (15)

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, როლანდ გელოვანი

კომისარი: თენგიზ ქიქოძე

**შევარდენი 65:75 თსუ**

13:22, 12:23, 16:10, 24:20

შევარდენი: ნ. ნოზაძე (3), გ. ჩხეიძე (19), გელაშვილი (4), ჭირაქაძე (12), ბ. ნოზაძე (18); ნუცუბიძე, კაზანჯიანი (5), ქევხიშვილი (4)

თსუ: ნიკოლაძე (4), ხეცურიანი (11), გ. მარკოიშვილი (10), ახალკაცი (9), მუშკუდიანი (4); ზ. სანიკიძე (4), კილაძე (16), ზანგურაშვილი (4), ლ. შანიძე (13)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე

კომისარი: მურმან ქურიძე

**ნუგზარ ჭეიშვილის** სტუ-ს სხვებისგან ერთი რამაც განასხვავებს, რაც უფრო სუსტია მეტოქე, მით უფრო სუსტად თამაშობს. ამ სეზონში ეს არაერთხელ დადასტურებულა და ბოლოადგილოსან „ქუთაისთან“ მატჩშიც ასე იყო.

ამისი უპირველესი მიზეზი, ალბათ, თავდაჯერებულობაა, მაგრამ ერთიცაა: ჭეიშვილი სუსტებთან მატჩებს მოთამაშეთა დასასვენებლადაც იყენებს, სანაცვლოდ კი სანერვიულოსაც იმრავლებს. კვირას იმერლებთან სათამაშოდ არ გასულან ირაკლი ხოშტარია, ვახტანგ მინაშვილი და მცირეტრავმიანი კახა შენგელია, ამას გიორგი გაგნიძე და დისკვალიფიცირებული ბაჩანა სულაძეც დავამატოთ და გაირკვევა, რომ სტუდენტთაგან ოფლი ექვს კალათბურთელს მოუდენია.

თამაშის დაწყებიდან ბოლომდე მოვლენები ზოზინით ვითარდებოდა. ხოშტარიას არყოფნის ბრალი იყო თუ სხვა რამის, სტუდენტებს მძლავრი იარაღი, სწრაფი კონტრშეტევები ერთობ დაჩლუნგებოდათ. პირველი ათწუთეულის შუაწელში ბაბიაშვილის აქტიურობამ სტუდენტები 7 ქულით დააწინაურა, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ამ ზღვარს ჭეიშვილის სამწყსო კიდევ კარგა ხანს ვერ ასცდებოდა. მეტიც, იმერლები ორჯერ დაწინაურდნენ კიდეც — ჯერ მეორე მეოთხედის დასაწყისში, შემდეგ კი ზურაბ ბადრიძის სამქულიანით მის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე — 38:37.

მიუახლოვდებოდა თუ არა „ქუთაისი“, ლოსაბერიძე სამქულიანს გაისროდა და სტუდენტებს კვლავ 5-6 ქულით დააწინაურებდა. ანგარიშში ათქულიან ზღვარს სტუ-მ ბოლო მეოთხედის დაწყებამდე მიაღწია და მოპოვებული უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვა.

თსუ-მ კვირას „შევარდენთან“ მეორე წრის ბოლოს შეხვედრა გამართა და იოლად გაიმარჯვა. პირველი ხუთი წუთის განმავლობაში ავიაქარხნელები გულით ცდილობდნენ სტუდენტთა კალათის დალაშქვრას, მაგრამ სანამ ირაკლი გელაშვილი საჯარიმოს ხაზზე არ დადგა, არაფერი გამოუვიდათ. მანამდე კი გელა წულაძის გუნდს ათი ქულის ჩაჯიბვა მოესწრო — 10:2. პირველი ნახევრის ბოლომდე ტაბლოზე დაახლოებით ამგვარი თანაფარდობა იყო. კილაძისა და შანიძის ყოჩაღი თამაშის წყალობით დიდ შესვენებაზე თსუ 20-ქულიანი მარაგით გავიდა.

მატჩის ბედი გარკვეული იყო და თსუ-მაც დაზოგა ძალა და ნერვები. „შევარდენი“ კი ჩვეულად, ბოლომდე „ფრთხიალებდა“ და ჩხეიძისა და ნოზაძის წყალობით თამაშის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე სხვაობა 8 ქულამდე შეამცირა. აქ შეხვედრამ მისხალი ინტრიგა შეიძინა, მაგრამ ციბრუტად ქცეულ ავიაქარხნელთა იმედებს კილაძის ორქულიანმა ცივი წყალი ასხურა.

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბასკო | 16 | 15 | 1 | 1479:1072 | 31 |
| სტუ-ჯეოსელი | 15 | 10 | 5 | 1288:1120 | 25 |
| თსუ | 16 | 9 | 7 | 1277:1232 | 25 |
| აზოტი | 14 | 10 | 4 | 1125:964 | 24 |
| დინამო | 14 | 10 | 4 | 1179:1007 | 24 |
| მაკაბი | 14 | 7 | 7 | 1194:1246 | 21 |
| შევარდენი | 15 | 4 | 11 | 1003:1174 | 19 |
| სსუ | 14 | 2 | 12 | 920:1185 | 16 |
| ქუთაისი | 16 | 0 | 16 | 1087:1552 | 16 |



შევარდენი — თსუ. ზურაბ სანიკიძემ (№6) და დავით მუშკუდიანმა შევარდენელ ლევან ქევხიშვილს დაუფარეს

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ჯორდანი ფუნთუშაში

## შურისძიება ჰოთ-დოგივით გემრიელია

23 თებერვალი

**ვაშინგტონი 95:97 მაიამი**

**ვაშინგტონი:** ვიტნი (5), ჰამილტონი (19), ჯორდანი (37), ფ. ჯონსი (4), ვაიტი (5 ქულა, 10 მოხსნა); ლუ (13), ჰეივუდი (6), ლეიტნერი (4), ნესბი (2), დევისი

**მაიამი:** სტრიკლენდი (18 ქულა, 14 პასი), ე. ჯონსი (25), გილი (8), გრანტი (12 ქულა, 10 მოხსნა), მურნინგი (12); ელისი (12), ჯეკსონი (6), კარტერი (2), სტეფანია (12 წუთი, 2 ქულა, 3 მოხსნა)

24 თებერვალი

**მაიამი 92:80 ვაშინგტონი**

**მაიამი:** სტრიკლენდი (16 ქულა, 11 პასი), ე. ჯონსი (15), გილი (12), გრანტი (14), მურნინგი (11 ქულა, 12 მოხსნა); ჯეკსონი (10), ელისი (9), სტეფანია (6 წუთი, 5 ქულა, 1 მოხსნა, 1 დაფარება), კარტერი

**ვაშინგტონი:** ვიტნი (10), ჰამილტონი (8), ჯორდანი (9), ლეიტნერი (15), ვაიტი (2); ლუ (21), ნესბი (6), დევისი (5), ტომასი (4), ჰეივუდი

„მე ვერ ჩავაგდებ გადამწყვეტ ბურთებს ყველა თამაშში, ზოგჯერ სხვებმაც უნდა გაანძრიონ ხელ-ფეხი" — 23 თებერვალს შინ „მაიამისთან" მარცხის შემდეგ სადღაც გაქრა მაიკლ ჯორდანის განთქმული თავდაჭერილობა. იგი გაბრაზებული იყო, ან კი როგორ იქნებოდა მშვიდად. 39 წლის კაცმა ბიჭივით მოინდომა, ირბინა, იხტუნა, 37 ქულას მოუყარა თავი, თანაგუნდელებმა კი გარჯა წყალში გადაუყარეს. ისე კი, მთლად მათაც ნუ გადააბრალებს, მეტოქე შეხვდა ძნელად მოსარევი.

„მაიამი ჰითს" გაუმართლა, კარგ დროს შეეჩეხა „ვაშინგტონს", დედაქალაქელთა აშკარა დაცემის პერიოდში, ისარგებლა ჯორდანიანთა დაღმასვლით და ორ დღეში ორჯერ — შინ და სტუმრად მოუგო. უფრო დაძაბული გამოდგა პირველი, ვაშინგტონური შერკინება, რომელმაც ასე დაძაბა ჯორდანის ნერვები. აქ ჩვენებურმა ვოვა სტეფანიამ 12 წუთი ითამაშა და მართალია, სულ ორი ქულა გააკეთა, მწვრთნელ რაილის მასხე აუგი არ წასცდა. აღსანიშნავია, რომ „მაიამიმ" საბოლოოდ სწორედ ორი ქულით მოიგო.

ლამის ქულა-ქულაში წარმართული მთელ შეხვედრას ამშვენებდა დრამატული ფინალი, რომელიც ამ საქმის ოსტატმა მაიკლ ჯორდანმა მისიანთა სიხარულად ვერ აქცია. მან ბოლო მეოთხედში 13 ქულა შეუგროვა თავისიანებს, მატჩის დამთავრებამდე 15-ოდე წამით ადრე 95:95 გაათანაბრა კიდეც, მაგრამ დარჩენილ დროში პატ რაილის შეგირდთა მიერ მოქსოვილ და „მაიამის" კალათის წინ დაგებულ ქსელში ჩაიკარგა.

ჯორდანის გათანაბრების შემდეგ სტუმრებმა თითქმის ბოლომდე გაიყვანეს დრო და ბრაიან გრანტმა 1,8 წამით ადრეულა ჩააგდო სტუმართა წინ გამყვანი ბურთი. მასპინძლებმა მოახერხეს თვალის დახამხამებაში შეტევის ორგანიზება და რიჩარდ ჰამილტონი ფართან თითქმის მარტო დატოვეს, თუმცა ამას სტუმარმა ჯიმი ჯეკსონმა ზედ საფინალო სირენასთან ერთად დაუფარა. შემდეგ კი ჰამილტონის ბედოვლათობამ ჯორდანი ალაშფოთა.

მართალია, „ოლ სტარის" შემდეგ „ვაშინგტონის" ძლევა არცთუ ძნელი რამ გამხდარა, მაგრამ მაიმელები ამ გამარჯვებამ მაინც ისე გაახარა, თითქოს რაიმე შეუძლებელი შეეძლოთ. მათ შორის ყველაზე კმაყოფილი „ჰითის" გამთამაშებელი როდ სტრიკლენდი გახლდათ, რომელმაც „ვიზარდის" მარცხი სხვებზე მეტად მოიწადინა და აკი სეზონში პირველად შეაგროვა ორმაგი დუბლი, ათ-ათზე მეტი ქულა-პასი. მას ჰქონდა თავგამოდების საბაბი, წინა ხუთი სეზონი „ვაშინგტონში" გაეტარებინა და იქიდან შარშან გააგდეს რეჟიმის ხშირი დარღვევისთვის, წონის მომატებისთვის, თანაგუნდელთა და საერთო საქმის ფეხებზე დაკიდებისთვის და სხვა მისთანა მამაძაღლობებისთვის. დედაქალაქელები სტვენით შეხვდნენ კრიპყოფილს, ხოლო ვიღაცამ ტრიბუნიდან ყველას გასაგონად უყვირა „ტყუილად დაბოდიალობ მოედანზე, როდ, ჯობს წახვიდე და კიდევ ერთი ჰოთ დოგი შეჭამო". ზეწოლამ არ გასჭრა. რაილის ხელში ძველ მობურთალად ქცეულმა სტრიკლენდმა ტრიბუნებიდან წამოსული ნაგავი ცალ ყურში შეუშვა და მეორედან გაუშვა და, სხვათა შორის, ძალიან კარგადაც ითამაშა.

იგი საუკეთესო იყო 24 თებერვალს მაიამიშიც, სადაც მის ახალ გუნდს ამჯერად ნაკლები ჯაფა დაადგა ძველთან ჭიდილში, იქნებ იმიტომაც, რომ მისი ალმატებულება მაიკლ ჯორდანი იმ დღეს თამაშის იშტაზე არ იყო.

22 თებერვალი

**სიეტლი 99:96 ატლანტა**

**სიეტლი:** პეიტონი (21), ბერი (17), მეისონი (17)

**ატლანტა:** ტერი (32), აბდულ-რაჰიმი (25 ქულა, 16 მოხსნა)

**მილუოკი 116:112 გოლდენ სტეიტი**

**მილუოკი:** ალენი (28 ქულა, 13 მოხსნა, 8 პასი), კასელი (26)

**გოლდენ სტეიტი:** რიჩარდსონი (35), ჯემისონი (23 ქულა, 11 მოხსნა)

**ჩიკაგო 91:83 ფინიქსი**

**ჩიკაგო:** როუზი (22), ფიზერი (21)

**ფინიქსი:** მარბერი (27), ჯონსონი (23 ქულა, 11 მოხსნა, 6 პასი), მარიონი (16)

**ნიუ ჯერსი 115:93 ნიუ იორკი**

**ნიუ ჯერსი:** ჯეფერსონი (22), კიტლზი (20), კიდი (17 ქულა, 11 პასი, 7 მოხსნა, 4 ჩაჭრა), ვან ჰორნი (16)

**ნიუ იორკი:** სპრიუელი (30)

**ტორონტო 72:80 დეტროიტი**

**ტორონტო:** დევისი (17 ქულა, 13 მოხსნა)

**დეტროიტი:** რობინსონი (21), უილიამსონი (17)

**ინდიანა 93:103 კლივლენდი**

**ინდიანა:** ბ. მილერი (21), ონილი (17), ოლი (16)

**კლივლენდი:** ა. მილერი (27), დევისი (20)

23 თებერვალი

**პორტლენდი 101:90 დენვერი**

**პორტლენდი:** სტუდემაიერი (24 ქულა, 11 პასი, 6 მოხსნა), ვოლესი (23), ველსი (18)

**დენვერი:** მაკლაუდი (20), ჰოვარდი (16)

**ჩიკაგო 105:91 გოლდენ სტეიტი**

**ჩიკაგო:** ფიზერი (30), ბეკტი (16), როუზი (15)

**გოლდენ სტეიტი:** მერფი (16), არენასი (16)

**ინდიანა 106:98 კლიპერსი**

**ინდიანა:** რ. მილერი (28), ონილი (24), ბ. მილერი (14)

**კლიპერსი:** ბრენდი (23 ქულა, 21 მოხსნა), მაკინისი (23), ოლოვოკანდი (15)

**სან ანტონიო 88:112 მინესოტა**

**სან ანტონიო:** დანკანი (25)

**მინესოტა:** გარნეტი (30)

**ჰიუსტონი 99:89 ბოსტონი**

**ჰიუსტონი:** მობლი (40)

**ბოსტონი:** პირსი (30), უოლკერი (25)

**ორლანდო 105:87 ფილადელფია**

**ორლანდო:** მილერი (25 ქულა, 11 მოხსნა), მაკგრეიდი (22 ქულა, 11 მოხსნა, 11 პასი)

**ფილადელფია:** აივერსონი (32 ქულა, 6 ჩაჭრა, 6 პასი, 5 მოხსნა)

**დალასი 111:97 საკრამენტო**

**დალასი:** ნეში (28), ნოვიცკი (26 ქულა, 21 მოხსნა), ფინლი (15)

**საკრამენტო:** ვებერი (28)

24 თებერვალი

**ნიუ იორკი 91:107 ლეიკერსი**

**ნიუ იორკი:** სპრიუელი (22), ჰიუსტონი (21), ტომასი (17 ქულა, 10 მოხსნა)

**ლეიკერსი:** ონილი (30 ქულა, 15 მოხსნა), ბრაიანტი (27), ჰორი (20)

**კლივლენდი 111:96 ორლანდო**

**კლივლენდი:** დევისი (27 ქულა, 9 მოხსნა, 8 პასი), პერსონი (26), მიურეი (19 ქულა, 13 მოხსნა)

**ორლანდო:** ჰადსონი (24), მილერი (23)

**ნიუ ჯერსი 95:93 შარლოტი**

**ნიუ ჯერსი:** კიდი (21 ქულა, 15 პასი, 6 მოხსნა), ჰარისი (17)

**შარლოტი:** დევისი (29), მაშბურნი (24)

**ფინიქსი 92:83 სან ანტონიო**

**ფინიქსი:** მარბერი (36), მარიონი (17 ქულა, 12 მოხსნა), ჯონსონი (15)

**სან ანტონიო:** რობინსონი (25), დანკანი (21 ქულა, 13 მოხსნა), სმიტი (20)

**მილუოკი 89:82 დეტროიტი**

**მილუოკი:** კასელი (27), ალენი (21 ქულა, 10 მოხსნა, 7 პასი)

**დეტროიტი:** სტეკჰაუზი (19), ეტკინსი (16), ვოლესი (10 ქულა, 17 მოხსნა, 10 დაფარება)

**დენვერი 84:89 ატლანტა**

**დენვერი:** ჰოვარდი (28), ჰოუზი (20 ქულა, 14 მოხსნა)

**ატლანტა:** ტერი (25 ქულა, 10 პასი), აბდულ-რაჰიმი (23)

**ტორონტო 92:101 სიეტლი**

**ტორონტო:** კარტერი (28), კლერკი (20), პეტერსონი (18), დევისი (16 ქულა, 12 მოხსნა, 6 პასი)

**სიეტლი:** ბერი (23), პეიტონი (22), ლუისი (21), ჯეიმსი (18 ქულა, 12 მოხსნა)

**ირაკლი ფირცხმილი**



REUTERS ფოტოქრონიკა

ვაშინგტონელი ბრენდან ჰეივუდი ვლადიმერ სტეფანიას უფარებს



# ტიტულის შხეფი

## სვამ შენთვის შამპანურს, თან კაი ფულს გაძლევენ



REUTERS ფოტოქრონიკა

ამელი მორესმოს დუბაის ტიტული ვინუს უილიამსის მუხლის ტკივილმა მოაგებინა

როტერდამი. ჰარდი
საპრიზო 713 ათასი $

**მეოთხედფინალი**

**ნიკოლა ესკუდე** (საფრანგეთი) — **როჯერ ფედერერი** (7, შვეიცარია) 3:6, 7:6 (10:8), 7:5; **სებასტიან გროჟანი** (4, საფრანგეთი) — **არნო კლემანი** (საფრანგეთი) 7:6 (10:8), 6:3; **ტიმ ჰენმანი** (6, ბრიტანეთი) — **ბოგდან ულირახი** (ჩეხეთი) 7:5, 6:3; **ივო ლიუბიჩიჩი** (ხორვატია) — **ივო ჰოიბერგერი** (შვეიცარია) 6:3, 3:6, 6:3

**ნახევარფინალი**

**ნიკოლა ესკუდე** — **სებასტიან გროჟანი** 4:6, 7:6 (7:1), 7:5; **ტიმ ჰენმანი** — **ივან ლიუბიჩიჩი** 7:5, 6:4

**ფინალი**

**ნიკოლა ესკუდე** — **ტიმ ჰენმანი** 3:6, 7:6 (9:7), 6:4

ნიკოლა ესკუდე ამ ტურნირის შარშანდელი გამარჯვებულიც გახლავთ, მაგრამ რადგანაც მსოფლიო სარეიტინგო ჩამონათვალში შედარებით მოკრძალებული საფეხური უპყრია, „მსოფლიოს ჭერქვეშა ტურნირზე" (და როტერდამის ასპარეზობას სხვაგვარად ასეც მოიხსენიებენ) წლეულს განუთესავად გაარონიეს. ამას მისთვის ხელი არ შეუშლია, ტიტულის დასაცავად სწორედ განთესილებს — ხუან კარლოს ფერეროს (1, ესპანეთი), როჯერ ფედერერს (7, შვეიცარია), სებასტიან გროჟანსა (4, საფრანგეთი) და ტიმ ჰენმანს (6, ბრიტანეთი) გასწორებოდა.

სხვათა შორის, ესკუდე პირველია სახელოვანი სტეფან ედბერგის შემდეგ, ვინაც როტერდამში ზედიზედ ორჯერ გაიმარჯვა. დიდ შვედს ეს საქმე შორეულ 1987-88 წლებში გამოუვიდა.

რაც შეეხება საკუთრივ ფინალს, იგი როტერდამის 3-გზის ფინალისტისა და 3-გზისვე ძლეული ბრიტანელის უპირატესობით დაიწყო. მსოფლიოში რანგით მე-11-ემ და იანვარში ადელაიდის ამკლებმა ჰენმანმა პირველი სეტის მეოთხე გეიმში ფრანგის ორმაგი შეცდომა გამოიყენა და 4:1 დაწინაურდა.

მეორე სეტში გაჩაღებული იწილობიწილო, რომლის დროსაც ჯერ ესკუდე იგებდა 5:1, ხოლო შემდეგ ჰენმანმა 4 გეიმის უკუგებით გაფრევება მოახერხა, ფრანგის მიერ ბღლარძუნით მოგებული ტაიბრეიკით დასრულდა. მესამეში კი წინა კვირას მარსელის ფინალამდე მისულმა ესკუდემ კუნძულელს სამეცხრეგეიმო ჩაწოდება გაუტეხა და 5:4-ზე, უკვე საკუთარი ჩაწოდებისას, ეშხიანი საჰაეროთი კარიერის მე-3 ტიტულიც მიითვალა.

27 წლის ჰენმანს, ეგებ ვინმეს არ გახსოვდეთ და, აქ 1999-ში ევგენი კაფელნიკოვისთვის, 2000-ში კი სედრიკ პიოლინისთვის დაეთმო. „ვერაფერს იტყვი, მუავე სტატისტიკაა, მაგრამ, ჯერ ერთი, ნიკოლა ჩინებულად თამაშობს სიღრმიდან, ხოლო მეორეცაა, მის მეორე ჩაწოდებებს დღეს სათანადოდ ვერ ვხვდებოდი. შედეგიც სწორედ ამან განსაზღვრა" — ამბობდა ჰენმანი.

როტერდამულმა ხეირმა ნიკოლა ესკუდეს პირადი ბიუჯეტი 128 400 დოლარით გაუმდიდრა. 25 წლის ჭაბუკისთვის ეს ჩინებული ჩაროზია.

დუბაი. ჰარდი
საპრიზო 585 ათასი $

**ნახევარფინალი**

**სანდრინ ტესტიუ** (4, საფრანგეთი) — **ვინუს უილიამსი** (1, აშშ) 1:6, 7:6 (7:5), 6:4; **ამელი მორესმო** (3, საფრანგეთი) — **მონიკა სელეში** (2, აშშ) 6:4, 6:3

**ფინალი**

**ამელი მორესმო** — **სანდრინ ტესტიუ** 6:4, 7:6 (7:3)

ვინუს უილიამსს, მდედრიონის ახალ მეპირველეს, ვინაც ქალთა კლასიფიკაციის მწვერვალზე თანამემამულე ჯენიფერ კაპრიატის ჩაენაცვლა, დუბაიში მარცხენა მუხლმა უმტყუნა. მუხლი ვინუსს ჯლიგინ-ჯლიგინითა და 21 წუთში მოგებული პირველი სეტის შემდეგ ასტკივდა, როცა ტესტიუს, ვინუსთან აქამდე ნათამაშევ ხუთსავე პირად შეხვედრაში რომ წააგო, უკვე საქაო პირი აღარ ჰქონდა.

სწორედ მუხლის გამო იყო, ვირგლა ამერიკელმა მეორე სეტში ორი საკუთარი გეიმი რომ დათმო, ტაიბრეიკიც რომ ჩააბარა და ხელ-ჩოგნის გამოლება ამის მერეც რომ ვერ შეძლო.

შიდაფრანგულ ფინალში კი რაღა? არც არაფერი განსაკუთრებული: უფრო მძლავრი მორესმო თვისტომსაც ისევე ულმობლად მოექცა, როგორც ერთი დღით ადრე თამაშმოყირჭებულსა და შესამჩნევად გაძაღლილ სელეშს, მას არც განძრევის საშუალება მისცა, არც არაფერი დაუთმო და წლეულს პირველი, ხოლო კარიერის მე-7 ტიტულიც დამაჯერებლად მიიკუთვნა.

სხვათა შორის, 2001 წლის მაისის შემდეგ მორესმოს აღარაფერი მოეგო.

მემფისი. ჰარდი
ვაჟები. საპრიზო 725 ათასი $

**ნახევარფინალი**

**ჯეიმს ბლეიკი** (8, აშშ) — **ჟან-მიშელ გემბილი** (3, აშშ) 6:4, 7:6 (10:8); **ენდი როდიკი** (აშშ) — **ქსავიე მალისი** (4, ბელგია) 6:7 (5:7), 6:3, 6:3

**ფინალი**

**ენდი როდიკი** — **ჯეიმს ბლეიკი** 6:4, 3:6, 7:5

19 წლის როდიკმა კარიერის მე-4 სა-ATP-ო ტიტული მოიპოვა. მასზე ახალგაზრდას მემფისში მხოლოდ ანდრე აგასის უმარჯვია. ეს 1988 წელს მოხდა, როცა აგასი მხოლოდ 18 წლისა იყო.

ქალები. საპრიზო. 170 ათასი $

**ნახევარფინალი**

**ლიზა რეიმონდი** (2, აშშ) — **აი სუგიამა** (3, იაპონია) 6:2, 6:1; **ალექსანდრა სტივენსონი** (4, აშშ) — **ალინა ჟიდკოვა** (რუსეთი) 6:1, 6:2

**ფინალი**

**ლიზა რეიმონდი** — **ალექსანდრა სტივენსონი** 4:6, 6:3, 7:6 (11:9)

წლეულს თავისი პირველი ტიტულისა და ზედაც 27 ათასი დოლარის მოსაპოვებლად ლიზა რეიმონდს გადამწყვეტ ტაიბრეიკზე 5 მატჩბურთის გადარჩენა მოუხდა.

ბუენოს აირესი. თიხნარი
საპრიზო 625 ათასი $

**ნახევარფინალი**

**აგუსტინ კალერი** (არგენტინა) — **ხუან იგნასიო ჩელა** (არგენტინა) 6:4, 6:4; **ნიკოლას მასუ** (ჩილე) — **ფელისიანო ლოპესი** (ესპანეთი) 7:6 (7:2), 6:2

**ფინალი**

**ნიკოლას მასუ** — **აგუსტინ კალერი** 2:6, 7:6, 6:2

21 წლის ჩილელისთვის ეს მესამე სა-ATP-ო ფინალი და მხოლოდ პირველი ტიტულია. 25 წლის არგენტინელის გასატეხად, რომელმაც, სხვათა შორის, შინ გუსტავო კუერტენიც გაისტუმრა, ჭაბუკ ჩილელს მარჯვენა მხრის უსაშინლესი ტკივილების გადალახვა მოუხდა.

**ლევან ძელაურაძე**

## თხილამურობა




REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან

ლარისა ლაზუტინამ გამარჯვება ნაადრევად იზეიმა

# ლაზუტინას პუტინმაც ვერ უშველა

## ესპანელებმა მულეგი გან-გმირეს

**რუსები** დააწყნარეს. ჟაკ როგის (საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი) დიპლომატიურმა ტალანტმა იკმარა, რომ ჩვენს მეზობლებს ბარგი არ შეეკრათ და ოლიმპიადა ჩაემთავრებინათ. მეტიც, საერთაშორისო ანტისადოპინგო სააგენტოს (ვადა) მუშაკებმა კიდევ ერთ შეჯიბრზე ამხილეს რუსები დოპინგის მიღებაში, ოქროს მედალი წაართვეს და ხმა არავის ამოუღია.

საქმე ეხება უკვე სკანდალურად ცნობილ ლარისა ლაზუტინას, რომელიც 4X5-კილომეტრიანი ესტაფეტიდან დოპინგის ბრალდებით მოკვეთის შემდეგ კვირას 30-კილომეტრიან კლასიკურ სრიალზე გამოვიდა და დიდი უპირატესობით გაიმარჯვა.

ლაზუტინას გამარჯვება მოიხაზა რბოლის დასაწყისშივე. 7,2 კილომეტრის ნიშნულთან ლაზუტინა 25,1 წამს უგებდა უახლოეს მდევარს, 11,5 კილომეტრის შემდეგ უპირატესობამ 50 წამს გადააჭარბა და ისე, რომ დალლა არ დასტყობია, რუსმა დისტანციის ბოლოს სრიალ-სრიალით ზეიმი დაიწყო. ლაზუტინამ წუთით და 48 წამით გაუსწრო იტალიელ გაბრიელა პაროუტის, რომელმაც თავის მხრივ თვისტომ სტეფანია ბელმონდოს მოუგო სულ 4 წამი. ლაპარაკია ოლიმპიურ ჩემპიონ ბელმონდოზე (15 კმ თავისუფალი სტილით), რომელმაც ფინიშის შემდეგ ცრემლისღვრით დააფიქსირა, რომ 33 წლისაა და დიდი სპორტიდან მიდის.

ლაზუტინა კი მეცხრე ცაზე დანავარდობდა.

„თავად ფაქტი, რომ ხუთშაბათს ესტაფეტაზე არ დამიშვეს, გამოწვევა იყო — ლაღად განაცხადა რუსმა — ჩემს ცხოვრებაში პირველად დამაბრალეს დოპინგის მოხმარება, თან სრულიად უსაფუძვლოდ. ჩემი გამარჯვება სანაცვლო იყო იმ ოქროსი, ესტაფეტაზე უცილობლად რომ უნდა გვხვდომოდა. მე დავამტკიცე, რომ რუსები საუკეთესონი არიან".

ჰო-ჰო-ჰო, რა ხიტყვები იყო და სულ დათვლილ საათებში ლაზუტინა აღარ გახლდათ საუკეთესო. მას ცნობილი დოპინგი აღმოუჩინეს: დარბოპოეტინი, ანუ პრეპარატი ანემიის სამკურნალოდ, რომელსაც ერითროპოეტინის (ეპო) მსგავსი ეფექტი აქვს, სისხლის წითელ ბურთულებს ამრავლებს, მაგრამ ეპო-ზე 10-ჯერ მძლავრია. დარბოპოეტინი 1998 წლის „ტურ დე ფრანსის" სკანდალის ცენტრში ფიგურირებდა.

ლაზუტინას მედლის დათმობამ მოუწია და იგი გადაეცა პაროუძის. ვერცხლი და ბრინჯაო ბელმონდოსა და ბენტე სკარიზე გადანაწილდა, ხოლო სოკ-ის გენერალურმა დირექტორმა ფრანსუა კარარმა მაშინვე გამოაცხადა, რომ ლაზუტინას და იოჰან მულეგს ადრეული მედლები (პირველს ვერცხლის და მეორეს — ოქროსები) არ ჩამოერთმევათ, რადგან ყოველი რბოლის წინ სინჯავდნენ და ვერაფერი აღმოუჩინეს.

მკითხველი თვალს არ მოუტყუებია: სოლტ ლეიკ სიტიში ესპანეთის ეროვნულ გმირად ჩამოყალიბებული გერმანელი იოჰან მულეგიც თურმე ორპირი ყოფილა, მასაც დარბეპოეტინი მიუღია და პირენეის პრესამ თეთრი ფერი უმალ შავით შეცვალა. ფრაგმენტი გაზეთ ABC-ს რედაქტორის სვეტიდან: „ერთ ღამეში მულეგმა დაკარგა არა მარტო ოქროს მედალი, არამედ სპორტული გმირის სტატუსიც".

„ელ მუნდო": „ჩვენი ოლიმპიური ისტორიის უდიდესი მიღწევა ქიმიური პრეპარატების სამყაროში დაიძირა და ჩაიკარგა".

მულეგის ოქრო რუს მიხაილ ივანოვს ჩამოჰკიდეს.

**დავით გულუა**

2 | 1 | 3

**ვაჟები**

50 კმ კლასიკური

1 მიხაილ ივანოვი (რუსეთი) 2:06.20,8
2 ანდრუს ვეერპალუ (ესტონეთი) 2:06.44,5
3 ოდ ბიორნ ჰელმესეტი (ნორვეგია) 2:08.41,5

**ქალები**

30 კმ კლასიკური

1 გაბრიელა პაროუტი (იტალია) 1:30.57,1
2 სტეფანია ბელმონდო (იტალია) 1:31.01,6
3 ბენტე სკარი (ნორვეგია) 1:31.36,3

## ციგურაობა

# ცოტა ჰაერი ბევრი რეკორდი

## დაბლამიწელს მაღლამიწა მოუხდა

**ერთი** შეხედვით, სპორტული ხმაური უნდა სუფევდეს სოლტ ლეიკ სიტის საციგურაო ქრონიკების მიმოხილვისას, რადგან ამ სახეობაში ოლიმპიადაზე რეკორდების მოზღვავება იყო. მხოლოდ ქალთა და ვაჟთა 500 მეტრის მსოფლიო მიღწევები დარჩა ხელუხლებელი, თორემ ყველა სხვა დისტანციაზე მოციგურავეებმა ახალ დროით სიმაღლეებს უწიეს.

მაგრამ ხმაური არ არის. სპორტის ექსპერტები გაბლენძილები დადიან, როგორც ვიწინასწარმეტყველეთ, ისე მოხდა. პროგნოზები მართლა კეთდებოდა რეკორდების სასარგებლოდ, ხოლო არგუმენტებად ზღვის დონიდან 1425 მეტრი (სოლტ ლეიკ სიტის „ოლიმპიური ოვალის" სიმაღლე) და ყინულის მაღალი სასრიალო თვისებები მოჰყავდათ. გაიშვიათებული ჰაერის სარგებლიანობა ყველა ტიპის რბოლებში აშკარაა და საციგურაო სპორტიც, სადაც საშუალო სიჩქარე საათში 60 კილომეტრს უწევს. რეკორდები ამიტომაც ემხობოდა პანტაპუნტით. ამას აზერზებდა ყველა: გერმანელი, ამერიკელი, ჰოლანდიელი... ამიტომ გმირი მაინც მედლების ოდენობით უნდა განისაზღვროს და ამ მხრივ პირველ ადგილზეა იოჰემ უტდეჰააგე. ამ ჰოლანდიელმა სოლტ ლეიკ სიტიდან 2 ოქროს, 1 ვერცხლის მედალი და 2 მსოფლიო რეკორდი წაიღო.

სულ ბოლოს უტდეჰააგემ 10 ათასი მეტრი მოიგო, ცხადია, მსოფლიო რეკორდით, ხოლო ოლიმპიადის ბოლო საციგურაო შეჯიბრი, შაბათის ქალთა 5000 მეტრი, გერმანელ კლაუდია პეხშტეინს დარჩა. აქაც მსოფლიო რეკორდი დაფიქსირდა, თან ორჯერ.

თავდაპირველად ჰოლანდიელმა გრეტა შმიტმა დაამხო პლანეტის უპირველესი შედეგი, მაგრამ პეხშტეინს წინაღდეს 30 წელი შეუსრულდა და მრგვალ იუბილეს შესაფერისი აღნიშვნა უნდოდა. თავიდან გერმანელი ჩამორჩებოდა ჰოლანდიელის სარეკორდო გრაფიკს, ბოლო წრეზე კი აიწყვიტა და შმიტს 2 წამზე მეტით გაუსწრო. ორი რეკორდი 90 წუთის შუალედში დამყარდა.

ახლა პეხშტეინის სრული ოლიმპიური ტიტულატურა გახლავთ: ლილიჰამერის, ნაგანოს და სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიადების ჩემპიონი და მსოფლიო რეკორდსმენი 5000 მეტრზე სრიალში.

**დავით გულუა**

2 | 1 | 3

**ვაჟები**

10 000 მეტრი

1. იოჰემ უტდეჰააგე (ჰოლანდია) 12.58,92 (მსოფლიო რეკორდი)
2. ჟანი რომე (ჰოლანდია) 13.10,03
3. ლასე საეტრე (ნორვეგია) 13.16,92

**ქალები**

5 000 მეტრი

1. კლაუდია პეხშტეინი (გერმანია) 6.46,91 (მსოფლიო რეკორდი)
2. გრეტა შმიტი (ჰოლანდია) 6.49,22
3. კლარა ჰიუზი (კანადა) 6.53,53



REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან

ჰოლანდიის დროშა და მობილური — იოჰემ უტდეჰააგეს მორიგი ზეიმის ჟამი უდგას

## სამთო თხილამურობა

# ივიცა და ნიახური

## ოლიმპიადის შინ წამლებმა კოსტელიჩმა სხვებს სამომავლო შანსიდა დაუტოვა

**იანიცა კოსტელიჩმა** მთელი სოლტ ლეიკის ოლიმპიადა რომ წაართვა სათხილამურო კოლეგებს, ამაზე ბარე 10 დღე ვწერდით. შაბათის ნომერში პირველივე გვერდზე მოგახსენეთ, ხორვატმა გიგანტური სლალომიც მოიგოო და რა შეიძლება კიდევ ითქვას? ალბათ ბევრი არაფერი, იქნებ მხოლოდ ის, რომ თავის სამი ოქროს მედლით და 1 ვერცხლით კოსტელიჩი სამთოთხილამურობის ისტორიაში ტონი სეილერის და ჟან კლოდ კილის გვერდით მოთავსდა. ესენიც ერთ ოლიმპიადაზე სამგზის ჩემპიონები გახდნენ.

ბლომად წყაროები გამოვიკვლიეთ, მაგრამ ვერ დავადგინეთ, ამჯერად რომელი ახლობლის სახელი ეწერა კოსტელიჩის ფრჩხილებზე. გაგახსენებთ, რომ ძმის, მამის და დედის სახელების ამოლაქვამ კოსტელიჩს თითო მედალი მოუტანა (თვითონ ასე თვლის) და სულ ბოლოსაც ოქროეს იყო ჩვენი დროით პარასკევ-შაბათის გასაყარზე, როცა სოლტ ლეიკ სიტიში დილა იდგა და ქალები გიგანტური სლალომით დაკავდნენ.

შედეგები იხილეთ: ხომ ჩანს, რომ ხორვატის უპირატესობა სრულიად აშკარა იყო? მდევრისგან 1,32-წამიან გარღვევას სხვა სახელი არა აქვს. ის მდევარი კოსტელიჩის კბილა შვედი, ანია პაერსონი გახლდათ, ხოლო ფავორიტი სონია ნეფი მხოლოდ ბრინჯაოს დასჯერდა.

დასკვნა ისაა, რომ ოლიმპიადის შემდეგ ახალი კოსტელიჩი მივიღეთ. შარშანდელი მსოფლიოს თასი მან სლალომებში არაჩვეულებრივი მიღწევებით მოიგო, ახლა კი ამტკიცებს, რომ არა მარტო ტექნიკოსია. მისი გამარჯვება კომბინაციაში (სლალომი პლუს სწრაფდაშვება) და სუპერგიგანტის ვერცხლი კოსტელიჩის მაღალ სიჩქარეებში გაწევაზე მიგვითითებენ, ხოლო ისინი, ვინც წლევანდელ მსოფლიოს თასზე დომინირებენ, ოლიმპიადას უბრად გასცილდნენ: რენატე გოეჩლს თითო ვერცხლი და ბრინჯაო ერგო, მიხაელა დორფმაისტერს — ნიახური. დორფმაისტერი კი მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლას ლიდერობს.




REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან

სლალომის გმირები: ჟან პიერ ვიდალი (მარცხნივ) და სებასტიენ ამიე ფრანგებმა ჰაერში აიტაცეს

**დავით გულუა**

2 | 1 | 3

**ვაჟები**

სლალომი

1. ჟან პიერ ვიდალი (საფრანგეთი) 1.41,06
2. სებასტიენ ამიე (საფრანგეთი) 1.41,82
3. ელენ ბაქსტერი (ბრიტანეთი) 1.42,32

**ქალები**

გიგანტური სლალომი

1. იანიცა კოსტელიჩი (ხორვატია) 2.30,01
2. ანია პაერსონი (შვედეთი) 2.31,33
3. სონია ნეფი (შვეიცარია) 2.31,67

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ჰოკეი

### ნახევარფინალი 22 თებერვალი

**კანადა 7:1 ბელარუსი 2:1 2:0 3:0**

**1:0 აიზერმანი (7), 1:1 სალეი (14), 2:1 ბრიუერი (18), 3:1 ნიდერმაიერი (23), 4:1 კარია (34), 5:1 განიე (46), 6:1 ლინდროსი (53), 7:1 იგინლა (57)**

სოლტ ლეიკ სიტის ყინულზე „ბელარუსული სასწაული“ მეორედ აღარ შედგა. არც იყო მოსალოდნელი, რადგან კანადელებმა შეიგნეს, რომ ბელარუსებთან ხუმრობა არ ვგების და ერთობ მობილიზებულად ითამაშეს. თუმც ბელარუსებმა მაინც მოახერხეს და ინტრიგა შეიტანეს თამაშში. კანადელებმა მხოლოდ ერთხელ ითამაშეს უხეშად და რუსლან სალეიმ მაშინვე ისარგებლა, ძლიერი დარტყმით გაააოგნა მარტინ ბროდო, მაგრამ ეს მხოლოდ ეპიზოდი გახლდათ. 4 წუთში კანადელები კვლავ დაწინაურდნენ, თუმც ფავორიტებს ამაში ხელი ბელარუსთა მეკარე ანდრეი მეზინმა შეუწყო — მან თავად შეაგდო შაიბა საკუთარ კარში. კანადელებმა მეორე პერიოდის დასაწყისიდანვე მოსპეს ყოველგვარი ეჭვის საბაბი.

**აშშ 3:2 რუსეთი 1:0 2:0 0:2**

**1:0 გერინი (16), 2:0 იანგი (28), 3:0 ჰალი (38), 3:1 კოვალიოვი (41), 3:2 მალახოვი (44)**

მესამე პერიოდი ამერიკელთათვის კოშმარად იქცა. ისინი დაიბნენ და ჯერ ალექსეი კოვალიოვს გაატანინეს მშვიდ სიტუაციაში, შემდეგ კი რუსთა მასირებული შეტევა ვლადიმირ მალახოვის ზუსტმა გასროლამ დააგვირგვინა. და მეტოქე გონს მოვიდა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ამერიკელთა მწვრთნელმა ჰერბ ბრუქსმა ტაიმაუტი აიღო. მერე თამაში გათანაბრდა, მაგრამ ერთხელ, სერგეი სამსონოვის დარტყმის შემდეგ, ამერიკელები ბეწვზე გადარჩნენ, შაიბა ძელს მოხვდა და, რუსთა აზრით, კარის ხაზიც კი გადაკვეთა, მაგრამ მსაჯებმა დამაჯერებლად აჩვენეს, რომ გოლი არ იყო და ვიდეოჩანაწერის ნახვაც არ მოისურვეს.

აღსანიშნავია, რომ ზუსტად 22 წლის წინ, 1980 წელს, აშშ-ის მოყვარულთა ნაკრებმა საბჭოთა კავშირის უძლეველ ნაკრებს მოუგო, თანაც თამაშის დროს რუსეთში უკვე 23 თებერვალი იყო, წითელი არმიის დღესასწაული.

ასე დაემთხვა რუსებისთვის საბედისწერო ეს ორი მატჩი ერთმანეთს. ამ შეხვედრაში, როგორც უკვე ვთქვით, რუსებმა საუკეთესოდ მხოლოდ მესამე პერიოდში ითამაშეს, დანარჩენ დროს ყინულზე ამერიკა ბატონობდა. თანაც მასპინძლები ჩინებულად იყენებდნენ რიცხვმრავლობას, ხუთი ცდიდან სამში იხეირეს. რომ არა რუსების მეკარე ნიკოლაი ხაბიბულინი, ორი პერიოდის შემდეგ ანგარიში უფრო არასახარბიელო იქნებოდა მისი გუნდისთვის.

თამაშის შემდეგ რუსები მსაჯს მიესივნენ, ვიდეოჩანაწერი რატომ არ ნახეო. ყველაზე აგრესიულმა დანიილ მარკოვმა ერთმატჩიან დისკვალიფიკაციას გამოჰკრა ხელი. როგორც იტყვიან, ჩხუბის შემდეგ მუშტებს არ იქნევენ.

### მატჩი მესამე ადგილისთვის 23 თებერვალი

**რუსეთი 7:2 ბელარუსი 2:1 2:1 3:0**

**1:0 კოვალიოვი (6), 1:1 დ. პანკოვი (10), 2:1 კასპარაიტისი (12), 2:2 დუდიკი (22), 3:2 ტვერდოვსკი (24), 4:2 დაციუკი (24), 5:2 კოვალიოვი (48), 6:2 პ. ბურე (53), 7:2 აფინოგოვი (60)**

ბელარუსები პერიოდზე ოდნავ მეტხანს ეწინააღმდეგებოდნენ „უფროს ძმას“, მაგრამ როგორც კი დმიტრი დუდიკმა მეორედ გაათანაბრა ანგარიში, რუსები გაბრაზდნენ, 23 წამის განმავლობაში ორი გოლი გაიტანეს და მეტოქეს თავისი ადგილი მიუჩინეს.

# ამერიკაში ჰოკეის მომგონი დაილოცა




კანადელი პოლ კარიას პირველი გოლი ამერიკელთა მეკარის მაიკ რიხტერის კარში

REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან

### ფინალი 24 თებერვალი

**კანადა 5:2 აშშ 2:1 1:1 2:0**

**0:1 ამონტე (9), 1:1 კარია (15), 2:1 იგინლა (19), 2:2 რაფალსკი (36), 3:2 საკიკი (39), 4:2 იგინლა (57), 5:2 საკიკი (59)**

კანადაზე ჯიგრიანად და ლამაზად ვერავინ ითამაშა ამ ოლიმპიადაზე. ჰოკეის სამშობლომ 50 წლის შემდეგ კვლავ მოიპოვა ოლიმპიური ოქრო, როგორც იქნა, ახდა რამდენიმე თაობის ოცნება. კვირას დიდებული შოუ გამართეს კანადელებმა და დამაჯერებლად აჯობეს მრისხანე მეტოქეს. მათი უპირატესობა პირველი წუთიდან ბოლომდე აშკარა იყო და მიუხედავად არაერთი კრიტიკული ეპიზოდისა, მათ საბოლოო გამარჯვებაში არავის ეპარებოდა ეჭვი, მაშინაც კი, როცა მარიო ლემიემ ერთი მეტრიდან ააცილა და რამდენიმე წუთში ცნობილი ნათქვამიც გამართლდა — გოლი კანადელთა კარში გავიდა. თან ბრაიან რაფალსკის ერთ-ერთი კანადელის ციგურა დაეხმარა. ამის შემდეგ კანადელები წამითაც არ შეყოვნებულან, ისეთივე ჟინით გააგრძელეს თამაში.

ფიზიკურად ძლიერი, მაგრამ ერთობ სწორხაზოვანი მეტოქის ფონზე ჰოკეის მომგონები შემოქმედებითად უდგებოდნენ საქმეს, ხოლო ჯო საკიკი პრაქტიკულად შეუჩერებელი იყო. სწორედ მისი პირველი გოლი გამოდგა ოქროსი, ბოლო მესამედში კი მას კიდევ ერთი გოლი და პასი დაამატა და ტურნირისა და თამაშის MVP დამსახურებულად გახდა. ლიდერად ქცეულ ჯო საკიკს მხარი მთელმა გუნდმა აუბა, გოლებიც ერთიმეორეზე ლამაზი გამოუვიდათ. მარტო პირველი გოლი რად ღირს, მარიო ლემიემ ისე მოულოდნელად გაატარა შაიბა ფეხებს შუა, რომ პოლ კარიას დარტყმას ვერც მცველები გადაელოდნენ და ვერც მეკარე მაიკ რიხტერმა შეუშალა ხელი.

საბოლოოდ ყველა საკითხი ჯერომ იგინლას მეორე შაიბამ გადაწყვიტა. საკიკისა და აიზერმანის სწრაფი კომბინაციის შემდეგ ნჰლ-ის პირველობის საუკეთესო ბომბარდირმა ისე მძლავრად გაისროლა, რომ რიხტერმა შაიბა ვერ დაიმორჩილა — 4:2 და კანადელთა უფროსობა სიხარულისგან ლამის ყინულზე გადავიდა. ყველაზე მეტად კი უეინ გრეცკი ხარობდა. ლეგენდარულმა ჰოკეისტმა კარიერის უდიდესი ოცნება ვერ აიხდინა, ოლიმპიადა ვერ მოიგო. სამაგიეროდ, გენერალური მენეჯერის პოსტზე გაიხარა. მან არა მარტო შეკრიბა დღეისთვის საუკეთესო კანადელი ჰოკეისტები, არამედ ისინი დიდი ეროვნული შემართებით დამუხტა და ნაყოფიც მოიმკო.

**სამველ ლარიბიანი**

## შორტ ტრეკი

### ქალები

1 000 მეტრი

1. იანგ იანგი (ჩინეთი) 1.36,391
2. გი ჰიუნ კო (სამხრეთ კორეა) 1.36,427
3. იანგ იანგი (ჩინეთი) 1.37,008

### ვაჟები

500 მეტრი

1. მარკ განონი (კანადა) 41,802
2. ჯონათან გილმეტი (კანადა) 41,994
3. რასტი სმითი (აშშ) 42,027

5 000 მ ესტაფეტა

1. კანადა 6.51,579
2. იტალია 6.56,327
3. ჩინეთი 6.59,633

## ბობსლეი

### ოთხეული

1. გერმანია 3.07,51
2. აშშ-1 3.07,81
3. აშშ-2 3.07,86

## ქერლინგი

### ვაჟები

პირველი სამეული

1. ნორვეგია
2. კანადა
3. შვეიცარია

## ორჭიდი

7,5 კმ სპრინტი

1. სამპა ლაიუნენი (ფინეთი) 16.40,1
2. რონი აკერმანი (გერმანია) 16.49,1
3. ფელიქს გოტვალდი (ავსტრია) 17.20,3

## ქვეყანათა მონაგარი

| | ო | ვ | ბ | სულ |
|---|---|---|---|---|
| გერმანია | 12 | 16 | 7 | 35 |
| აშშ | 10 | 13 | 11 | 34 |
| ნორვეგია | 11 | 7 | 6 | 24 |
| კანადა | 6 | 3 | 8 | 17 |
| რუსეთი | 6 | 6 | 4 | 16 |
| ავსტრია | 2 | 4 | 10 | 16 |
| იტალია | 4 | 4 | 4 | 12 |
| საფრანგეთი | 4 | 5 | 2 | 11 |
| შვეიცარია | 3 | 2 | 6 | 11 |
| ჰოლანდია | 3 | 5 | 0 | 8 |
| ჩინეთი | 2 | 2 | 4 | 8 |
| ფინეთი | 4 | 2 | 1 | 7 |
| შვედეთი | 0 | 2 | 4 | 6 |
| ხორვატია | 3 | 1 | 0 | 4 |
| კორეა | 2 | 2 | 0 | 4 |
| ესტონეთი | 1 | 1 | 1 | 3 |
| ბრიტანეთი | 1 | 0 | 2 | 3 |
| ბულგარეთი | 0 | 1 | 2 | 3 |
| ესპანეთი | 2 | 0 | 0 | 2 |
| ავსტრალია | 2 | 0 | 0 | 2 |
| ჩეხეთი | 1 | 0 | 1 | 2 |
| იაპონია | 0 | 1 | 1 | 2 |
| პოლონეთი | 0 | 1 | 1 | 2 |
| ბელარუსი | 0 | 0 | 1 | 1 |
| სლოვენია | 0 | 0 | 1 | 1 |



REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან

ოლიმპიურ მარაქაში გარეული მონაკოელთა ჰარმაგი პრინცი ალბერიც. თვისტომთათვის ოთხკაცა ბობში უცხოა და... უახლოეს მოსახვევშივე ამოტრიალებულა. სწორედ ამიტომ არის, ფინიშთან მომლოდინე ქვეშევრდომებს ეგრე უხალისოდ რომ ესალმება




REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან

სამპა ლაიუნენი



REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან

გალა-სრიალზე პელეტიე-სიხარულიძემ და სალე-ბერუენაიამ ერთად გაისრიალეს

# ჩვენ ყველამ ერთად!

ეროვნული ბიბლიოთეკა






წავიდა და თან წაილო... ოლიმპიადა წავიდა და თან წაილო... თან წაილო ზამთარი ჩვენი მღელვარებისა... 17 დღე, რომელმაც კინაღამ გადაატრიალა სამყარო... 17 თოვლიანი, ოფლიანი, ცრემლიანი და დოპინგიანი დღე, რომელმაც კიდევ ერთხელ გაგვაერთიანა ყველა — თეთრიც და შავიც, კეთილიც და ავიც...

სწორედ ამაზე მღერის ჯონ ბონ ჯოვი, სწორედ ამიტომ აუტაციათ ხელში ალტყინებულ ხვადებს გლორია ესტეფანი, სწორედ ამ დიდი ვნების გამო ჩაუცვამს ასეთი სუპერალმგზნები საწმერთული მაკნატუნა აგილერას, სწორედ ამიტომ ცდილობს კატარინა ვიტი, თავისი სექსსხეული დაობებულ „ქისის" ავყია და მრუშ რიტმებსააყოლოს.

მშვიდობით, სოლტ ლეიკ სიტი! ეს ჩვენ, დავიდ პელეტიე და ჟამი სალე, შენი ყველაზე მადლიერი სტუმრები გემშვიდობებით! ტორინო, კეთილი იყოს ჩვენი ციგურები, თხილამურები და ბობები შენ ბებერ მიწაზე ოთხი წლის შემდეგ... ისეთსავე ბებერსა და ბრძენზე, როგორიც ხუან ანტონიო სამარანჩია — მსოფლიო ოლიმპიზმის მარადიული და შეუცილებელი აზნაური!

... და ნურავინ გაამტყუნებს ამ პოლიციელს, მავანი ნაძირლის დასაშინებლად ეს „აბრეზი" რომ მოუღერებია და, ნურც იმ მფრინავს შემოსწყრება, ამ ხნის განმავლობაში ასე ფხიზლად რომ დარაჯობდა ჩვენს უსაფრთხოებას...

ჩვენ ყველამ ერთად ერთი ჩვეულებრივი არაჩვეულებრივი ოლიმპიადა ჩავაგრიალეთ!















სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს,
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ხელმძღვანელი მამუკა გუბელაძე
ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge